ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 მაისი 2000 №90 (1112) | ფასი 50 თეთრი


## დანიისკენ, დანიისკენ...

### ფაჩულია ნაკრებს მოსკოვში დახვდება

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ კვირას ვერის ბაღში თავის რჩეულთა ვინაობა გვამცნო. დანიაში გასამართ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ტომარაძემ თორმეტი კალათბურთელი იახლა:

*უკანახაზი: მამუკა აბრამიძე, ალეკო დავითულიანი (ორივე „ბასკო“), რამაზ გოგობერიშვილი („აზოტი“), ირაკლი ხოშტარია (სდასუ)*

*ფორვარდები: ვლადიმერ ბეჟანიშვილი, ვალერი კილაძე, ლევან ქარაბაკი (ყველა „ბასკო“), ნუგზარ კოკოლიშვილი („ვითა“), ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი (ორივე „სლოვანი“, სლოვენია)*

*ცენტრები: ირაკლი ჯაფარიძე („ჟინაზიო“, პორტუგალია), ზაზა ფაჩულია („ულქერი“, თურქეთი).*

იხილეთ მეთორმეტე გვერდი




*თბილისში მეორედ ხართ, უთხრა ბერნდ შუსტერს ჟურნალ „სარბიელის“ კორესპონდენტმა და 21 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა — ინტერვიუ ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელთან.*

*როი კინმა საკუთარ კარშიც კი კაცურად დაარტყა, ამტკიცებს ჟურნალ „სარბიელის“ მიმომხილველი — ჩემპიონთა ლიგა აპრილში.*

*ინგლისელი ფანები ხიფათს პირველად სტამბოლში როდი გადაეყარნენ — მკვლელობის ამბები, ინგლისელთა ფათერაკების ქრონიკა და უეფას თასი ჟურნალ „სარბიელში“.*

*სალონიკში ვნახე მწვანე ნეხვი და ერთი უბრალო გენიოსი, გვიამბობს ჟურნალ „სარბიელის“ რეპორტიორი — ევროლიგის ოთხთა ფინალი კალათბურთში.*


კიდევ ბევრი
სხვა და „სხვადასხვა“
ჟურნალ
სარბიელის
მესამე, 28-გვერდიან ნომერში,
რომელიც ორშაბათიდან იყიდება.
ფასი 2 ლარი


## დინამო შევროპოდ?!



ბადრი კეთილაძის ფოტო

შაბათს ეროვნულზე: „დინამო“ — „ტორპედო“ 1:1. ქუთაისელთა თავმსხმელი მიხეილ ბობოხიძე დინამოელ მცველებს, გივი დიდავას (№4) და ირაკლი ვაშაკიძეს შორის

*ევროპის რეკორდი, ზედიზედ 11-ჯერ ჩემპიონობა, თბილისის „დინამოს“, ჩანს, განზე რჩება. წლეულს გამართული ხუთი ოფიციალური მატჩიდან ბოლო ოთხი, მათ შორის სამშაბათო „დინამო“ — „ტორპედოც“ ფრედ, 1:1 დასრულდა. კაცნაკლული „დინამო“, არჩათვლილი (სამართლიანად), ჯერაც ჩემპიონთა აზრით, თამამვარედან გამვებული და წუთშივე გაქვითული გოლი. ამ მატჩის შედეგით „ტორპედომ“ ხუთ ქულაზე ახლოს არ გაიკარა „დინამო“, რითაც „ვიტ ჯორჯიამაც“ ისარგებლა და „დინამოს“ თავში, „ტორპედოს“ კი კუდში მოექცა. თუკი ქუთაისელებს ოდენ ორი ქულით ჩამორჩენილი ვიტელები ჩემპიონობის თეორიულ შანსს (მძიმე კალენდარი აქვთ) ჯერაც ინარჩუნებენ, ბათუმელები ჩემპიონთა უევროპოდ დატოვებას შეეცდებიან. ფედერაციის ამასწინანდელი განცხადების საწინააღმდეგოდ, გუშინ უეფამ ჩვენს კითხვას ასე უპასუხა: ჩემპიონთან დამარცხებული თასის ფინალისტი უეფას საგზურს მოიპოვებსო. ასე რომ, თუ „ტორპედომ“ დუბლი შეასრულა, უეფას თასზე მეორე ადგილოსანი და „ლოკომოტივი“ გავლენ. ბრინჯაოს პრიზიორი კი ინტერტოტოზე თამამს დასჯერდება.*

### 11 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

«ა» ზონა

13 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| ტორპედო | 1 |
| სიონი | 1 |
| ბათუმი | 2 |
| დილა | 0 |
| კოლხეთი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| იბერია | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 27:10 | 39 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 4 | 0 | 13:5 | 37 |
| დინამო | 11 | 3 | 8 | 0 | 11:3 | 34 |
| ბათუმი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:8 | 33 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:8 | 31 |
| სიონი | 11 | 2 | 1 | 8 | 11:24 | 18 |
| დილა | 11 | 2 | 0 | 9 | 9:23 | 16 |
| იბერია | 11 | 2 | 1 | 8 | 6:27 | 16 |

«ბ» ზონა

12 მაისი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თბილისი | 0 |
| თსუ | 4 |

13 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| გორდა | 1 |
| სამგურალი | 2 |
| მერანი | 1 |
| ხობი | 0 |
| არსენალი | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 11 | 7 | 4 | 0 | 12:2 | 33 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 2 | 2 | 18:3 | 32 |
| თსუ | 11 | 7 | 0 | 4 | 17:10 | 29 |
| გორდა | 11 | 6 | 2 | 3 | 18:7 | 28 |
| სამგურალი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:7 | 24 |
| არსენალი | 11 | 3 | 0 | 8 | 11:21 | 14 |
| თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | 14 |
| ხობი | 11 | 1 | 0 | 10 | 10:32 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია, „არსენალი“, „თბილისი“ და „ხობი“ მეორე ლიგაში დაქვეითდნენ

## ლაციო — ციალი სამხრეთიდან

*იტალიურ ფეხბურთში ჩრდილოური გუნდების, „იუვენტუსისა“ და „მილანის“ ცხრაწლიანი ბატონობა „ლაციომ“ დაამხო — რომაელებმა საუკუნოვანი იუბილე საკუთარ თავს ისტორიაში მეორე სკუდეტოთი მიულოცეს. ბედმა არჩევანი რომსა და პერუჯაში ჩემპიონატის ბოლო დღეს გააკეთა. პერუჯაში „იუვენტუსისთვის“ საბედისწერო შეხვედრა თავსხმამ კინაღამ ჩაშალა, რომში კი ამინდიცა და განწყობაც მზიანი გამოდგა. სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგაში გასვლა ვერგასვლის საქმე ჯერ გასარკვევი აქვთ მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გასულ, თანაბარქულიან „ინტერსა“ და „პარმას“. მათი პლეი-ოფის თარიღს ამ დღეებში გამოაცხადებენ.*

იხილეთ მეშვიდე გვერდი



AP ფოტოდან

ამ დღეს რომაელი ფანები 26 წელიწადს ელოდნენ

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 11 ტური

# მოპარული მზე

თბილისი
13 მაისი
18 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 1:1 ტორპედო**

0:1 ასათიანი (85), 1:1 ანჩაბაძე (86)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სახვაძე, ნემსაძე (დათუაძე 20), ანჩაბაძე, გ. შენგელია (რუხაძე 73), წიტაიშვილი (არველაძე 55), სიჭინავა
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, მონასელიძე, გაბიდაური
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 64), დ. ჯანაშია (ბობოხიძე 75), მეგრელაძე (ასათიანი 57), ჩხეტიანი, თურმანიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი
*სათადარიგონი:* ჭანტურია; ვაჩიბერაძე, ამისულაშვილი, იმედაძე
**გაფრთხილება:** გოგიაშვილი (5), დიდავა (61)
**გაძევება:** გუჩუა (29)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. მილჩენკო

**კონსტანტინე გოგიშვილი**

— ადექი და იკაშკაშე, ჩემო მზეო — აი, ამ სიტყვებით ალვიძებდა ყოველდღე ჯონ ლენონი სტიუარტ სარტკლიფს (თავიდან „ბითლზი" ხუთკაციანი იყო და სტივი მეხუთე ხოჭო იყო).

— ნეტავ, მალე ჩავიდოდეს მზე, ხალხი შინ წავა და ამათაც გავუშვებთ აქედან — ამას პოლიციის მავანი ჩინოსანი ამბობდა 13 მაისს, „დინამო" — „ტორპედოს" შეხვედრის შემდეგ. პოლიციელი მსაჯთა ოთახს აწებებოდა და შიგნით „წარჩინებულ გვამთა" გარდა არავის უშვებდა.

ასეა, ზოგი ამომავალ მზეს შეჰხარის, ზოგი ჩამავალს. ზოგს სამსაჯოში შესვლა უჭირს, ზოგს გამოსვლა. იქ კი ცოდვა-მადლი დუღდა. შედიოდნენ და გამოდიოდნენ ოთახში უმეტესად „დინამოს" ჭირისუფლები და... შიგ რაც ხდებოდა, შეიძლება ივარაუდო მხოლოდ კაცმა. ძალოვანი მინისტრის შევარდნები კარგად, შეიძლება ითქვას, ერთობ კარგად ასრულებდნენ „საბრძოლო დავალებას".

ჰე-ჰე, როდის მოვახერხე სამსაჯოში შესვლა. უკვე მზეც ჩავიდა და ხალხიც მიმოიფანტა.

— აი, ახლა გამოჩნდება, კარგი ჟურნალისტი დგას ჩემს წინაშე, თუ კაცი, რომელიც სენსაციებს ეძებს. გოლი სამართლიანად არ ჩაითვალა. ჯარიმიდან დარტყმული პირდაპირ რომ გასულიყო, შენგელიას პასიური ოფსაიდი არ დაფიქსირდებოდა, მაგრამ მეკარის მიერ მოგერიებულს, სწორედ შენგელიამ დაამატა. ამდენად იგი პასიურიდან აქტიურ თამაშგარეში გადავიდა და მსაჯის მოქმედება სამართლიანი იყო — ეს სიტყვები სფფ-ის დელეგატ ანატოლი მილჩენკოს ეკუთვნის.

გოლი საეჭვოდ არ ჩაითვალა, მაგრამ თუ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსის სიტყვებში ლოგიკა ჩანდა.

— გუჩუამ იმხელა იყვირა, მისი გინება ტრიბუნებზე ისმოდა. ფეხბურთელი სამართლიანად გააძევეს — ესეც მილჩენკოს სიტყვებია.

ვეთანხმებით ვასილიჩს. გინებისთვის ფეხბურთელი უნდა გააფრთხილო ან გააძევო, მაგრამ ეს გამონაკლისების სახით არ უნდა ხდებოდეს. თუკი გუჩუას ერთი რუსული უცენზურობისთვის (ეს სიტყვა ლამისაა გამარჯობად ექცეთ გუჩუას კუთხის ხალხს) წითელი ბარათი ეკუთვნოდა, მაშინ ბათუმელი ქორიძე მინიმუმ ორმატჩიან დისკვალიფიკაციას იმსახურებდა „ბათუმი" — „ლოკომოტივის" სათასო მატჩში (სხვათა შორის, იმ შეხვედრას იგივე მსაჯთა ბრიგადა მსაჯობდა. იმ განსხვავებით, რომ მესხი მეოთხე მსაჯი იყო, კვარაცხელია კი — მთავარი).

ხალხის აზრი გაინტერესებთ? — „დინამო" დაწვესო, ამას ამბობდა ყველა.

მწვრთნელებისა? — ჯემალ ჩიმაკაძე გასახდელში გადი-გამოდიოდა და სინანულნარევ აღშფოთებას გამოხატავდა. ყიფიანი „მეცხრე არხს" ინტერვიუს აძლევდა „ტორპედოს" შესაძლო ან შეუძლებელი ჩემპიონობის შესახებ.

ამასობაში კი მზე ჩადიოდა და მსაჯთა „ამნისტიაც" ახლოვდებოდა.



ავთანდილ სამხარაძე, კახაბერ მესხი, გოჩა ცირდავა და ანატოლი მილჩენკო

მართალი გითხრათ, როცა მინდორზე მოვლენები არცთუ საინტერესოდ ვითარდება, მინდვრისგარეთა ამბებზე წერა სჯობს, მაგრამ მატჩის ანგარიში მატჩის ანგარიშია და არც უიმისოდ გამოვა რამე.

ვფიქრობ, მიუხედავად წლევანდელი სიტუაციისა, მიუხედავად ხუთქულიანი აქტივისა, მიუხედავად იმისა, რომ „ტორპედომ" თასიდან დაიფრინა მარადი ჩემპიონი (?), „ტორპედოს" „დინამოს" მაგარი კომპლექსი აქვს. დასტური? მატჩი, რომელიც 13 მაისს გაიმართა „ეროვნულზე".

ჯერ იყო და გოლი არ ჩაუთვალეს „დინამოს"...

მეოცე წუთზე მუხლი იტკინა გიორგი ნემსაძემ და გამოცვალეს...

ოცდამეცხრე წუთზე გააძევეს გუჩუა...

მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ტორპედო" იგებდა...

და მაინც, ვერ გაიმარჯვეს ქუთაისელებმა. ანჩაბაძემ რეზო არველაძის ჩაწოდებულს ყველაზე ადრე აულო ალღო და ბურთს ზოიძის კარში მიუჩინა ადგილი...

თერთმეტკაციანმა „ტორპედომ" ვერაფერი დააკლო ათკაციან „დინამოს", მეტიც, ბოლო წუთებში შტურმიც მოუწყვეს მასპინძლებმა ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრებაღა შეძლეს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ „დინამოს" მწვრთნელებმა იმგვარი შეცვლები მოახდინეს, თბილისელები ნომინალური თავდამსხმელის გარეშე დარჩნენ, თორემ ვინ იცის, როგორ წავიდოდა საქმე.

ბევრი თბილისის დინამოელებზე ვთქვი და ცოტას „ტორპედოზეც" ვიტყვი — ეს არ იყო ქუთათურთა საუკეთესო შეხვედრა. რომ არა ახალგაზრდები — ბობოხიძე და ასათიანი, ქუთაისელთა იმდღევანდელი გარჯა თამაშზე მეტად საცოდაობად მოინათლებოდა.

— შენ უნდა დაამტკიცო შენი სიმართლე, არ უნდა გაჩუმდე, უნდა შეედავო, სხვანაირად იფიქრებენ, რახან გაჩუმდა, ესე იგი ტყუისო — ამ სიტყვებით მიმართავდა ანატოლი მილჩენკო შენგელიას გოლის მთავარ არჩამთვლელს, გვერდით მსაჯ სამხარაძეს.

კი, ამოიღებს ხმას სამხარაძე, დაამტკიცებს ან ვერ დაამტკიცებს სიმ-
რთლეს ესა თუ ის მსაჯი, ბოლოს
ბოლოს მორჩება „შევარდნები" სა
საჯოში, მაგრამ...

მარტო ამაშია საქმე?

მთავარი ხალხია. მაყურებელი
კი ასე ფიქრობს — ადრე ყველ
„წავადნენ" „დინამოს" გარდა, ახ
კი „დინამოს" წავაენ. ერთნი ამბობ
კარგია, ცოდვებმა უწიაო. მეორენი
არაფერიც არ ხდება, ეჭვი გაბრმავებ
ყველაფერი კარგადააო.

მე კი ჩემსას ვიტყვი — ცუდ
„დაწვა-არდაწვას" რომ ვერ გავცდ
ცუდი იყო ის, რაც „დინამოს" ჩემპ
ონობისთვის კეთდებოდა და უფრო ც
დია ის, რაც „დინამოს" არჩემპიონობ
სთვის კეთდება.

ყველაზე ცუდი კი ის არის, „
ვიცი, არ მესმის" რომ გახშირდა ქ
რთული ფეხბურთის სათავეებთან. „გ
ლმა შეედავე, გამოლმა შეგრჩებას" პრ
ნციპი ხომ რახანია გაბატონდა ჩვენშ
ასე ვერ გავფრინდებით. ასე გვირ
ბის ბოლოდან შუქი არ გამოჩნდებ
მოპარული მზე ვერ იკაშკაშებს.

# ვიტ ჯორჯიას გეგმა

მცხეთა
13 მაისი
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 2:1 იბერია**

0:1 ივეჩიანი (28), 1:1 ლ. ნოზაძე (48), 2:1 ქორიძე (78)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, თოდუა, კობიაშვილი, საჯაია, ჯ. მუჯირი (დ. დოლიძე 50), ლ. ნოზაძე, კოტორაშვილი (რ. გოცირიძე 87), ზ. გვაზავა, ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (ი. ხაჭაპურიძე 90), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, დილმელაშვილი
**იბერია:** ჩომახიძე, ბიწაძე, გედენიძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, დ. ნოზაძე, მ. ჯინჭარაძე, კ. ჯანაშია (შ. ონიანი 34), ს. გიგიაძე, ივეჩიანი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; თოდაძე, კბილაშვილი, გ. სვანაძე
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); გ. ასკაროლი (ქარელი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან**

„ვიტ ჯორჯიამ" შაბათს მცხეთაში სამტრედიის „იბერიას" გადაუარა. სტუმრებს ერთი ნორმალური შეტევაც არ განუხორციელებიათ, ვიტელები კი მომენტს მომენტზე ქმნიდნენ და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, „იბერიას" შავ დღეს გაუთენებდნენ. თუმცა ეს მხოლოდ მეორე ტაიმში იყო, პირველ ნახევარში კი...

„ვიტ ჯორჯიამ" შესვენებამდე ისე ითამაშა, კინაღამ თავში საცემად გაიხადა საქმე. მართალია, მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ ძალიან ერთფეროვნად. სულ ორჯერ შეიქმნა ჩომახიძის კართან ხიფათისმაგვარი, ორჯერვე მეკარემ იმარჯვა.



ორი ნოზაძე: იბერიელი დავითი და ვიტ ჯორჯიელი ლაშა (ბურთით)

გურამ [illegible]ჯანაშვილი მცხეთიდან

„იბერია" დაცვაში იჯდა და შეტევისკენ იშვიათად იხედებოდა. მხოლოდ სოსო გიგიაძისა და ბიძინა ივეჩიანის ინდივიდუალური თამაშის წყალობით ახერხებდნენ სამტრედიელები ვიტელთა კართან მიახლოებას. მაშინაც ჭურაძეს შორეული დარტყმით თუ აწუხებდნენ. არც ერთი გუნდი არ ცდილობდა, რაიმე ელონა, მაგრამ სწორედ ამ დროს გავიდა გოლი, თანაც „ვიტ ჯორჯიას" კარში. მოედნის ცენტრის სიახლოვეს ივეჩიანმა მოიგდო ბურთი, ვიტელთა კარს ოდნავ მიუახლოვდა და უეცრად ისეთი ამოსცხო... ჭურაძემ ბურთს ხელი კი წაარტყა, მაგრამ გოლს მაინც ვერ გადაურჩა.

სიტუაცია არც ამის შემდეგ შეცვლილა, „ვიტ ჯორჯია" თავის თავს არ ჰგავდა. მხოლოდ ბოლო წუთზე გააქტიურდნენ მასპინძლები და კინაღამ ანგარიშიც გათანაბრდა. კოტორაშვილის ჩაწოდებულს ქორიძე დაუხვდა, თუმცა გიორგის თავური ხარიხამ მოიგერია.

მეორე ნახევარში კი სტადიონზე შეკრებილმა მცირერიცხოვარნმა ქომაგმა სხვა „ვიტ ჯორჯია" იხილა — დალაგებული, დაწყნარებული და „იბერიას" კარზე დაგეშილი. ამან კი ნაყოფი უმალ გამოიღო. 48-ე წუთზე ყიფიანის პასით ლაშა ნოზაძე დარჩა ხელსაყრელ მდგომარეობაში, ლაშამ ერთი გაისწორა და ჩომახიძეს ახლო კუთხეში გაუტანა. ორ წუთში ქორიძეს შეეძლო გატანა — მეკარემ აულო. ამას ათწუთიანი პაუზა მოჰყვა, მერე კი დაიწყო...

63-ე წთ. ვიტელთა კუთხურს შორიდან გვაზავას უძლიერესი დარტყმა მოჰყვა, „იბერია" ხარიხამ იხსნა.

64-ე წთ. ქორიძემ ახლოდან თავით ააცილა.

66-ე წუთ. ყიფიანის სახიფათო დარტყმა ჩომახიძემ გაჭირვებით მოიგერია.

69-ე წთ. კოტორაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა კარში ვერ დაარტყა.

71-ე წთ. ყიფიანმა ქორიძეს ბურ
თავზე დაასვა, გიორგიმ ხუთიოდე მ
ტრიდან სასწაულებრივად ააცილა.

75-ე წთ. დოლიძე — გოჩაშვილ
— გვაზავას სამსვლიანი კომბინაცი
ამ უკანასკნელის შორეული დარტყმ
დაგვირგვინდა, ბურთი კვლავ ძელ
მოხვდა.

78-ე წთ. „იბერიის" საჯარიმო
ბურთის ჩაწოდებას არეულობა მო
ჰყვა. სამტრედიელებმა მოგერიება სც
დეს, არ გამოუვიდათ. ბურთი გიორგ
ქორიძეს მიუვიდა, რომელმაც სუსტა
მაგრამ ზუსტად დაარტყა და ვეტე
რინარებმაც გაიხარეს — 2:1.

ამის შემდეგაც მასპინძლები ბა
ტონობდნენ მინდორზე, თუმც მათ შე
ტევებს სიმწვავე მოაკლდა. მხოლოდ
ერთხელ მიეცა „ვიტ ჯორჯიას" სხ
ვაობის გაზრდის კარგი შანსი, მა
გრამ მცველებმა ივარგეს, დოლიძის
დარტყმული კარის ხაზიდან გამო
ტანეს. „იბერიამ" კი მეორე ტაიმ
ისე დაიწყო და ჩაამთავრა, მეტოქ
კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამ

აღსანიშნავია, რომ ეს უკვე ზედიზე
მეორე მატჩი გახლდათ, რომელიც
„იბერიამ" მთავარი მწვრთნელის გა
რეშე ჩაატარა. სოსო ფრუიძე არც
წინა ტურში „ტორპედოსთან" შეხვე
დრაში თავკაცობდა გუნდს, უცნობ
მიზეზების გამო არც შაბათს მცხე
თაში ახლდა თავის შეგირდებს. ისიც
უცნობია საერთოდ აპირებს თუ არა
„იბერიაში" მუშაობის გაგრძელებას
მწვრთნელი.

„ვიტ ჯორჯია" წინა სამ ტურში
ცხრა ქულას გეგმავდა და აილო კიდეც
რითაც სანუკვარ მიზანს უფრო მი-
ახლოვდა, თუმც ჩემპიონატის ბოლო
სამ ტურში უძნელესი მატჩები ელის
და მიზნის მისაღწევად გვარიანი ოფ-
ლისღვრა მოუწევს.

# ნუ აწყენინებთ გორელებს

გორი
13 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:2 კოლხეთი**

0:1 ღლონტი (1), 0:2 ჩიტაია (73)
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, ებანოიძე (ხორგუაშვილი 69), გაგნიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, ციცქიშვილი, არუთინიანი, ოლგესაშვილი (კარელიძე 71), სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; მარეხაშვილი, დ. მაისურაძე
კოლხეთი: ქვაჩახია, კედელაშვილი, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ე. გვასალია (ჩიტაია 70), ახალკაცი (ხუჭუა 52), ღლონტი, შალამბერიძე (პაპავა 76)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; შავგულიძე, მ. ქობულაძე
გაფრთხილება: ციცქიშვილი (2), გოჩაშვილი (10), ხუჭუა (89)
გაძევება: ტრაპაიძე (26), აკოფიანი (26)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); თ. ლაცაბიძე (სურამი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გიორგი ვაშაკიძე გორიდან

„კოლხეთმა“ გორში 2:0 მოგებით ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა. ჯერ ერთი, სკეპტიკოსები მიაჩუმა, გაუჭირდებათ ქართლში ზღვისპირელებსო, რომ ამბობდნენ და მეორეც, შარშანდელი პირველი ეტაპის 0:3-ის რევანში აიღო.

მატჩის ბოლოს ფოთელები ნაღვლობდნენ, ეჰ, სამტრედიაში რომ არ წაგვეგო, ვინ იცის, ახლა ევროპაში გასასვლელად ვიბრძოლებდითო.

იმედი ჯერ არ გადაწურულა. „კოლხეთმა“ დარჩენილი სამი თამაშიც უნდა მოიგოს. ეს შეუძლებელი არ არის, თუმც საკმაოდ ძნელია. მომავალ ტურში „ვიტ ჯორჯია“ ზღვისპირეთში ჩადის, ჩემპიონატის ბოლო ტურში კი ფოთელები ბათუმს სტუმრობენ.

რატომ გაჩუმდნენ სკეპტიკოსები? მე არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, მით უმეტეს, არც სურვილი მაქვს, უბრალოდ, იმას მოგახსენებთ, რაც შაბათს მატჩის დაწყებამდე გავიგონე, დღეს „დილა“ ისე იბრძოლებს, როგორც არასდროსო.

ბრძოლა კი, იცოცხლეთ, მართლაც იყო. ფეხბურთელები იოლად არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს, მაგრამ თავიდანვე გეტყვით, ფოთელებმა დამსახურებულად მოიგეს, სტუმართა მეკარე ზურაბ ქვაჩახიას, რომ იტყვიან, ოფლი არც დაუღვრია.

ყოველივეს კი საფუძველი პირველსავე წუთზე ჩაეყარა. სტუმართა პირველივე შეტევა თავდასხმაში გამწესებულმა ზაველ ღლონტმა გოლად აქცია. კიკლიაშვილმა ჩინებული პასი გაუჭრა თანაგუნდელს, ზაველიც სოლოლაშვილთან პირისპირ დარჩა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა — 0:1.

ფოთელთა გოლკიპერს ერთადერთხელ მოუხდა საქმეში სერიოზულად ჩართვა. მე-14 წუთზე სულთანიშვილის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ხვიჩა გაგნიძე ორი მეტრიდან ძელთან ახლოს ურტყამდა, მაგრამ ქვაჩახიას რეაქციამ არ დააყოვნა — მან თავური სასწაულებრივად აიღო.

გავიდა 12 წუთი, არბიტრმა სოსო კახიანმა თამაში გააჩერა და ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის სტუმარი ტრაპაიძე და მასპინძელი აკოფიანი სამართლიანად მიაბრძანა მინდვრიდან.

მოსაწყენი ბოლო მატჩების შემდეგ მაყურებელიც ხასიათზე მოვიდა. ჩვეული ქომაგობა არ აკლდა „დილას“, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა...

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად წარიმართა. „კოლხეთი“ სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, „დილა“ კი კონტრშეტევებს ახორციელებდა.

გია ტყებუჩავას მიერ გაკეთებულმა შეცვლებმა კიდევ უფრო გამოაცოცხლა სტუმართა თამაში. ხუჭუამ და გაგა ჩიტაიამ ალლო აუღეს სიტუაციას.

ჩიტაიას გოლი კი ლამაზი გახლდათ. ისე, რომ არავინ ელოდა, გაგამ დაახლოებით ოცდახუთიოდე მეტრიდან უძლიერესად დაარტყა და გახევებულმა სოლოლაშვილმა თვალიღა გააყოლა ბურთს, რომელიც ცხრიანში ლამაზად შეფრინდა.

ფეხბურთელმა, რომელიც გორში გაზრდილია, ემოციურად გამოხატა თავისი წარმატება. ეს კი ქომაგმა ვერ აიტანა, შეურაცხყოფად მიიღო და მატჩის ბოლოს მცირე შეხლა-შემოხლაც მოხდა, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. გორელი გულშემატკივარი გატანილ გოლს არ გაუბრაზებია, ფეხბურთია და ეს ბუნებრივია, უბრალოდ, გორელ კაცს თავისი ქალაქის მიმართ ასეთი უპატივცემულობა არ უნდა გამოევლინაო.

მატჩის დასრულების შემდეგ გია ტყებუჩავამ თავის ფეხბურთელებს მადლობა უთხრა და ისიც შეახსენა, რა საპასუხისმგებლო შეხვედრა ელით „ვიტ ჯორჯიასთან“...

# რატომ იფურთხება ალა?

ბოლნისი
13 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
600 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:2 ბათუმი**

1:0 ისიანი (533), 1:1 ქორიძე (533), 1:2 სიდამონიძე (73)
სიონი: დალაქიშვილი (ვოლკოვი 46), ვ. მაისურაძე, კ. გოდერძიშვილი, დიმიტრიშვილი, სვანიძე, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (კენჭოშვილი 86), ნ. მინდიაშვილი, კ. გოგოლაძე, ისიანი (თ. სამხარაძე 58), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დ. ჯაფარიძე, მ. სამხარაძე, ფ. არჩვაძე
ბათუმი: ჩლაიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, კობიძე (თედორაძე 58), ქაცარავა (ღლონტი 70), გელა ქორიძე (მინდაძე 54), ხომერიკი, რომანაძე, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ტოგონიძე; სიხარულიძე, ბახტაძე
მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სოლაგავა (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

უცნაურია არა, მატჩის წინ ჯიგრით და ჟინით მებრძოლი ბოლნისური გუნდის გულშემატკივრები იმაზე ბჭობდნენ თუ რა ანგარიშით დამარცხდებოდა შაბათს მათი გუნდი. კარნევალიმაც რომ საკვირველი ნაბიჯი გადადგა? ტულუშის და მაჭუტაძის გარეშე ეწვია იტალიელი ქვემო ქართლს და უაღრესად პრინციპულ მატჩში („ბათუმს“ საევროპოდ ჰაერივით ესაჭიროებოდა მოგება) სათადარიგო შემადგენლობა შეაბა „სიონს“. თუმც რა, სტუმრებმა ისედაც უპრობლემოდ მიაღწიეს მიზანს და სამი ქულით ხელდამშვენებულნი გაბრუნდნენ შინ.

რა ჩანდა ტრიბუნიდან? ულიმღამო „სიონი“, მის კარს მიძალებული სტუმრები და ადრეც ნანახი, გადაღეჭილი სურათი. ბევრმა ბოლომდეც ვერ გაძლო და ალას გზას დაადგა, 53-ე წუთზე ფურთხებ-ფურთხებით რომ მიატოვა კუთვნილი ადგილი ტრიბუნაზე. მანამდე კი „ბათუმი“ უტევდა, მაგრამ ბოლნისელთა სათადარიგო მეკარე ნუგზარ დალაქიშვილი პროფესიულ პრინციპებს არ ღალატობდა. საწყის თხუთმეტ წუთში იგი თითქმის მარტო გაუმკლავდა ვერცხლისწყალივით მოძრავი აფხაზავას სახიფათო დარტყმებს. დალაქიშვილმა ორჯერ არჩვაძესა და ქაცარავასაც არ დაანება გატანა და თანაგუნდელი ისიანიც იშტაზე მოიყვანა. მისი მონდომება „ბათუმს“ კინაღამ ძვირად დაუჯდა — საჯარიმოში მარტოდმარტო დარჩენილმა ისიანმა ვარდნაში ძლიერად დაარტყა სტუმართა კარის მიმართულებით, ჩლაიძისა და „ბათუმის“ საბედნიეროდ, ბურთი მცირედით ასცდა კარს. მეორე ნახევარში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჯერ ვოლკოვი ჩადგა კარში, მოგვიანებით კი თემურ სამხარაძემ ისიანი შეცვალა, თუმც გასვლამდე შალვამ თავისი გასაკეთებელი მაინც გააკეთა — მისი გუნდის უიშვიათესი კონტრშეტევა საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებით დაასრულა, იქ კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, გამოცდილ მალხაზ მახარაძეს ბურთი ხელზე მოხვდა. პენალტი აშკარა იყო, მალალურაძემაც მცირე ჭოჭმანის შემდეგ თერთმეტმეტრიან ნიშნულისკენ მიუთითა. სტუმრები მსაჯს ამაოდ შემოეხვივნენ, ისიანმა დაწყებული საქმე აუღელვებლად დააგვირგვინა და ბურთი ჩლაიძის კარში შეაგორა. თამაში ცენტრიდან განახლდა და საჯარიმოში ხომერიკმა პასი მიიღო, მას დიმიტრიშვილი დაეწია და წააქცია. ისევ პენალტი და — 1:1. აქ ალამაც მიაფურთხა თამაშს, სტუმრებმა კი კიდევ უფრო შეუტიეს და ოც წუთში მიზანსაც მიაღწიეს. 73-ე წუთზე „სიონის“ დაცვამ მახარაძის შორეულ გადაცემას წაუყრუა და სიდამონიძეც პირისპირ აღმოჩნდა ყოფილ თანაგუნდელთან. ვოლკოვმა თვალიღა გააყოლა კარში შევარდნილ ბურთს...

# არ შეხვიდეთ, ჩაგწიხლავენ!

რუსთავი
13 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:2 სამგურალი**

0:1 ქუთათელაძე (30), 1:1 ვ. კილასონია (80), 1:2 დარსაძე (87)
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, გაბელაია (დ. ბერიძე 53), ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველაძე (კიტეიშვილი 72), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* გონგაძე; პატარიძე, ა. ბუკია, სილაგაძე, ბაჩილავა
სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ჩხაბერიძე, დარსაძე, გიორგობიანი, ბერაძე, საბუნაშვილი (ჭყონია 85), ხუნდაძე (ნებიერიძე 90), კვერნაძე (ვოსკანოვი 77), ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე
გაფრთხილება: ფრანგიშვილი (59), ბურნაძე (70), ჩხაბერიძე (74)
გაძევება: ბურნაძე (71)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ჯვარიძე, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

კობა ინასარიძე რუსთავიდან

— არ შეხვიდეთ! არ შეხვიდეთ! — მატჩის დამთავრების შემდეგ გაჰყვიროდა ფეხბურთის ფედერაციისგან რუსთავში მივლენილი ინსპექტორი ნიკა ამირეჯიბი და მსაჯებს თავისკენ ექაჩებოდა. „არ შეხვიდეთ, ჩაგწიხლავენ“ — კიდევ რამდენჯერმე გაუმეორა მან არბიტრს და მის თანაშემწეებს რომლებიც კარის ზღურბლზე იდგნენ და გასახდელში შეღწევას ლამობდნენ. რამდენიმე პოლიციელს ოთხივე მსაჯი შუაში მოექცია. ელოდნენ, როდის დამშვიდდებოდნენ რუსთაველი ფეხბურთელები, რამდენიმე წუთით ადრე ოთარ გუნთაძეს თანამსაჯებიანად კინაღამ თავ-ყბა რომ დაამტვრიეს. ბოლოს, როგორც იქნა, [illegible]ისხულებმა გასახდელში დაიგულეს თავი, კარი საგულდაგულოდ ჩარაზეს და დაახლოებით საათის შემდეგ დაბურულშუშებიანი მანქანით სამშვიდობოს გააღწიეს.

მონასტერი მაშინ აირია, როცა მეორე ტაიმის ზუსტად ნახევარი გაილია. ნახევარიო, კი ვამბობთ, მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მატჩის დამთავრებამდე უფრო მეტი დრო დარჩენილიყო. რამდენი თამაში მინახავს, მაგრამ არასდროს — 90 წუთისთვის მსაჯს ექვსიც წაემატებინოს. გუნთაძემ ასე გადაწყვიტა, მისი ნება არ იყო?

68-ე წუთი მიმდინარეობდა, სადლაც საჯარიმოს ხაზიდან გია კილასონიამ „სამგურალის“ კარისკენ ბურთს ღონივრად რომ დაჰკრა. მასპინძლებმა ხელები ასწიეს, ტრიბუნიდან ხალხი წამოიშალა. „პენალტია, ნაღდი პენალტი“ — ქომაგთა შეძახილებია. „არა“ — ჟესტით ანიშნებს გუნთაძე. სტუმართა მცველმა ფრანგიშვილმა ბურთს ხელით შეუცვალა მიმართულება. კარისკენ დარტყმული ბურთი აუტისკენ გაგორდა. თამაში სამი წუთით შეწყდა. ატყდა ერთი ამბავი. რუსთაველმა ფეხბურთელებმა, მეკარის გარდა, გუნთაძე მოიმწყვდიეს. ათნი ერთზე. მერე არბიტრს დოლიძე მიეშველა. ნერვების დაოკება ძნელი იყო.

საბოლოოდ? გუნთაძემ ბურნაძე ჯერ გააფრთხილა, წუთის შემდეგ მოედნიდან გააძევა.

განახლდა მატჩი. „გორდას“ ველარ ვცნობდით. კაცნაკლულები უკეთ ათამაშდნენ. გია კილასონიამ ორჯერ კიდევ გაისროლა, ორჯერვე სტურუამ იყოჩაღა, რუსთაველს არ გაატანინა. მე-80 წუთზე კი „სამგურალი“ ველარც მეკარემ იხსნა. ჩხაბერიძე უხეშად შეცდა, თავით ბურთს ხეირიანად ვერ შესწვდა და ვარლამ კილასონიაც სტურუასთან პირისპირ დარჩა. რუსთაველთა მეგოლეს ანგარიშის გათანაბრება აღარ გასჭირვებია, მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. გაიხარეს მასპინძლებმა და უფრო გააქტიურდნენ. მომენტებიც ბლომად ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სამაგიეროდ კი... უკვე ბექაურმა და ბედიაშვილმა შესცოდეს, მცველმა წყალტუბოელი დარსაძე თითქმის კუთხურის ხაზამდე „ჩააცილა“, მერე მეკარემაც დატოვა კარი, ბურთისკენ გაიქცა, სტუმარმაც ისარგებლა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

რუსთაველებს სამი წუთი ძირითადისა და ექვსიც წამატებული დროისა წინ ჰქონდათ. კიტეიშვილი, რომელსაც „გორდას“ მწვრთნელი ბოლო ხანს რატომღაც სათადარიგოდ ინახავს, ორჯერ ახლოს იყო კართანაც და მიზანთანაც, მაგრამ საბოლოო დარტყმა ორჯერვე გაუცუდდა. შტურმს შედეგი აღარ მოჰყოლია, არც კარისას, არც მსაჯებისას. გუნთაძემ ჩასტვინა და... გასახდელში შესასვლელად რამდენიმე წუთსაც იცადა...

მატჩი კი რუსთაველთა უდავო უპირატესობით დაიწყო და მთელი პირველი ტაიმიც ასევე გაგრძელდა. თამაშის დაწყებიდან 5 წუთში ნასიცხარმა გია კილასონიამ ხარიხაც შეაზანზარა, მაგრამ „გორდას“ ამით რა ხეირი? ნახევარ საათში „სამგურალმა“ პირველად შეუტია რუსთაველებს. კვერნაძე მარჯვენიდან შეიჭრა საჯარიმოში, ქუთათელაძეს ჩაუწოდა და წყალტუბოელთა ასევე პირველად კარში დარტყმული ბურთი ბედიაშვილის ზურგსუკან აღმოჩნდა.

ახლა სიტყვა ფედერაციაზეა. „ფოლადზე“ ინციდენტი მოხდა. იქით, მგონი, გუნთაძემ დააშავა, აქეთ — „გორდას“ ფეხბურთელებმა. მატჩამდე ხალხი იმასაც ამბობდა, „სამგურალის“ ხელმძღვანელობაც რაღაც-რაღაცეებს ცდილობდაო, მაგრამ საქართველოში ეს საქმე ხომ „მკვდარია“. არც არავის დამტკიცებია და არც არავის მოჰკითხვია...



რუსთაველი მიხეილ გაბელაია (მარცხნივ) და სამგურალელი ზვიად ქუთათელაძე

ნუგზარ [illegible]

# სათამაშო ჯარისკაცები

თბილისი
13 მაისი
18 საათი
ისანი
200 (ტევადობა 2 000)

**არსენალი 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ჯულელი (68)
**არსენალი:** კუპატაძე, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, შუკაკიძე, ქოიავა (ჩალაძე 66), სულაძე, ი. კაპანაძე (ნონკოლაური 75), კაკაშვილი, ა. ხმალაძე (გ. ტუღუში 69)
*სათადარიგო:* დ. ქაცარავა
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, ლ. მიქაძე, ხიზანიშვილი, კვარაცხელია (გილაური 81), დ. გოდერძიშვილი, რუსია, ჯულელი, ხუროძე (კაციაშვილი 46)
*სათადარიგონი:* ასლანაძე; სალუქვაძე, ლ. ჩხაიძე, რ. ონიანი, ბაქრაძე
**გაფრთხილება:** ირემაშვილი (12), ხუროძე (26)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

ვახტანგ ბზიკაძე

**მატჩის** საცქერლად მოსული ორასამდე ადამიანის სავსებით ბუნებრივი რეაქცია „ლოკომოტივის“ მწვრთნელთა სკამზე რევაზ ძოძუაშვილის მოძიება გახლდათ. მაგრამ რამდენიც უნდა ეცქირა ვინმეს სამარქაფო რკინიგზელებისკენ, მათ არემარეზე ძოძუაშვილის ლანდსაც ვერ აღმოაჩენდა. იქ არც თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი ჩანდა, ამ გაზაფხულზე დიდი ხმაურით რომ გამოსტაცა მოგვარე მწვრთნელმა მის მსურველ კლუბებს, „ვიტ ჯორჯიას“ კი ქუთაის — თბილისის შემადგენლობიდან, აქაოდა, რკინიგზა ჩვენი სფეროაო, ვაგონივით ჩაუხსნა.

უმცროსი ძოძუაშვილი ლამის ორი ტაიმი ფუჭად ხურდებოდა მინდორზე შესასვლელად. უფროსი კი, ყველას რომ ეგონა, „დინამო“ — „ტორპედოზე“ ქუთაისელთა დასაზვერად იყო, პირველ ტაიმში ჟურნალისტთა მხარდამხარ ლოჟაში იჯდა, მეორე ნახევარს კი აღმოსავლეთით ჩამწკრივებულ ჩინართა ჩეროდან ადევნა თვალყური.

თასის ფინალში მეტოქე „ტორპედოს“ კი შაბათს რევაზ ძოძუაშვილის თანაშემწე თემურ ჩხაიძე აკვირდებოდა და რა გამოიტანა „ეროვნულის“ არეული მატჩიდან, 26 მაისს „ეროვნულზევე“ გამოჩნდება.

არმიელები პირველი ლიგიდან ერთი დღის გავარდნილნი დაუხვდნენ რკინიგზელებს. პარასკევს „თბილისთან“ 4:0 მოგებით თსუ „არსენალისთვის“ „ბ“ ზონის მეოთხე მიუღწეველი გუნდი შეიქნა.

მით უფრო გასაკვირი იყო ასეთ ხელჩაქნეულ გუნდთან „ლოკომოტივის“ პირველტაიმური უგოლო ყაიმი — სამად-სამი საგოლე შანსი „არსენალის“ ერთის წინააღმდეგ...

მეოთხე წუთზე დავით გოდერძიშვილის დარტყმული ბურთი არმიელთა კარის ხარიხას ისე გადაევლო, როგორც სერგეი ბუბკა სძლევდა თავის მორიგ 6-მეტრიან თამასას. სამ წუთში კი აკაკი კაკაშვილმა ისე მოულოდნელად დააქუხა საჯარიმოს გარედან, არავინ დაიჯერებდა, რომ გეთქვათ, არმიელებს მეზარბაზნეები არ ჰყავთო. აკაკი-კაკო-კაკის (წლევანდელი „არსენალის“ ნამდვილად საუკეთესო ფეხბურთელია) დარტყმული გიორგი ლომაიამ შესაშური რეაქციითა და ნახტომით კუთხურზე გადააგდო და გოლი არც კუთხურს მოჰყოლია.

ეს იყო და გუნდებმა კიდევ 20 წუთის ისე უილაჯოდ სდიეს ბურთს, მეკარეთათვის საქმე აღარ მიუციათ.

27-ე წუთზე კი ლევან მიქაძემ საჯარიმოდან ახლო კუთხეში დარტყმული ოდნავ ააცილა კუპატაძის კარს.

ერთიც იყო, არმიელმა მცველებმა კარის ხაზიდან კვარაცხელიას დარტყმული ბურთი მოიგერიეს.

მორჩა ტაიმი და ძოძუაშვილმა სწორედ ალვის ხეთა ჩრდილში გაურჩია „ლოკომოტივს“ თამაში. თავად კი ეტყობა, ისე ეამა იქაურობა, თამაშის ცქერა ადგილის მოუცვლელად განაგრძო.

კიდევ 23 წუთს „ლოკომოტივი“ უკბილოდ უტევდა და „არსენალიც“, როგორც შეეძლო, ცდილობდა, მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. რკინიგზელებმა შეცვლაზე მოთამაშე გენადი კაციაშვილი დატვირთეს და ისიც მარჯვენაფლანგური ჩაწოდებებით ამარაგებდა თანაგუნდელებს.

სტუმართა თავდასხმას ერთხანს ზვიად კუპატაძე სჯობნიდა გამოსვლებისას. მერე კი თავდამსხმელებს გივი კვარაცხელია შეეშველა, თავით გოდერძიშვილის ჩაწოდებულს ახლო ძელთან შეეგება, მეკარე დუელში არ აზეირა და ბურთი ჯულელის საკბილოდ აქცია. „ლოკომოტივის“ ვეტერანს დაუცველ კარში კარგი დარტყმა არ გასჭირვებია და წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში მეშვიდე, სულ კი 93-ე გოლი გაიტანა.

წლეულს ალბათ ველარ შეძლებს, მაგრამ თუ გაისადაც ჩვენს პირველ ლიგაში ითამაშა ჯულელმა, ასიანთა კლუბში შესვლით საკუთარი სახელის უკვდავყოფა არ გაუჭირდება.

დარჩენილ დროში საყურადღებო და კარგი სანახავი ერთი ეპიზოდიც იყო: კაციაშვილის მორიგ ჩაწოდებას თავი შეაგება ახლო ძელთან გაფრენილმა მამუკა რუსიამ. ვინმეს რომ გაეზომა, ეგებ რუსიას სიგანეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდიც დაემყარებინა, მაგრამ ამისთვის ვინ მოიცლიდა, როცა... კუპატაძემ, აბა, ჩემიც ნახეთო, იფრინა და კუთხურზე გადააგდო თითქოსდა აუღებელი ბურთი.

დარჩენილ დროში არსენალელები ისეთი მონდომებით ასრულებდნენ სტატისტების როლს, სათამაშო ჯარისკაცები მოგაგონდებოდათ. დასანანი კია არმიული კლუბის გავარდნა მეორე ლიგაში, სადაც შესაძლოა გაისად საკუთარი ფარმ-კლუბიც დახვდეს, მაგრამ...

არა, ასეთი არმია ჩვენ არ გვჭირდება!

# ოვაციები ნიქაბერიძეს

თბილისი
13 მაისი
18 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:0 ხობი**

1:0 დავითაშვილი (90)
როსტიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (14, მეკარე)
**მერანი:** ნაჭყეპია, ლ. ამბიძე (დავითაშვილი 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, გ. ილურიძე (ლ. თოლორდავა 73), კობესაშვილი, ხორხელი, კაკაბაძე, ბოლქვაძე (ჭინჭარაული 72), გუჯაბიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კორომინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, კოშკაძე
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, ჯიქია, ოდიშარია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, დ. ჩიტაია, ქაშიბაძე, აბაკელია, ჭიჭინაძე, ვ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; მ. ბუკია, ლატარია, ბერაია, მ. ტყებუჩავა
**გაფრთხილება:** აიანადი (18), ამბიძე (23), ბოლქვაძე (26), ცქიფურიშვილი (87)
**გაძევება:** ჯამბურია (14), რ. თოლორდავა (90)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი; ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

მამუკა კვანტალიანი

„**მსგავსი** არაფერი მინახავს“ — გაკვირვებული შლიდა ხელებს მატჩის ინსპექტორი ნოდარ კაკულია. ის კი არა, „სინათლეზე“ „მერანის“ მხარდასაჭერად მისულმა მაყურებელმა მეორე ტაიმში თავისი საყვარელი გუნდი თითქმის დაივიწყა და სტუმართა მეკარის ყოველ აღებულ თუ მოგერიებულ დარტყმას ოვაციებით ხვდებოდა.

პირველივე წუთებიდან იბომბებოდა ხობელთა კარი, მაგრამ ბურთი ჯიუტად არ შედიოდა კარში. ნაჭყეპიას გარდა მინდორზე მყოფ ყველა მერანელს შეეძლო გატანა, მაგრამ ხან ნიქაბერიძე იდგა კლდესავით, ხან ძელ-ხარიხა ეხმარებოდა მეკარეს, ხანაც მცველები თამაშობდნენ თავდადებით.

სტუმართა რბევა თითქოს თამაშის მეთოთხმეტე წუთზე უნდა დაწყებულიყო. „მერანის“ მორიგი შეტევის შემდეგ ხობელთა მცველმა ბურთი კარიდან ხელით გამოიტანა. მსაჯმა სტუმრები კაცნაკლული დატოვა, ხოლო მასპინძლებს თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება უბოძა.

როგორც მანამდე, ნიქაბერიძემ ახლაც ივაჟკაცა. როსტიაშვილს პენალტი აულო.

პირველ ტაიმში რომ ვერაფერი გააწყო, „მერანი“ მეორეში უფრო მონდომებული გამოვიდა მინდორზე, მაგრამ...

ერთიმეორის მიყოლებით გაცუდებული მომენტების შემდეგ „მერანმა“ როგორღაც მოახერხა სტუმართა კარის დალაშქვრა, მაგრამ შილაკაძემ სამართლიანად არ ჩათვალა დავითაშვილის გატანილი გოლი. თამაშგარე აშკარა იყო.

ამის მერე მასპინძელთა სათადარიგოთა სკამი ფეხზე დადგა. რატომღაც ძალიან ნერვიულობდნენ მერანელები.

ბოლოს, მსაჯის მიერ დამატებული წუთები რომ დაიწყო, „მერანმა“ მაინც გაიტანა — დავითაშვილმა მეკარეს ბურთი ააცილა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ნიქაბერიძემ ამჯერად ველარ იხსნა „ხობი“, თავს ზემოთაც ძალა არ იყო.

სტუმრებმა ის-ის იყო, ცენტრიდან თამაში განაახლეს, რომ შილაკაძე სათადარიგოებთან მიირბინა და კიდევ ერთხელ აღმართა წითელბარათიანი ხელი. ამჯერად ხობელთა სათადარიგო მეკარე გააძევეს. მსაჯის თქმით, რომან თოლორდავამ შეიგინა.

ასე იყო თუ ისე, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საბოლოოდ კი ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა.



## ინგლისი

XXXVIII ტური

### ასტონ ვილა 0:1 მანჩესტერი

:1 შერინგემი (65)
სტონ ვილა: ენკელმანი, ეპიოგუ, საუთგეიტი, ბერი, დილანი, ბოატენგი (ტომპსონი 80), ჰენდრი (ტეილორი 64), მერსონი, ა. რაიტი, დაბლინი, კარბონე (ჯოუჩიმი 59)
ნვრთნელი: ჯონ გრეგორი
ანჩესტერი: ვან დერ გოუ, ფ. ნევილი, ბერგი, სილვესტრი, ირვინი, ჰიგინბოთომი (უოლვორკი 46), შერინგემი, სქოულზი, გიგზი, იორკი, სოლსკიაერი (კრუიფი 77)
ნვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
აფრთხილება: დილანი, სქოულზი, კრუიფი
საჯი: დარკინი
9 217 მაყურებელი

### ბრედფორდი 1:0 ლივერპული

:0 ვეზეროლი (12)
რედფორდი: კლარკი, *ჰალე, ვეზეროლი, ო'ბრაიენი, შარპი, ლოურენსი, მაკოლი, დრეიერი, ბიგრი (ჯაკობსი 81), სონდერსი (რენკინი 78), უინდასი
ნვრთნელი: პოლ ჯუელი
ივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ჰიიპია, ენჩოსი, მატეო (მეიერი 82), რედნაპი, ბერგერი (კამარა 61), ჰამანი, ჯერარდი (შმიცერი 61), ჰესკი, ოუენი
ნვრთნელი: ჟერარ ულიე
აფრთხილება: დრეიერი, ენჩოსი, ჰამანი
საჯი: გალაჰერი
8 276 მაყურებელი

### ჩელსი 4:0 დერბი ქაუნთი

:0 ძოლა (47), 2:0 პოიეტი (55), 3:0 დი მატეო (69), 4:0 ფლო (90)
ელსი: კუდიჩინი, ფერერი (მელხიოტი 32), დესაი (ტერი 57), ლებეფი, ბაბაიარო, დი მატეო, უაიზი, დეშამპი, პოიეტი (ამბროზეტი 64), ფლო, ძოლა
ნვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
ერბი ქაუნთი: პოომი, დელაპი (ჯექსონი 64), ლაურსენი, ს. ელიოტი (რიგოტი 56), დორიგო, ბარლი, ბოჰინენი (მიურეი 64), ჯონსონი, სტარიჯი, დ. ბარტონი, კრისტი
ნვრთნელი: ჯიმ სმიტი
აფრთხილება: დი მატეო
საჯი: უინტერი
5 084 მაყურებელი

### ევერტონი 0:2 მიდლსბრო

დინი (8), 0:2 ჟუნინიო (86)
ვერტონი: ჟერარი, დანი, ვეირი (მილიგანი 46), ანსუორთი, ბოლი, ბარმბი, პათჩისონი, კოლინზი, ს. ჰიუზი, ჯევონსი (ჯეფერსი 46), მარკ ჰიუზი
ნვრთნელი: უოლტერ სმიტი
იდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ფესტა, ვიკერსი, ფლემინგი, სტამპი (სტოკდეილი 68), ინსი, მასტო, ჟუნინიო, ე. კემპბელი (მედისონი 81), დინი
ნვრთნელი: ბრაიან რობსონი
აფრთხილება: დანი, ფლემინგი, ფესტა, სტამპი, მასტო, ინსი
საჯი: ჰარისი
4 663 მაყურებელი

### ნიუკასლი 4:2 არსენალი

:0 სპიდი (6), 1:1 კანუ (7), 2:1 შირერი (23), 2:2 მალცი (53), 3:2 სპიდი (59), 4:2 გრიფინი (63)
იუკასლი: გივენი, გრიფინი, ჰაუი, დაბიზასი, უ. ბარტონი, სოლანო (მარიჩი 86), დაიერი, ლი (მაკკლენი 89), სპიდი, ქეცბაია (გალაჰერი 77), შირერი
ნვრთნელი: ბობი რობსონი
რსენალი: მანინგერი, ლუჟნი, კიოუნი, უესტონი (მაკგოვერნი 67), ს. კოული, პარლოუ (სილვინიო 46), ვერნასა, უინტერბერნი, მალცი, კანუ (გრეი 71), შუკერი
ნვრთნელი: არსენ ვენგერი
აფრთხილება: შუკერი
საჯი: პოლი
6 450 მაყურებელი

### შეფილდ უენსდი 4:0 ლესტერი

0 ქუინი (14), 2:0 ბუტი (40), 3:0 ალექსანდერსონი (49), 4:0 დე ბილდე (61)

# მშვიდობით, ვომბლზ!



REUTERS ბრედფორდიდან

ბრედფორდი — ლივერპული 1:0. მაიკლ ოუენმა (მარცხნივ) და ლივერპულელებმა ენდრიუ ო'ბრაიენს და მის თანაგუნდელებს ვერაფერი დააკლეს

შეფილდ უენსდი: პრესმენი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი (ჰასლამი 77), ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი (სონერი 68), იონკი, ჰორნი (კროსველი 86), ე. ქუინი, ბუტი, დე ბილდე
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
ლესტერი: არპეშადი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, ჯილკრისტი (უოლში 46), იმპი (ოუქსი 46), ლენონი, იზეტი, სევიჯი, გაპი, კოტი (მარშალი 69), ედი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
მსაჯი: ელერეი
21 656 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 2:0 უიმბლდონი

1:0 ბრიჯი (57), 2:0 პახარსი (79)
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, ტაპარი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, ტესემი, ოუკლი, სოლტვედტი (მარსდენი 77), კაჩლული (როდრიგესი 84), პახარსი, დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
უიმბლდონი: სალივანი, იუპი, ჰრეიდარსონი, ბლექველი (ფრანცისი 82), ტეტჩერი, ანდერსენი, კორტი, ერდლი, კიმბლი, გეილი (ბადირი 74), იუელი
მწვრთნელი: ტერი ბარტონი
გაფრთხილება: იუელი, კიმბლი, ბლექველი
მსაჯი: ლოჯი
15 249 მაყურებელი

### ტოტენჰემი 3:1 სანდერლენდი

1:0 ანდერტონი (113), 1:1 მაკინი (20), 2:1 შერვუდი (73), 3:1 კარი (83)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, პერი, კემპბელი, კინგი, ლეონარდსენი (შერვუდი 41), ფროინდი, ანდერტონი, ჟინოლა, ივერსენი (დოჰერთი 46), კ. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი (ჰოლოვეი 72), პ. ბატლერი, კრადოკი, გრეი, სამერბი, ტირლველი (რაე 64), რუა, ოსტერი (კილბეინი 62), ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაძევება: რაე (89)
მსაჯი: რილი
36 070 მაყურებელი

### უოტფორდი 1:0 ქოვენთრი

1:0 ჰელგუსონი (43)
უოტფორდი: დეი, კოქსი (გიბსი 51), პეიჯი, უორდი, რობინსონი, ბონოტი, პალმერი, პერპეტუინი, ჰელგუსონი, ტ. სმიტი, მუნი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ქოვენთრი: ჰედმანი, ბრინი, შოუ, უილიამსი (გუსტაფსონი 46), ტელფერი, მ. ჰაჯი, ჩიპო, მაკალისტერი, ველანი, რობი კინი, ზუნიგა (ნორმანი 34)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: პერპეტუინი, ტელფერი, ჩიპო
მსაჯი: რენიე
18 977 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 0:0 ლიდსი

ვესტ ჰემი: ბივატერი, მარგასი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი, პოტსი, ტ. სინკლერი, ფოე, მონკუ, დი კანიო, ვანჩოპე, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, რადებე, მილსი, ჯოუნსი, ბაკე (ბოიერი 78), მაკფაილი, უილკოქსი (ჰაკერბი 88), ბრიჯისი (ა. სმიტი 29), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: მონკუ, კანო, მილსი, ბოიერი
გაძევება: ფოე (90)
მსაჯი: ბარბერი
26 044 მაყურებელი

„მშვიდობით, ვომბლზ" — ამგვარი პლაკატი გამოეტანათ ბრედფორდის „პალზის" სტადიონზე იქაურ გულშემატკივრებს.

„ვომბლზ", რა თქმა უნდა, „უიმბლდონია", რომელიც პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში საუთჰემპტონს სტუმრობდა. თავად „ბრედფორდი" კი „ლივერპულს" მასპინძლობდა.

ამ ბოლო დღის მთავარი ინტრიგაც ეს იყო — თუ „ბრედფორდი" ვერ მოიგებდა, ხოლო „უიმბლდონი" ფრეს მაინც გაახერხებდა, ეს უკანასკნელი პრემიერლიგაში დარჩებოდა, „ბრედფორდი" კი წაჩვევ პირველ დივიზიონს დაუბრუნდებოდა. ამასთან, „ლივერპულს" აუცილებლად უნდა მოეგო (ისევე, როგორც „ბრედფორდს") რათა ჩემპიონთა ლიგის საგუზრისთვის ბრძოლის შანსი ბოლომდე გამოეყენებინა. მისი უშუალო კონკურენტი, „ლიდსი" „აპტონ პარკზე" სტუმრობდა „ვესტ ჰემს".

„ბრედფორდ" — „ლივერპული" ტურის ყველაზე მშფოთვარე და ცეცხლოვანი თამაში იყო. მთელი სეზონის განმავლობაში არ გაეტანა მასპინძელთა მცველ დევიდ ვეზეროლს და უკვე მეთორმეტე წუთზე მოხდენილი თავურით გახსნა ანგარიში. ამ დროს საუთჰემპტონში ჯერ კიდევ 0:0 იყო და იქაურ „დელზე" მყოფ „უიმბლდონის" გულშემატკივრებს თვალი მინდვრისკენ ჰქონდათ, ყური კი ჯიბის რადიოებისაკენ, აბა, ბრედფორდში რა ხდებაო. ასევე იყო „პალზის" ტრიბუნებზეც, სადაც მხსნელი ცნობა მეორე ტაიმის მეთორმეტე წუთისთვის მოვიდა — „შინდან" ვეინ ბრიჯს საჯარიმოდან დარტყმული ბურთი კედლისთვის შემოეტარებინა და შემცდარი ნილ სალივანის კარში შეეგდო.

ამასობაში „ლივერპული" თავზეხელაღებით უტევდა. მთავარი კაცი მაიკლ ოუენი იყო, რომელმაც სამჯერ მაინც ვერ გაიტანა ნაღდი გოლი. მისი ერთი დარტყმული გუნარ ჰალემ კარის ხაზიდანაც გამოიტანა. ჟერარ ულიემ მოედანზე შემოყარა ტიტი კამარა, ვლადიმირ შმიცერი და ერიკ მეიერი, მაგრამ ამ ნახევარმცველთა გამოჩენას გადამწყვეტი არაფერი მოუტანია. „ბრედფორდი" კი სახიფათოდ იჩხვლიტებოდა: პირისპირ გასულმა აიზეა რენკინმა ოდნავ ააცილა ცარიელ კარს, ჯონ ვინდასის ცენტრიდან დაკრული კი მარჯვენა ცხრიანიდან ძლივს გამოაძრო სანდერ ვესტერველდმა.

80-ე წუთზე ბრედფორდი ღრიალმა შეძრა: ეს მარიან პახარსმა დაატრიალა ჩიკორი „დელზე" და „უიმბლდონს" მეორე გოლი გაუტანა. მერე მსაჯმა აუტი დანიშნა. მთელმა ბრედფორდმა ჩათვალა, რომ შეხვედრა დასრულდა და მოედანზე იხუვლა. გადარეული გულშემატკივრები ძლივს დააბრუნეს ტრიბუნებზე, მაგრამ ერთ წუთში თამაში მართლა დამთავრდა და იგივე განმეორდა — „ბრედფორდმა" მოიგო თავის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თამაში და პრემიერლიგაში დარჩა! შარშანდლამდე ოთხმოც წელიწადს არ ყოფილა აქ და ახლა დარჩა. „უიმბლდონი" კი თოთხმეტ წელიწადს იყო პრემიერლიგაში. თავის ნახევარსაუკუნოვან პროფესიულ ისტორიაში ეს იყო ერთადერთი გუნდი, რომელიც არასოდეს გავარდნილა რომელიმე ლიგიდან და ახლა საერთო ეროვნული დივიზიონისკენ გაუდგა გზას. „უიმბლდონი" ყოველთვის ერთადერთი რამით იყო ცნობილი — კბილებით. ნორვეგიელმა მწვრნთელმა ეგელ ოლსენმა ეს კბილები დააძრო გუნდს და შედეგად გადადგომა და ბევრად უარესი, კლუბის პრემიერლიგიდან გავარდნა მიიღო.

„ლივერპული" კი ვერ გაძვრა ჩემპიონთა ლიგაში, ჩემპიონატს ისე გამოეთხოვა, რომ ბოლო ხუთ ტურში გოლი ვერ გაიტანა. ლიგაში „ლიდსია", რომელმაც უგოლო ფრედ დაასრულა შეხვედრა „აპტონ პარკზე".

„უიმბლდონთან" ერთად გავარდნილმა „უოტფორდმა" და „შეფილდმა" კარი გაიჯახუნეს — ორივემ მშრალად შეინახა კარი და ორივემ მოიგო.

პრემიერლიგა სტუმრად მოგებით დაასრულა ჩემპიონმა, რომელმაც ბირმინგემში იმარჯვა ტედი შერინგემის გოლით, მეორე ადგილოსანმა „არსენალმა" კი 2:4 წააგო ნიუკასლში. „ჩელსიმ" კი იოლად სძლია „დერბის". გადამწყვეტი თამაში ვიალის გუნდს „უემბლიზე" ელის, სადაც ამ შაბათს „ასტონ ვილას" ხვდება ასოციაციის თასის ფინალში. მოგებული, უეფას თასის საგზურს იღებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 38 | 28 | 7 | 3 | 97:45 | 52 | 91 | 19 | 15 | 4 | 0 | 59:16 | 43 | 49 | 19 | 13 | 3 | 3 | 38:29 | 9 | 42 |
| 2 არსენალი | 38 | 22 | 7 | 9 | 73:43 | 30 | 73 | 19 | 14 | 3 | 2 | 42:17 | 25 | 45 | 19 | 8 | 4 | 7 | 31:26 | 5 | 28 |
| 3 ლიდსი | 38 | 21 | 6 | 11 | 58:43 | 15 | 69 | 19 | 12 | 2 | 5 | 29:18 | 11 | 38 | 19 | 9 | 4 | 6 | 29:25 | 4 | 31 |
| 4 ლივერპული | 38 | 19 | 10 | 9 | 51:30 | 21 | 67 | 19 | 11 | 4 | 4 | 28:13 | 15 | 37 | 19 | 8 | 6 | 5 | 23:17 | 6 | 30 |
| 5 ჩელსი | 38 | 18 | 11 | 9 | 53:34 | 19 | 65 | 19 | 12 | 5 | 2 | 35:12 | 23 | 41 | 19 | 6 | 6 | 7 | 18:22 | -4 | 24 |
| 6 ასტონ ვილა | 38 | 15 | 13 | 10 | 46:35 | 11 | 58 | 19 | 8 | 8 | 3 | 23:12 | 11 | 32 | 19 | 7 | 5 | 7 | 23:23 | 0 | 26 |
| 7 სანდერლენდი | 38 | 16 | 10 | 12 | 57:56 | 1 | 58 | 19 | 10 | 6 | 3 | 28:17 | 11 | 36 | 19 | 6 | 4 | 9 | 29:39 | -10 | 22 |
| 8 ლესტერი | 38 | 16 | 7 | 15 | 55:55 | 0 | 55 | 19 | 10 | 3 | 6 | 31:24 | 7 | 33 | 19 | 6 | 4 | 9 | 24:31 | -7 | 22 |
| 9 ვესტ ჰემი | 38 | 15 | 10 | 13 | 52:53 | -1 | 55 | 19 | 11 | 5 | 3 | 32:23 | 9 | 38 | 19 | 4 | 5 | 10 | 20:30 | -10 | 17 |
| 10 ტოტენჰემი | 38 | 15 | 8 | 15 | 57:49 | 8 | 53 | 19 | 10 | 3 | [illegible] | 40:26 | 14 | 33 | 19 | 5 | 5 | 9 | 17:23 | -6 | 20 |
| 11 ნიუკასლი | 38 | 14 | 10 | 14 | 63:54 | 9 | 52 | 19 | 10 | 5 | 4 | 42:20 | 22 | 35 | 19 | 4 | 5 | 10 | 21:34 | -13 | 17 |
| 12 მიდლსბრო | 38 | 14 | 10 | 14 | 46:52 | -6 | 52 | 19 | 8 | 5 | 6 | 23:26 | -3 | 29 | 19 | 6 | 5 | 8 | 23:26 | -3 | 23 |
| 13 ევერტონი | 38 | 12 | 14 | 12 | 59:49 | 10 | 50 | 19 | 7 | 9 | 3 | 36:21 | 15 | 30 | 19 | 5 | 5 | 9 | 23:28 | -5 | 20 |
| 14 ქოვენთრი | 38 | 12 | 8 | 18 | 47:54 | -7 | 44 | 19 | 12 | 1 | 6 | 3[illegible]:22 | 16 | 37 | 19 | 0 | 7 | 12 | 9:32 | -23 | 7 |
| 15 საუთჰემპტონი | 38 | 12 | 8 | 18 | 45:62 | -17 | 44 | 19 | 8 | 4 | 7 | 26:22 | 4 | 28 | 19 | 4 | 4 | 11 | 19:40 | -21 | 16 |
| 16 დერბი | 38 | 9 | 11 | 18 | 44:57 | -13 | 38 | 19 | 6 | 3 | 10 | 22:25 | -3 | 21 | 19 | 3 | 8 | 8 | 22:32 | -10 | 17 |
| 17 ბრედფორდი | 38 | 9 | 9 | 20 | 38:68 | -30 | 36 | 19 | 6 | 8 | 5 | 26:29 | -3 | 26 | 19 | 3 | 1 | 15 | 12:39 | -27 | 10 |
| 18 უიმბლდონი | 38 | 7 | 12 | 19 | 46:74 | -28 | 33 | 19 | 6 | 7 | 6 | 30:28 | 2 | 25 | 19 | 1 | 5 | 13 | 16:46 | -30 | 8 |
| 19 უენსდი | 38 | 8 | 7 | 23 | 38:70 | -32 | 31 | 19 | 6 | 3 | 10 | 21:23 | -2 | 21 | 19 | 2 | 4 | 13 | 17:47 | -30 | 10 |
| 20 უოტფორდი | 38 | 6 | 6 | 26 | 35:77 | -42 | 24 | 19 | 5 | 4 | 10 | 24:31 | -7 | 19 | 19 | 1 | 2 | 16 | 11:46 | -35 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 30 |
| შირერი (ნიუკასლი) | 23 |
| იორკი (მანჩესტერი) | 20 |
| ე. კოული (მანჩესტერი) | 19 |
| ანრი (არსენალი) | 17 |
| დი კანიო (ვესტ ჰემი) | 16 |
| ნ. ქუინი (სანდერლენდი) | 14 |
| ივერსენი (ტოტენჰემი) | 14 |
| არმსტრონგი (ტოტენჰემი) | 14 |

### პირველი დივიზიონი

პლეი ოფი. I მატჩები

**ბირმინგემი 0:4 ბარნსლი**

0:1 შიპერლი (12), 0:2, 0:3 დიერი (48, 60), 0:4 ჰინეტი (84)

**ბოლტონი 2:2 იფსვიჩი**

1:0 ჰოლდსუორთი (6), 2:0 გუდიონსონი (28), 2:1, 2:2 სტიუარტი (38, 65)

### მეორე დივიზიონი

პლეი ოფი. I მატჩები

**მილუოლი 0:0 უიგანი**

**სტოკი 3:2 ჯილინგემი**

1:0 გუნლაუგსონი (1), 2:0 ლაითბორნი (8), 2:1 გუდენი (18), 3:1 ტორნი (67), 3:2 ჰესენტალერი (90)

### მესამე დივიზიონი

პლეი ოფი. I მატჩები

**ბარნეტი 1:2 პიტერბრო**

0:1 ლი (5), 1:1 არბერი (22), 1:2 კლარკი (68)

**ჰარტლპული 0:2 დარლინგტონი**

0:1 ლიდლი (35), 0:2 გაბიადინი (763)

## გერმანია

XXXIII ტური




ლევერკუზენი — აინტრახტი 4:1. ლევერკუზენელი შტეფან ბაინლიხი (№22) ჯარიმიდან მეტოქის კარის დალაშქვრას ცდილობს

# ქართველებმა ფრაიბურგი დატოვეს

### ფრაიბურგი 2:1 ლაუტერნი

0:1 პეტერსონი (21), 1:1 სელიმი (42), 2:1 კობიაშვილი (59)

იაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (84, შონბერგმა აუღო)

ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, პერმელი, ა. ცაიერი, ვილი (შუმანი 61), ვაისჰაუპტი (კონდე 86), კობიაშვილი, ბაია, სელიმი (რამდანე 74), იაშვილი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი (გოსპოდარეკი 31, როოსი 46), ბასლერი, ჰ. კოხი, სფორცა, შონბერგი, რამზი, შტრასერი, ბუკი (მარშალი 61), რაიხი, ხრისტოვი, პეტერსონი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

გაფრთხილება: იაშვილი, ბასლერი

მსაჯი: შტრამპე

25 000 მაყურებელი

### მიუნხენი 2:1 ჰერტა

1:0 შმიდტი (22ს.კ.), 2:0 მაქსი (58), 2:1 დაეი (77)

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი, ზელიჩი, კურცი, რიდლი (გრაილიხი 57), ტაისი, ბორიმიროვი, ჩერნი, ჰესლერი (შროტი 87), მაქსი, აგოსტინო

მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი

ჰერტა: კირალი, შმიდტი (როი 76), ვან ბურიკი (დაეი 64), სვერისონი, დარდაი, რემერი, სანე, დაისლერი, ვოში, ალექს ალვეში, პრეეცი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: ჰესლერი, კურცი, რიდლი, სანე

მსაჯი: კრუგი

47 800 მაყურებელი

### დორტმუნდი 1:1 შალკე

0:1 სანდი (57), 1:1 ნიეგუსი (82)

დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი (კ. ბაუმანი 50), როიტერი, ნიეგუსი, ევანილსონი (ჯ. რეინა 73), სტევიჩი, დედე, მიოლერი, ადო, ბობიჩი (ჰერლიხი 46), ბარბარესი

მწვრთნელი: უდო ლატეკი

შალკე: რეკი, ვალდოხი, ჰაჰე, ტონი, ვან კერკჰოვენი, ლატალი (ჰელდი 84), კამპუისი, ნემეცი, ვილმოტსი, სანდი (აიგენრაუხი 79), ე. მპენზა (ასამოა 87)

მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი

გაფრთხილება: ჰერლიხი, ვიორნსი, ლატალი, ტონი, ვან კერკჰოვენი, ვილმოტსი

გაძევება: ნემეცი (27)

მსაჯი: ფანდელი

68 600 მაყურებელი

### ჰანზა 1:4 შტუტგარტი

0:1 განეა (6), 0:2 გერბერი (21), 0:3 ლისტეში (46), 0:4 პინტო (67), 1:4 სოლდო (78ს.კ.)

ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ვაილანდტი, ცალმანი, ვიბრანი, ლანცი, ლანგე (აჰინფუფი 46), ემარა (ოსვალდი 46), ბრაიტკროიცი (ბრანდი 60), აგალი, არვიდსონი

მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი, სოლდო, ბორდონი, კარნელი, ტიამი (ენდრესი 72), ლისტეში, ბალაკოვი (პინტო 46), კუკა (კელერი 59), გერბერი, განეა

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ბრანდი, ცალმანი, სოლდო, ტიამი

გაძევება: ბენკენი (43), ბორდონი (58)

მსაჯი: ვაკი

16 000 მაყურებელი

### ჰამბურგი 3:0 უნტერჰახინგი

1:0 გროთი (41), 2:0 იუსალი (51), 3:0 პრეგერი (89)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ფ. ერნსტი (ფიშერი 75), ბაბაცი (შპიორლი 61), გროთი, გრავესენი, მაჰდავიკია, პრეგერი, იუსალი (ბერონი 77)

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

უნტერჰახინგი: ტრემელი, ბუხერი, ბერგენი, ზაიფერტი, შტრაუბე, დ. შვარცი (ობერლაიტნერი 78), ჰაბერი, კიოგლი (ზაიცი 55), მატიას ციმერმანი, გარსია (რაკლი 55), ბრაიტენრაიტერი

მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი

მსაჯი: ვეზელი

46 500 მაყურებელი

### ვერდერი 4:0 დუისბურგი

1:0 პიზარო (4), 2:0 ბოდე (18), 3:0, 4:0 ჰერცოგი (69ვ, 76)

ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, აილტსი, ფ. ბაუმანი, მ. ბოდე, ფრინგსი (ფლოკი 77), ტრარესი, ვიკი (დაბროვსკი 67), ა. ჰერცოგი, პიზარო (აილტონი 64), ბოგდანოვიჩი

მწვრთნელი: თომას შააფი

დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, კოვაჩევიჩი, ვოლერტი, შტეფენი, ვოლტერსი (ვედაუ 57), ჰაიტო, ჰირში, მ. ცაიერი, ბაიერლე, რაისი (გუვენისიკი 57)

მწვრთნელი: ზეპო აიხკორნი

გაფრთხილება: ჰირში

მსაჯი: ალბრეხტი

30 530 მაყურებელი

### არმინია 0:3 ბაიერნი

0:1 სალიჰამიჯიჩი (28), 0:2, 0:3 ელბერი (32, 42)

არმინია: ციგლერი, კლიცპერა, შტრატოსი, მაისნერი, შ. ბოდე, ჰოფშნაიდერი (პეტერსი 59), მაული, მ. ვაისენბერგერი, ბომე (რიდლევიჩი 79), ვან დერ ვენი (ვიშნიარეკი 79), ლაბადია

მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი

ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი (შტრუნცი 73), პაულო სერჟიო (ვისინგერი 83), სანტა კრუზი, ელბერი (შოლი 59)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ჰოფშნაიდერი, მაისნერი, ელბერი

მსაჯი: ფრიოლიხი

27 600 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:1 აინტრახტი

1:0 ნოიცილი (10), 1:1 კრახტი (40), 2:1 კირსტენი (56), 3:1 პაულო რინკი (72), 4:1 ბაინლიხი (81პ)

ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, ტ. ჰოფმანი, რ. კოვაჩი, ემერსონი, ბალაკი, ბაინლიხი, ნოივილი (პონტე 81), ბ. შნაიდერი, კირსტენი (ბრდარიჩი 79), პაულო რინკი (გრეშკო 86)

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, რასიევსკი, ცამპახი (ჰელდტი 46), ბინდევალდი, შური, გუიე მიენი (რაიხენბერგერი 75), გებჰარდტი (სობოტჩიკი 65), სალუ

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: სალუ, შური

მსაჯი: მერკი

22 500 მაყურებელი

### ულმი 2:0 ვოლფსბურგი

1:0 ზდრილიჩი (9), 2:0 ვან დერ ჰაარი (87)

ულმი: ლაუქსი, კონრადი (ბოდოგი 69), მარკეში, შტადლერი, კინკელი, ოტო, მაიერი, უნსოლდი, ლეანდრო, ვან დერ ჰაარი (როსლერი 89), ზდრილიჩი

მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, ტომსენი, ბალვანცი (აკონორი 59), კრიგერი, ნოვაკი, მალტრიცი (ბანზა 46), ვაისერი, მუნტეანუ (რიშე 76), აკპობორი, იუსკოვიაკი

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: ლეანდრო, აკპობორი, ბალვანცი, ბანზა

გაძევება: აკპობორი (79)

მსაჯი: იანსენი

22 000 მაყურებელი

„ფრაიბურგი“ — „კაიზერსლაუტერნის“ მატჩის 84-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა. ჯარიმის შესრულება ფრაიბურგელთა ქართველმა თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა ითავა, გამოექანა, დაარტყა და... „კაიზერსლაუტერნი“ მესამე გოლისგან გუნდის დანიელმა ნახევარმცველმა მიხაელ შიონბერგმა იხსნა, რომელმაც იაშვილს კუთხე გამოუცნო და ბურთი მოიგერია. დიახ, მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში სტუმართა კარს ნახევარმცველი იცავდა. „ლაუტერნის“ პირველი მეკარე გეორგ კოხი 31-ე წუთზე დაშავდა და გოსპოდარეკმა შეცვალა, მალე გოსპოდარეკიც დაიმტვრა და ოტო რეჰაგელი იძულებული გახდა, შიონბერგს ნდობოდა. დანიელმა ისე ითამაშა, თავის გუნდში ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. იქნებ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობისთვისაც გამოეკრა ხელი, კობიაშვილს რომ დაენებებინა. ჩვენებური მატჩის გმირი გახდა და „კიკერმა“ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა მარცხენა ნახევარმცველად.

კობიაშვილის ბოლოდროინდელი პროგრესი აშკარაა, ჩინებულად მოთამაშე ლევანი „ფრაიბურგის“ სული და გულია. ამას იაშვილის აქტიურობაც დაუმატეთ და თამამად შეიძლება ვთქვათ — „ფრაიბურგი“ პირველ ბუნდესლიგაში სწორედ ქართველებმა დატოვეს.

„კაიზერსლაუტერნთან“ გამარჯვების შემთხვევაში „ფრაიბურგი“ ბოლო ტურს დამშვიდებული შეხვდებოდა. ამიტომაც იყო, მასპინძლებმა მატჩის დაწყებისთანავე რომ შეუტიეს, თუმცა გოლი მაინც საკუთარ კარში მიიღეს. 21-ე წუთზე პეტერსონმა შტრასერის პასი გამოიყენა და მარცხენა ფეხით ანგარიში გახსნა. გაშვებულმა გოლმა „ფრაიბურგი“ არ გატეხა. პირიქით, მასპინძლები უფრო გააქტიურდნენ და დაუფასლდათ კიდეც. 42-ე წუთზე ბაიას საჯარიმოში ჩაწოდებულს სელიმი დაუხვდა და თავით გაქვითა. მერე კი 59-ე წუთიც დადგა, როცა სტუმართა კარში ჯარიმა დაინიშნა. ბაიამ იქვე კობიაშვილს დაუგორა ბურთი, ლევანმა კი ძლიერი დარტყმით შიონბერგს შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგ მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, წლეულს გერმანიას ახალი ჩემპიონი ეყოლება — ლევერკუზენის „ბაიერი“. ალალიც არის. ამ კლუბს 1988 წელს უეფას თასი მოუგია, 1993-ში კი გერმანიის თასი. მეტი ტიტული არ ღირსებია. ახლა კი ბოლო ტურში ქულაღა უნდა, რათა ქვეყნის ჩემპიონი გახდეს.

შაბათს ლევერკუზენელებმა „აინტრახტს“ უმასპინძლეს და 56-ე წუთამდე ქომაგები გვარიანად ანერვიულეს. მერე კი კირსტენმა ივაჟკაცა და თავისიანები ხელმეორედ დააწინაურა. მანამდე „ბაიერი“ ნოივილის გოლით იგებდა, მაგრამ კრახტმა გაათანაბრა და ტაიმიც 1:1 დასრულდა. კირსტენის გოლს რინკმა ერთიც დაამატა. ყველაფერი კი ბაინლიხის ზუსტად შესრულებულმა თერთმეტმეტრიანმა დააგვირგვინა — 4:1.

„ბოლო ხანს დიდი წნეხის ქვეშ ვართ. თუმცა ვუძლებთ და მჯერა, ბოლომდე ასე იქნება. რაც მთავარია, ჩვენი ძალის გვწამს. ახლა „უნტერჰახინგისგან“ საჩუქარს არ ველით, ჩავალთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ბოლომდე თუ დავიხარჯებით, გამარჯვებაც მოვა“ — თქვა „ლევერკუზენის“ თავკაცმა კრისტოფ დაუმმა, რომელსაც გერმანიის ჩემპიონობა ერთხელ უკვე მოუგია, 1992 წელს „შტუტგარტთან“ ერთად. 5 წლის წინ კი მან თურქეთში „ბეშიქთაში“ გააჩემპიონა.

„ბაიერნი“ ბილეფილდში ჩავიდა და „არმინიას“ პირველივე ნახევარში მოუთავა ხელი. ელბერის დუბლსა და სალიჰამიჯიჩის ერთ გოლს მასპინძლებმა ვერაფრით უპასუხეს და ძალი ანგარიშითაც დამარცხდნენ — 0:3. ეს ლოგიკურიც გახლდათ.

„ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ახლა „უნტერჰახინგის“ იმედზე ვართ“ — მოკლე და ლაკონური გახლდათ მიუნხენელთა მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის კომენტარი. ჩანს, მისი გუნდი, ცოტა ხნის წინ ერთბაშად სამ ტიტულს რომ უმიზნებდა, ისევ ერთის ამარა დარჩება. ათიოდე დღის წინ ბავარიელებმა, როგორც იცით, ქვეყნის თასი მოიგეს.

„კაიზერსლაუტერნის“ ფრაიბურგში მარცხი კი ყველაზე კარგად „მიუნხენ 1860“-მა გამოიყენა, რომელმაც შინ კიდევ ერთ მთავარ კონკურენტს, ბერლინის „ჰერტას“ სძლია — 2:1. „მიუნხენიდან“ თავი მაქსმა გამოიჩინა, სტუმართაგან კი შმიდტმა და დაეიმ, ოღონდ შმიდტს კარი აერია და მეტოქის ნაცვლად თავისიანებს ისეთი თავური გაუტანა, თქვენი მოწონებული. ბოლოს „ჰერტას“ ქულის მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ როიმ მხოლოდ ხარიხა შეაზანზარა. ამ მოგებით „მიუნხენი“ ისევ მეოთხეა, თუმც ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება, რადგან ბოლო ტურში უშუალო კონკურენტ „ლაუტერნს“ სტუმრობს.

მესამეადგილოსნის ბედი კი საბოლოოდ გაირკვა — „ჰამბურგს“ შინ „უნტერჰახინგის“ 3:0 ძლევის შემდეგ ველარავინ შეეცილება.

„ულმი“ კი თამაშის იშტაზე გვიან მოვიდა. „ვოლფსბურგთან“ საშინაო შეხვედრებში მათ უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, ამიტომაც მოინდომეს, ბოლომდე იბრძოლეს და სასურველი შედეგიც მოიმკეს. ზდრილიჩისა და ვან დერ ჰაარის გოლებით მასპინძლებმა 2:0 კი იმარჯვეს, მაგრამ რამდენად წაადგებათ ეს სამი ქულა პირველ ბუნდესლიგაში დასარჩენად, საკითხავია. მიზნის მისაღწევად „ულმმა“ ბოლო ტურში ფრანკფურტში „აინტრახტს“ უნდა სძლიოს. ფრის შემთხვევაში კი მისი ბედი „შალკე“ — „ჰანზას“ შედეგზე იქნება დამოკიდებული.

ვინაიდან მომავალ შაბათს „აინტრახტი“ და „ულმი“ ერთმანეთს ხვდებიან და რომელიმე უეჭველად დაკარგავს ქულებს, ერთი რამის თქმა უკვე შეგვიძლია — „დორტმუნდი“ გაისადაც პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 33 | 21 | 10 | 2 | 74:34 | 40 | 73 | 17 | 13 | 4 | 0 | 44:17 | 27 | 43 | 16 | 8 | 6 | 2 | 30:17 | 13 | 30 |
| 2 | ბაიერნი | 33 | 21 | 7 | 5 | 70:27 | 43 | 70 | 16 | 11 | 3 | 2 | 47:16 | 31 | 36 | 17 | 10 | 4 | 3 | 23:11 | 12 | 34 |
| 3 | ჰამბურგი | 33 | 16 | 10 | 7 | 62:38 | 24 | 58 | 17 | 11 | 4 | 2 | 37:11 | 26 | 37 | 16 | 5 | 6 | 5 | 25:27 | -2 | 21 |
| 4 | მიუნხენი | 33 | 14 | 10 | 9 | 54:47 | 7 | 52 | 17 | 11 | 3 | 3 | 36:20 | 16 | 36 | 16 | 3 | 7 | 6 | 18:27 | -9 | 16 |
| 5 | ჰერტა | 33 | 13 | 11 | 9 | 39:43 | -4 | 50 | 16 | 8 | 7 | 1 | 23:11 | 12 | 31 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:32 | -16 | 19 |
| 6 | ლაუტერნი | 33 | 15 | 4 | 14 | 53:58 | -5 | 49 | 16 | 8 | 2 | 6 | 30:27 | 3 | 26 | 17 | 7 | 2 | 8 | 23:31 | -8 | 23 |
| 7 | ვერდერი | 33 | 13 | 8 | 12 | 64:49 | 15 | 47 | 17 | 10 | 3 | 4 | 41:25 | 16 | 33 | 16 | 3 | 5 | 8 | 23:24 | -1 | 14 |
| 8 | შტუტგარტი | 33 | 14 | 5 | 14 | 41:44 | -3 | 47 | 16 | 6 | 1 | 9 | 19:25 | -6 | 19 | 17 | 8 | 4 | 5 | 22:19 | 3 | 28 |
| 9 | ვოლფსბურგი | 33 | 11 | 13 | 9 | 49:57 | -8 | 46 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:25 | 2 | 28 | 17 | 3 | 9 | 5 | 22:32 | -10 | 18 |
| 10 | უნტერჰახინგი | 33 | 11 | 8 | 14 | 38:42 | -4 | 41 | 16 | 9 | 5 | 2 | 20:10 | 10 | 32 | 17 | 2 | 3 | 12 | 18:32 | -14 | 9 |
| 11 | ფრაიბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 44:48 | -4 | 40 | 17 | 8 | 4 | 5 | 29:19 | 10 | 28 | 16 | 2 | 6 | 8 | 15:29 | -14 | 12 |
| 12 | შალკე | 33 | 8 | 15 | 10 | 42:42 | 0 | 39 | 16 | 4 | 10 | 2 | 21:15 | 6 | 22 | 17 | 4 | 5 | 8 | 21:27 | -6 | 17 |
| 13 | დორტმუნდი | 33 | 8 | 13 | 12 | 38:38 | 0 | 37 | 17 | 4 | 7 | 6 | 21:21 | 0 | 19 | 16 | 4 | 6 | 6 | 17:17 | 0 | 18 |
| 14 | აინტრახტი | 33 | 11 | 5 | 17 | 40:43 | -3 | 36 | 16 | 8 | 3 | 5 | 27:13 | 14 | 27 | 17 | 3 | 2 | 12 | 13:30 | -17 | 11 |
| 15 | ჰანზა | 33 | 7 | 14 | 12 | 42:60 | -18 | 35 | 17 | 7 | 7 | 3 | 25:22 | 3 | 28 | 16 | 0 | 7 | 9 | 17:38 | -21 | 7 |
| 16 | ულმი | 33 | 9 | 8 | 16 | 35:60 | -25 | 35 | 17 | 7 | 4 | 6 | 22:23 | -1 | 25 | 16 | 2 | 4 | 10 | 13:37 | -24 | 10 |
| 17 | არმინია | 33 | 7 | 8 | 18 | 37:58 | -21 | 29 | 17 | 4 | 6 | 7 | 22:24 | -2 | 18 | 16 | 3 | 2 | 11 | 15:34 | -19 | 11 |
| 18 | დუისბურგი | 33 | 4 | 9 | 20 | 36:70 | -34 | 21 | 16 | 2 | 7 | 7 | 19:24 | -5 | 13 | 17 | 2 | 2 | 13 | 17:46 | -29 | 8 |

*„აინტრახტს“ დაკლებული აქვს 2 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 19 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 17 |
| ელბერი (ბაიერნი) | 14 |
| სანდი (შალკე 04) | 14 |
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 12 |
| მ. ბოდე (ვერდერი) | 12 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |
| პაულო სერჟიო (ბაიერნი) | 12 |

### XXXIV ტური

20 მაისი

აინტრახტი - ულმი
დუისბურგი - ჰამბურგი
ბაიერნი - ვერდერი
შტუტგარტი - არმინია
შალკე - ჰანზა
ჰერტა - დორტმუნდი
ლაუტერნი - მიუნხენი
ვოლფსბურგი - ფრაიბურგი
უნტერჰახინგი - ლევერკუზენი

## მეორე ბუნდესლიგა

XXXI ტური

### ბერლინი 1:2 ფორტუნა

0:1 იბრაჰიმი (21), 1:1 ჩირიჩი (58), 1:2 იბრაჰიმი (70)

### ზანქტ პაული 2:1 ალემანია

0:1 კაპიჩი (12), 1:1 კლასნიჩი (77), 2:1 მარინი (78)

### ობერჰაუზენი 2:1 ჰანოვერი

1:0 ვაიერი (70), 1:1 ბლანკი (75), 2:1 მადზარი (86)

### კიკერსი 0:3 ნიურნბერგი

0:1 კრჟინოვეკი (30), 0:2 ლეიტლი (48), 0:3 დრილერი (82)

### კოტბუსი 3:2 ვალდჰოფი

1:0 სისე (20ს.კ.), 2:0, 3:0 ლაბაკი (52, 65), 3:1 ბალიტში (72), 3:2 პროცელი (75)

### გლადბახი 1:0 ოფენბახი

1:0 ჩიკუინო (77)

### კიოლნი 1:2 კარლსრუე

1:0 ვოლიცი (11), 1:1 ბაუმერი (79), 1:2 აუერი (78)

### ფიურტი 0:1 ქემნიცი

0:1 კრუპნიკოვიჩი (63)

### ბოხუმი — მაინცი

*იხილეთ ბოლო გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 31 | 17 | 8 | 6 | 60:33 | 59 |
| ბოხუმი | 30 | 16 | 6 | 8 | 58:43 | 54 |
| კოტბუსი | 31 | 15 | 4 | 12 | 55:39 | 49 |
| ნიურნბერგი | 31 | 13 | 10 | 8 | 49:43 | 49 |
| გლადბახი | 31 | 12 | 12 | 7 | 51:39 | 48 |
| ალემანია | 31 | 12 | 9 | 10 | 43:47 | 45 |
| ჰანოვერი | 31 | 12 | 7 | 12 | 51:49 | 43 |
| ობერჰაუზენი | 31 | 10 | 12 | 9 | 36:33 | 42 |
| ვალდჰოფი | 31 | 10 | 12 | 9 | 47:48 | 42 |
| ბერლინი | 31 | 10 | 10 | 11 | 40:44 | 40 |
| ფიურტი | 31 | 8 | 15 | 8 | 34:36 | 39 |
| ქემნიცი | 31 | 10 | 9 | 12 | 39:43 | 39 |
| ზტ. პაული | 31 | 8 | 14 | 9 | 31:35 | 38 |
| მაინცი | 30 | 8 | 12 | 10 | 35:35 | 36 |
| კიკერსი | 31 | 9 | 7 | 15 | 45:55 | 34 |
| ოფენბახი | 31 | 7 | 11 | 13 | 30:50 | 32 |
| ფორტუნა | 31 | 6 | 11 | 14 | 30:46 | 29 |
| კარლსრუე | 31 | 5 | 11 | 15 | 34:50 | 26 |

# პერუჯა — მარადიული ქალაქი

## იტალია

XXXIV ტური

### პერუჯა 1:0 იუვენტუსი

1:0 კალორი (50)
პერუჯა: მაცანტინი, ბიზოლი, კალორი, მატერაცი, ესპოზიტო, ტედესკო, ოლივე, მილანეზე, ალენიჩევი (სოლიანო 63), ნ. ამორუზო (მელი 77), რაპაიჩი (კამპოლო 87)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო, კონტე (ესნაიდერი 74), ტაკინარდი (კოვაჩევიჩი 58), დავიდსი, პესოტო (ძამბროტა 65), ზიდანი, დელ პიერო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მონტერო, კალორი, იულიანო, დავიდსი, ტედესკო
გაძევება: ძამბროტა (73)
მსაჯი: კოლინა
27 000 მაყურებელი

### ლაციო 3:0 რეჯინა

1:0 ინძაგი (33პ), 2:0 ვერონი (37პ), 3:0 სიმეონე (73)
ლაციო: ბალოტა, პანკარო (სენსინი 54), ნეგრო, ფერნანდო კოუტუ, ფავალი, ნედვედი, სიმეონე, ვერონი, რ. მანჩინი (სერჟიო კონსეისაო 75), სალასი, ს. ინძაგი (ალმეიდა 65)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, ჯაკეტა (პოსანცინი 52), ჩირილო, ბრევი, ბარონიო (ვარგასი 58), კალონი, მორაბიტო, კოსტა (პირლო 46), ბოგდანი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ფერნანდო კოუტუ, ჯაკეტა, ბრევი
მსაჯი: ბორიელო
65 000 მაყურებელი

### მილანი 4:0 უდინეზე

1:0 ბირჰოფი (11), 2:0 შევჩენკო (39პ), 3:0 ვესტი (59), 4:0 ლეონარდო (85)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, ვესტი, გატუზო (ჰელვეგი 75), ამბროზინი (დე აშენტისი 82), ალბერტინი, სერჟინიო (გულიელმინპიეტრო 86), ლეონარდო, ბირჰოფი, შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ვან დერ ვეგტი (ალბერტო 57), ჯანიკედა, ფიორე, ბისგაარდი, ლოკატელი (იორგენსენი 51), მარჯოტა (სოსა 46), ვარლეი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: სოტილი, გატუზო, ამბროზინი, ალბერტინი, ბერტოტო
მსაჯი: ჩეზარი
75 000 მაყურებელი

### კალიარი 0:2 ინტერი

0:1 ბაჯო (74პ), 0:2 სამორანო (87)
კალიარი: სკარპი, დილიზო, ლოპესი, ძებინა, მაიელე, ბერეტა, კარუსი, მოდესტო (აბეიონი 46), მაჩელარი, სუაზო, მელ[illegible]ი (ამეტრანო 55)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ინტერი: პერუცი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი (გეორგატოსი 55), კოე, დი ბიაჯო, [illegible]რენა (იუგოვიჩი 70), ზეედორფი, რ. ბაჯო, რეკობა (სამორანო 60)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: დილიზო, კორდობა, დი ბიაჯო, ზეედორფი
გაძევება: ულივიერი (61), აბეიონი (65), მაიელე (75)
მსაჯი: რაკალბუტო
15 000 მაყურებელი

### ვერონა 2:2 რომა

0:1 ტომაზი (7), 1:1 ადაილტონი (12), 1:2 მონტელა (43), 2:2 კამარატა (54)
ვერონა: ფრეი (ბატისტინი 80), დიანა, აპოლონი, ფრანჩესკეტი, ფალსინი, ბროკი (სალვეტი 60), მარასკო, კოლუჩი, მელისი (იტალიანო 67), კამარატა, ადაილტონი
მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი
რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, მარკოს ასუნსაო, კანდელა, ნაკატა (კ. ძანეტი 71), მონტელა, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფრანჩესკეტი, რინალდი, კოლუჩი, იტალიანო, კამარატა
მსაჯი: ბრასკი
19 916 მაყურებელი

### პარმა 4:1 ლეჩე

1:0 დი ვაიო (2), 2:0 სტანიჩი (54), 3:0 კრესპო (57პ), 3:1 ლუკარელი (71), 4:1 სტანიჩი (87)
პარმა: ბუფონი, სარტორი (ლასისი 67), ტურამი, ფ. კანავარო (პ. კანავარო 82), სტანიჩი, ბოლანო (მაინი 63), ბრედა, დ. ბაჯო, ბენარივო, კრესპო, დი ვაიო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ლეჩე: კიმენტი (აიარდი 76), ხუარესი (პივოტო 70), ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო, კაზანოვა, ბონომი, კოლონელო, კ. ლუკარელი (ტრავერსა 73), სესა
მწვრთნელი: ალბერტო ბორტოლეტო (მთავარი მწვრთნელი ალბერტო კავასინი დისკვალიფიცირებული იყო)
გაფრთხილება: ვიალი
გაძევება: კონტიკიო (38)
მსაჯი: როდომონტი
18 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 3:0 ვენეცია

1:0 პიერინი (8), 2:0, 3:0 ბატისტუტა (19, 80)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, ტაროცი, როსიტო, კ. ამორუზო (ბრესანი 57), დი ლივიო (ამორი 78), რუი კოშტა, კიეზა (ბალბო 84), ბატისტუტა
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ვენეცია: კასაცა, მალდონადო, პავანი, ნგოტი, ბერგი, ვოლპი, იაკინი, ნანამი (განცი 46), პედონე, ვალტოლინა, მანიერო
მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო
გაფრთხილება: რეპკა, ვოლპი, ბატისტუტა
მსაჯი: როსი
36 000 მაყურებელი

### ბარი 1:1 ბოლონია

1:0 ოსმანოვსკი (8), 1:1 სინიორი (22პ)
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა, ინოჩენტი, ფერარი, დელ გროსო, ბელავისტა, დ. ანდერსონი, მარკიჩი, მადსენი (ენინაია 57), ოსმანოვსკი, კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
ბოლონია: პალიუკა, ბია, პარამატი, პაგანინი (გამბერინი 91), დალ კანტო, ბინოტო (ნერვო 62), ინგესონი, ვომე, პიაჩენტინი, ვენტოლა (კ. ანდერსონი 62), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: დე როსა, პიაჩენტინი, ნერვო, პარამატი
მსაჯი: ბერტინი
14 972 მაყურებელი

### ტორინო 2:1 პიაჩენცა

0:1 ჯილარდინო (15), 1:1, 2:1 ფერანტე (17, 29პ)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, გრანდონი, მალტალიატი, პანარელი, ბრამბილა, გალანტე, პეკია (ფუსეინი 66), სკარკილი, ფერანტე, სკარლატო (კუალიარელა 60, მარიანი 65)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
პიაჩენცა: რომა, პოლონია, დელი კარი, ლამაკი, მანიგეტი (ფორლინი 85), გაუტიერი (რიციტელი 57), კრისტალინი, ტალიაფერი, მორონე (სავიონი 77), ჯილარდინო, რასტელი
მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი
გაფრთხილება: მორონე
მსაჯი: კასარა
18 500 მაყურებელი




AP პერუჯიდან

პერუჯა — იუვენტუსის მსაჯი პიერლუიჯი კოლინა კარგახანს ამოწმებდა დატბორილ მინდორს

14 მაისი, 2000 წელი. იტალია. ჯადოსნური ქალაქი პერუჯა. ბოლო ორი სეზონია, აქ ქვეყნის ჩემპიონის ბედი წყდება: 1999-ში, ბოლო ტურში, აქ „მილანი“ იმარჯვებს და სკუდეტოს ეუფლება; 2000-ში, ასევე ბოლო ტურში, ამავე ქალაქში „იუვენტუსი“ მარცხდება და ტიტულს ხელიდან უშვებს.

იტალიის ჩემპიონი „ლაციოა“. რომის კლუბი წლეულს 100 წლისა შესრულდა. რომის კლუბი აქამდე ერთადერთხელ, 1974 წელს ფლობდა სკუდეტოს.

14 მაისს ჯადოსნურ ქალაქში ჯადოსნური თქეში მოვიდა — საფეხბურთო წარღვნა. წარღვნამ იცოდა, რომ თუ „იუვენტუსი“ მოიგებდა, ჩემპიონი ხდებოდა, თუ ტურინელები წააგებდნენ, სკუდეტოს „ლაციო“ მოიგებდა.

ჯადოსნურ პერუჯასა და დედაქალაქში შეხვედრები ერთდროულად დაიწყო და პირველი ტაიმებიც ერთდროულად დამთავრდა. რომში დარი იდგა და „ლაციო“ 2:0-ს იგებდა, პერუჯაში კოკისპირული წვიმა და 0:0 იყო. შესვენებისას წვიმამ იმატა, მოედანი დაიტბორა.

ორჯერ თუ სამჯერ გავიდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი პიერლუიჯი კოლინა მოედანზე. ჯერ ქოლგებით და უკაპიტნებოდ, მერე უქოლგოდ და კაპიტნებით. ააგდებდა ბურთს და, „ჭყაპ!“ გავიდოდა მეორე ბოლოში, ისევ ააგდებდა და ისევ — „ჭყაპ!“ ერთი საათის მერე წვიმამ შედარებით იკლო, მინდვრისქვეშა დრენაჟმაც შეძლებისდაგვარად ივაჟკაცა და კოლინამაც თამაშის გაგრძელება ბრძანა. სწორად მოიქცა? ეს რომ ბოლო ტურის მატჩი არ ყოფილიყო, ეჭვი არ შეგეპაროთ, კოლინას ალღოს, ცოდნისა და გამოცდილების კაცი თამაშს შეწყვეტდა, მაგრამ იმ დღეს საფეხბურთო ვნებებში ჩაძირული იტალია ჩემპიონის სახელს ითხოვდა და მსაჯი ამას, ბუნებრივია, გრძნობდა.

რომში კი დარი იდგა; როდესაც იქაურმა მსაჯმა ჯენარო ბორიელომ შეიტყო, რომ მისი კოლეგა პერუჯაში ბურთით დაჭყაპუნებდა და თამაშს ვერ აგრძელებდა, ბორიელომ მეორე ტაიმის დაწყება დააყოვნა. პერუჯის თავსხმას რომაული მზე დაუმორჩილა, მაგრამ მხოლოდ 20 წუთით. კაცმა რომ თქვას, სწორედაც მოიქცა. ბოლოს და ბოლოს, „ლაციომ“ იცოდა, რომ უნდა მოეგო, ხოლო დანარჩენი წარღვნის ხელთ იყო.

და „ლაციომ“ 3:0 მოიგო, თუმცა იქ თამაში დაახლოებით 10 წუთით ერთხელაც შეწყდა, რადგან უკვე მიწურულს რომაელთა ხუთასამდე ქომაგი მოედანზე გადაეშვა, წაიზეიმა და არბიტრის და სხვა ოფიციალურ პირთა თხოვნით ისევ ტრიბუნაზე დაბრუნდა. ქომაგებმა „ლაციოს“ რამდენიმე ფეხბურთელის შემოფხრეწილი მაისურაც გააყოლეს ხელს.

ხოლო „იუვენტუსმა“ 0:1 წააგო. მეორე, ჯერ როდის დაწყებული, ტაიმის მე-5 წუთზე ტურინელთა კაპიტანმა ანტონიო კონტემ საჯარიმოდან ბურთი თავურით მეტოქე ალესანდრო კალორის [illegible]სკენ მოიგერია და კალორიმაც დაარტყა — მეკარე ედვინ ვან დერ სარი არც განძრეულა.

შემდეგ სტუმრებმა შტურმი მოაწყვეს, თან ათი კაცით: შეცვლაზე შესულმა, მეტისმეტად აგზნებულმა ჯანლუკა ძამბროტამ მოკლე დროში ორი უხეშობა და თავის წითელი ბარათით დასჯა მოასწრო. მიუხედავად რიცხობრივი უმცირესობისა, „იუვეს“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ალესანდრო დელ პიეროსა და ფილიპო ინძაგის კიდევ ორი თავდამსხმელი, დარკო კოვაჩევიჩი და ხუან ესნაიდერიც შეაშველა. ეს აშკარა ვა-ბანკი გახლდათ, მაგრამ არ გაამართლა. ტურინელებს დიახაც ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, ზინედინ ზიდანმა და ედგარ დავიდსმა შორეული დარტყმებით შექმნეს ხიფათი, ხოლო ინძაგიმ კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ერთობ ძნელად მოსარჯულებელი ბურთი ოსტატურად გაგზავნა მასპინძელთა კარის მიმართულებით, ოღონდ სიზუსტე დააკლო.

მსაჯმა მეორე ტაიმს ხუთი წუთი დაამატა, პერუჯელი გულშემატკივრები აუტ-კუთხურის ხაზთან ჩადგნენ საფინალო სასტვენის მოლოდინში, რომის „ოლიმპიური სტადიონის“ გასახდელში კი „ლაციოს“ ფეხბურთელები ტელევიზორს მიშტერებოდნენ.

და ჯადოსნურ ქალაქ პერუჯაში კოლინამ, როგორც იქნა, თამაში დაასრულა...

**პაპუნა ძიძია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 24 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 23 |
| კრესპო (პარმა) | 22 |
| მონტელა (რომა) | 18 |
| ფერანტე (ტორინო) | 18 |

## სერია B

XXXIV ტური

### ატალანტა 1:1 ემპოლი

0:1 კაპელინი (42პ), 1:1 კაჩა (57)

### კოზენცა 1:0 ფერმანა

1:0 პისანო (58პ)

### ნაპოლი 3:1 ალძანო

1:0, 2:0 შვოხი (45პ, 63), 3:0 ასტა (77), 3:1 გარაველი (85)

### მონცა 1:1 ჩეზენა

1:0 ლანტინიოტი (55), 1:1 კამპოლონი (84)

### ჯენოა 2:2 ბრეშა

1:0 სტრადა (9), 1:1 უბნერი (15), 1:2 მერო (19), 2:2 მუტარელი (69)

### პესკარა 4:0 სამპდორია

1:0, 2:0 როსი (12, 37), 3:0 ჯელსი (43), 4:0 სულო (84)

### ტრევიზო 3:3 პისტოიეზე

0:1 ბორტოლუცი (25 ს.კ.), 1:1 ტონი (36), 2:1 ფილიპი (46), 3:1 ბორტოლუცი (48), 3:2 ბანკელი (80), 3:3 კოლომბო (94პ)

### ტერნანა 3:1 სავოია

1:0 ბორგობელო (7), 2:0, 3:0 მიკოლი (48, 67პ), 3:1 ყირარდელო (70)

### რავენა 2:2 კიევო

1:0 გრაბი (29პ), 1:1, 1:2 მარაზინა (46, 57), 2:2 კრისტანტე (72)

### ვიჩენცა — სალერნიტანა

*იხილეთ ბოლო გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 33 | 17 | 6 | 10 | 58:37 | 57 |
| ბრეშა | 34 | 14 | 14 | 6 | 49:32 | 56 |
| ნაპოლი | 34 | 15 | 11 | 8 | 48:39 | 56 |
| ატალანტა | 34 | 15 | 10 | 9 | 44:32 | 55 |
| სამპდორია | 34 | 13 | 11 | 10 | 36:35 | 50 |
| სალერნიტანა | 33 | 13 | 10 | 10 | 50:45 | 49 |
| ტრევიზო | 34 | 12 | 11 | 11 | 46:42 | 47 |
| ჯენოა | 34 | 13 | 8 | 13 | 42:38 | 47 |
| რავენა | 34 | 10 | 14 | 10 | 34:32 | 44 |
| პესკარა | 34 | 9 | 16 | 9 | 53:44 | 43 |
| კიევო | 34 | 10 | 13 | 11 | 42:44 | 43 |
| კოზენცა | 34 | 10 | 13 | 11 | 29:35 | 43 |
| ჩეზენა | 34 | 8 | 18 | 8 | 39:36 | 42 |
| მონცა | 34 | 8 | 18 | 8 | 37:38 | 42 |
| ტერნანა | 34 | 9 | 15 | 10 | 38:42 | 42 |
| ემპოლი | 34 | 10 | 12 | 12 | 34:47 | 42 |
| პისტოიეზე | 34 | 11 | 10 | 13 | 36:40 | 39 |
| ალძანო | 34 | 9 | 11 | 14 | 32:44 | 38 |
| სავოია | 34 | 6 | 11 | 17 | 32:53 | 29 |
| ფერმანა | 34 | 6 | 10 | 18 | 32:56 | 28 |

## სერია C1/A

34-ე ტური. ალბინოლეფე — კომო 4:3; კარარეზე — მოდენა 1:0; კრემონეზე — ლივორნო 1:1; ლეკო — ბრეშელო 2:2; მონტევარკი — ლუმეცანე 3:0; პიზა — ვარეზე 1:0; რეჯანა — სიენა 1:0; სანდონა — ჩიტადელა 1:2; სპალ — ლუკეზე 1:1

## სერია C1/B

34-ე ტური. ასკოლი — ატლეტიკო 3:1; აველინო — ვიტერბეზე 3:0; კატანია — დი სანგრო 0:1; კროტონე — ანკონა 4:2; ჯულიანოვა — სტაბია 2:0; ლოდიჯანი — ნოჩერინა 1:0; მარსალა — გუალდო 3:2; პალერმო — ფ. ანდრია 3:0; ბენევენტო — არეცო ჩაიშალა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლაციო | 34 | 21 | 9 | 4 | 64:33 | 31 | 72 | 17 | 13 | 4 | 0 | 40:15 | 25 | 43 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:18 | 6 | 29 |
| 2 იუვენტუსი | 34 | 21 | 8 | 5 | 46:20 | 26 | 71 | 17 | 14 | 2 | 1 | 28:8 | 20 | 44 | 17 | 7 | 6 | 4 | 18:12 | 6 | 27 |
| 3 მილანი | 34 | 16 | 13 | 5 | 65:40 | 25 | 61 | 17 | 10 | 6 | 1 | 40:18 | 22 | 36 | 17 | 6 | 7 | 4 | 25:22 | 3 | 25 |
| 4 ინტერი | 34 | 17 | 7 | 10 | 58:36 | 22 | 58 | 17 | 10 | 4 | 3 | 40:16 | 24 | 34 | 17 | 7 | 3 | 7 | 18:20 | -2 | 24 |
| 5 პარმა | 34 | 16 | 10 | 8 | 52:37 | 15 | 58 | 17 | 10 | 4 | 3 | 31:16 | 15 | 34 | 17 | 6 | 6 | 5 | 21:21 | 0 | 24 |
| 6 რომა | 34 | 14 | 12 | 8 | 57:34 | 23 | 54 | 17 | 10 | 5 | 2 | 34:14 | 20 | 35 | 17 | 4 | 7 | 6 | 23:20 | 3 | 19 |
| 7 ფიორენტინა | 34 | 13 | 12 | 9 | 48:38 | 10 | 51 | 17 | 10 | 5 | 2 | 30:17 | 13 | 35 | 17 | 3 | 7 | 7 | 18:21 | -3 | 16 |
| 8 უდინეზე | 34 | 13 | 11 | 10 | 55:45 | 10 | 50 | 17 | 9 | 4 | 4 | 36:23 | 13 | 31 | 17 | 4 | 7 | 6 | 19:22 | -3 | 19 |
| 9 ვერონა | 34 | 10 | 13 | 11 | 40:45 | -5 | 43 | 17 | 8 | 6 | 3 | 23:14 | 9 | 30 | 17 | 2 | 7 | 8 | 17:31 | -14 | 13 |
| 10 პერუჯა | 34 | 12 | 6 | 16 | 36:52 | -16 | 42 | 17 | 7 | 4 | 6 | 22:25 | -3 | 25 | 17 | 5 | 2 | 10 | 14:27 | -13 | 17 |
| 11 ბოლონია | 34 | 9 | 13 | 12 | 32:39 | -7 | 40 | 17 | 8 | 5 | 4 | 18:12 | 6 | 29 | 17 | 1 | 8 | 8 | 14:27 | -13 | 11 |
| 12 რეჯინა | 34 | 9 | 13 | 12 | 31:42 | -11 | 40 | 17 | 6 | 7 | 4 | 16:18 | -2 | 25 | 17 | 3 | 6 | 8 | 15:24 | -9 | 15 |
| 13 ლეჩე | 34 | 10 | 10 | 14 | 33:49 | -16 | 40 | 17 | 9 | 5 | 3 | 18:11 | 7 | 32 | 17 | 1 | 5 | 11 | 15:38 | -23 | 8 |
| 14 ბარი | 34 | 10 | 9 | 15 | 34:48 | -14 | 39 | 17 | 6 | 9 | 2 | 20:14 | 6 | 27 | 17 | 4 | 0 | 13 | 14:34 | -20 | 12 |
| 15 ტორინო | 34 | 8 | 12 | 14 | 35:47 | -12 | 36 | 17 | 6 | 5 | 6 | 21:23 | -2 | 23 | 17 | 2 | 7 | 8 | 14:24 | -10 | 13 |
| 16 ვენეცია | 34 | 6 | 8 | 20 | 30:60 | -30 | 26 | 17 | 6 | 5 | 6 | 18:19 | -1 | 23 | 17 | 0 | 3 | 14 | 12:41 | -29 | 3 |
| 17 კალიარი | 34 | 3 | 13 | 18 | 29:54 | -25 | 22 | 17 | 3 | 7 | 7 | 15:20 | -5 | 16 | 17 | 0 | 6 | 11 | 14:34 | -20 | 6 |
| 18 პიაჩენცა | 34 | 4 | 9 | 21 | 19:45 | -26 | 21 | 17 | 3 | 7 | 7 | 12:19 | -7 | 16 | 17 | 1 | 2 | 14 | 7:26 | -19 | 5 |

## ესპანეთი

XXXVII ტური

### რასინგი 0:0 დეპორტივო

რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ჩემა, არსენო (ნერუ 89), ტაისი, ვივარ დორადო (ბესჩასტნიხი 57), კოლსა, ესპინია, სალვა, მანხარინი, მუნიტისი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, მანუელ პაბლო, ფრანი, იოკანოვიჩი, მაურო სილვა, ფლავიო კონსეისაო (ხაიმე 62), ვიქტორ სანჩესი (პაულეტა 69), მაკაი (ტურუ ფლორესი 83)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მუნიტისი, ხაიმე, ჩემა, ესპინია
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
21 000 მაყურებელი

### სოსიედადი 0:0 ბარსელონა

სოსიედადი: ალბერტო, გურუჩაგა, ფუენტესი, პიკაბეა (ხაურეგი 18), ლოპეს რეკარტე, დე პედრო (არამბურუ 70), იდიაკესი (დე პაულა 65), გომესი, ხოხლოვი, იანკაუსკასი, სა პინტუ
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბარსელონა: ჰესპი, ფ. დე ბური, რაიციგერი, გაბრი, ლიტმანენი (ხავი 78), სიმაო (კლუივერტი 57), კოკუ, გვარდიოლა, ზენდენი, დანი, ფიგუ (რ. დე ბური 73)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: რაიციგერი, სა პინტუ, გურუჩაგა, ფიგუ, კოკუ, ფ. დე ბური
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
30 000 მაყურებელი

### ბეტისი 0:2 რეალი

0:1 რობერტო კარლოსი (31), 0:2 ანელკა (66)
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო (გალვესი 53), ლუის ფერნანდესი (ბენჯამინი 65), ვიდაკოვიჩი, ოტერო, კანიასი, ალექსისი (კუელიარი 35), ფილიპესკუ, ალფონსო, დენილსონი, ფინიდი
მწვრთნელი: ფარუკ ჰაჯიბეგიჩი
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, კარანკა, ივან კამპო, ჯერემი, რედონდო, ი. ელგერა, სავიო (ბალიჩი 77), მაკმანამანი (კარემბუ 73), ანელკა (ჟულიო სეზარი 84), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: დენილსონი, მაკმანამანი, ლუის ფერნანდესი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი
45 000 მაყურებელი

### სარაგოსა 3:2 მალგა

0:1 რუფეტე (29), 1:1 მარკოს ვალესი (30), 1:2 პაკო ხემესი (58ს.კ.), 2:2 იორდი (89), 3:2 მილოშევიჩი (90)
სარაგოსა: ხუანმი, კუარტერო (იორდი 63), აგუადო (ველისკა 46), პაკო ხემესი, ლანა, მარკოს ვალესი, რადიმოვი (არაგონი 46), გარიტანო, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ხუანელე
მწვრთნელი: ხოსე ფრანსისკო როხო
მალაგა: კონტრერასი, ბრავო, ლარაინსარი, ვალკარსე, ფერნანდო სანსი, სანდრო (რუანო 79), მუსამპა (აგოსტინო 64), დე ლოს სანტოსი, მოვილია, რუფეტე, კატანია
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
გაფრთხილება: გარიტანო, ვალკარსე, პაკო ხემესი, კატანია, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, ლარაინსარი
გაძევება: რუფეტე (92)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
25 000 მაყურებელი

### სელტა 0:0 ვალენსია

სელტა: პინტო, ვივასი, სერხიო, კასერესი, კოირა, ტომასი (ბელმადი 77), კარპინი, მაკელელე, ჯოვანელა, სელადესი, ტურდო (მენა 83)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა (ხუან სანჩესი 87), ანგულო, კილი გონსალესი (ალბელდა 80), ხერარდი, ფარინოსი, მენდიეტა, კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ანგულო, კარპინი, კოირა, ჯოვანელა, მაკელელე, კასერესი
მსაჯი: ხაპონ სევილია
25 000 მაყურებელი

# ბოლოსწინა, ბურუსის ვერგამფანტველი ტური


REUTERS სან სებასტიანიდან

სოსიედადი — ბარსელონა 0:0. ბარსელონელი ბუდევინ ზენდენი სანსებასტიანელების გარემოცვაში

### ვალიადოლიდი 2:1 მალიორკა

1:0 კამინერო (60), 1:1 კარლოსი (74), 2:1 ეუსებიო (90)
ვალიადოლიდი: სესარი (რიკარდო 53), მარკოსი, პენა, ტორეს გომესი, პაინცე, გარსია კალვო (ეუსებიო 77), სანტამარია, შოჯი ჯო, კამინერო (ჩემა 83), როდრიგო, ვიქტორი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, არმანდო, ჩიჩი სოლერი, იბაგასა, ი. სტანკოვიჩი (კარლოსი 64), ლორენი, ეტოო (დავიდი 91), დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: კამინერო, იბაგასა, როდრიგო
მსაჯი: მეია დავილა
9 000 მაყურებელი

### ალავესი 2:2 ნუმანსია

0:1 ბარბუ (35), 0:2 რუბენ ნავარო (77), 1:2 პაბლო (82), 2:2 ასკოიტია (86)
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, განიანი, იბონ ბეგონია (ასკოიტია 57), პაბლო, დესიო (სალკედო 81), ხავი მორენო, ხულიო სალინასი (კოდრო 56), ასტუდილიო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
ნუმანსია: ნუნიესი, ივან როჩა, მუნისი, სორია, პაჩეტა, ნაგორე, კასტანიო, ბარბუ, ოხედა, რუბენ ნავარო, ინიაკი (ხაუმე 84)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
მსაჯი: პერეს ბურული
18 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 0:0 ბილბაო

ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, ნანდო, არტეაგა, გალკა, სერხიო, როხერი, მაურო ნავასი, ტამუდო, მარტინ პოსე (სერანო 71), ველამასანი (დე ლუკასი 46)
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
ბილბაო: ლაფუენტე, ლასა, კარლოს გარსია, პაჩი ფერეირა, ალკორტა, ფელიპე, ხავი გონსალესი (ურუტია 84), იმასი (რობერტო რიოსი 46), ხ. ეჩებერია, ურსაისი, სივორი
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ლასა, ხავი გონსალესი, რობერტო რიოსი, სერანო, ასკოიტია
მსაჯი: ესკინას ტორესი
19 500 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 1:2 ოვიედო

1:0 კანაბალი (16), 1:1 დუბოვსკი (40), 1:2 ივან ანია (79)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ლორენსი, ჰელდერი, ალკასარი, ერანდესი, ამაია, კოტა (ფერონი 64), ლუის სემბრანოსი (მიჩელ II 75), პოშნერი (მიჩელ I), კანაბალი, ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ოვიედო: ესტებანი, დანჯუ (ესკურსა 67), ბორისი, ონოპკო, პომპეი, პაულო ბენტუ, ნადი, კეიტა, დელი ვალდესი, დუბოვსკი (ივან ანია 74), ლოსადა (რუბენი 60)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ჰელდერი, პაულო ბენტუ, ბორისი, კეიტა, ნადი, მიჩელ I
მსაჯი: ბრიტო არსეო
20 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 1:1 სევილია

1:0 უგო ლეალი (32), 1:1 ცარტასი (45)
ატლეტიკო: ტონი ხიმენესი, ტონი მუნიოსი, სანტი, გასპარი, აგილერა (რობერტო 89), ლუკა ბარაბა, უგო ლეალი, ვალერონი (ლოპესი 46), ჰასელბაინკი, კორეა (მენა 51)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
სევილია: ოლსენი, ხესული, ჟერმანი (ზალაიეტა 67), მარჩენა, ტაბარე, ექტორი, ცარტასი, იურიჩი, ფრანსისკო (პრიეტო 79), ხუან კარლოსი, ლორენი (ოლივერა 56)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპარესი
გაფრთხილება: სანტი, აგილერა, ლოპესი, მენა, იურიჩი, მარჩენა, ოლივერა, ექტორი
გაძევება: უგო ლეალი (48)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
10 000 მაყურებელი

არაერთხელ გვითქვამს, რომ ესპანეთში ასეთი საინტერესო სეზონი კარგა ხანია, არ ყოფილა. სატურნირო მდგომარეობა ისეთია, ერთბაშად სამ კლუბს აქვს ჩემპიონობის შანსი. თუმცა სანამ სამომავლო ამბებზე გადავალთ, 37-ე ტურისა გავარჩიოთ.

აქაოდა კლუბებმა რაღაც-რაღაცეები არ გათვალონო, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ყველა მატჩის დაწყება ერთდროულად ბრძანა, გამონაკლისი მხოლოდ „ატლეტიკო“ — „სევილიას“ შეხვედრა გახლდათ. ეს თამაში კი როდის შედგებოდა (სულაც რომ არ გამართულიყო), მნიშვნელობა არ ჰქონდა — ორივენი წყალ(სეგუნდადივიზიონ) წაღებულნი არიან. უფრო საინტერესო ამბები სხვაგან მოხდა.

ჩემპიონობისთვის ბრძოლას კიდევ ერთი გუნდი — „ვალენსია“ გამოაკლდა. „სელტას“ ჩვეული სასტარტო შემადგენლობის ლამის ნახევარი აკლდა, მაგრამ სტუმრებმა გოლის გატანა ვერაფრით მოახერხეს. ალბათ, არც გაემტყუნებათ — ჩემპიონთა ლიგის ფინალი მათი ერთადერთი საფიქრალია.

ფრედ ითამაშა „ალავესმაც“. არადა, უმოტივაციო „ნუმანსიას“ ძლევა და ოთხეულში მოხვედრა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა. საპირისპიროდ კი მოხდა, მოგებას ვინ დაეძებს, ვიტორიელებმა ერთი ქულაც ძლივს მოიპოვეს. 82-ე წუთამდე ნუმანსიელები 2:0 იგებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებში გატყდნენ.

ზემოთ ვთქვით, რომ ჩემპიონობის შანსი სამ გუნდს შემორჩა. მათ შორის არის „სარაგოსაც“. თუმცა სულ ადვილად შეიძლებოდა, ეს გუნდი მეექვსე ადგილზეც გადაბარგებულიყო. ამისთვის „მალაგას“ 2 წუთიც უნდა გაეძლო, 89-მდე ის 2:1 იგებდა. მაგრამ სარაგოსელთა მონდომებამ და ბრძოლის ჟინმა თავისი გაიტანა — იორდი გონსალესმა და სავო მილოშევიჩმა ფაქტობრივად წაგებული მატჩი თავიანთ სასიკეთოდ შემოაბრუნეს.

მოიგო „რეალმაც“. რობერტო კარლოსმა და ნიკოლა ანელკამ „ბეტისს“ ლამაზი გოლები შეუგდეს და კვლავ ოთხეულში ამოყვეს თავი, მასპინძლებს კი რაღა? დიდმა ფეხბურთმა სევილია დატოვა. ამ ქალაქის ორივე გუნდი მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში ითამაშებს. ანელკამ კი გაჭიანურებული აკლიმატიზაცია გაიარა და ბურთების გატანას მოუხშირა.

არ ეღირსათ ლაკორუნიელებს შვებით ამოსუნთქვა. ბოლო სამ თამაშში „დეპორტივომ“ მხოლოდ ორი ქულა მოიპოვა, არადა, ერთისთვისაც რომ გამოეკრა ხელი... ისე, თავად იკითხონ, თორემ ჩვენთვის მოვლენათა ამგვარი განვითარება უკეთესიცაა — ესპანეთის ჩემპიონატი ინტრიგას არ კარგავს. ცნობილი ამბავია — „დეპორტივოს“ სტუმრად თამაში უჭირს. ამჯერადაც ასე მოხდა. მეთხუთმეტეადგილოსანმა „რასინგმა“ ლიდერი აშკარად დაჯაბნა (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) და გოლის გატანა რომ ვერ მოახერხა, მეკარე ჟაკ სონგოს დამსახურებაა. შესვენების შემდეგ გალისიელები რამდენადმე გამოცოცხლდნენ, მაგრამ არც იმდენად, სანტანდერიდან სამი ქულა წაეღოთ.

ჯერი „ბარსელონაზე“ მიდგა. მოიგებდა? „დეპორტივოს“ დამატებით თავსატეხს გაუჩენდა. მაგრამ რად გინდა — ლიდერი ბოლო სამ ტურში შვიდ ქულას კარგავს, ესენი კი მას ვერაფრით დასწევიან.

„გამარჯვებისკენ სწრაფვა გვაკლდა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალმა. ასეც იყო, პატრიკ კლუივერტის მინდორზე გასვლამდე სტუმრებმა სანსებასტიანელი მეკარე ალბერტო ლოპესი მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს. კლუივერტი კი 57-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში. ჰოლანდიელმაც ერთიორი გაიბრძოლა და სულ ეს იყო.

ახლა სამომავლო ამბებს მივუბრუნდეთ. 21 მაისს, ღამით, ყველაფერი საბოლოოდ დალაგდება, იქამდე კი... ისეც შეიძლება მოხდეს, რომ სამმა გუნდმა ფინიშის ხაზი ერთნაირი ქულებით გადაკვეთოს. ამ შემთხვევაში, უპირატესობა ჯერ ურთიერთშეხვედრების შედეგებს, მერე კი ბურთების სხვაობას ენიჭება. რაც შეეხება პირველს, ეს მაჩვენებელი „ბარსასა“ და „დეპორტივოს“ თანაბარი აქვთ. სამაგიეროდ, კატალონიელები „სარაგოსას“ სჯობნიან, სარაგოსელები კი — „დეპორტივოს“. ბურთების შეფარდება (ჯერჯერობით) მეორეადგილოსანს ლიდერზე უკეთესი აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილები ასე განაწილდება: „ბარსელონა“, „სარაგოსა“, „დეპორტივო“. თუმცა, რაც ახლა ვთქვით, მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია — უპირობოდ გასაჩემპიონებლად „დეპორტივოს“ ბოლო ტურში და ისიც შინ ერთი ქულაც ჰყოფნის.

გასულ უქმეებზე ერთი ძალიან ხმაურიანი განცხადებაც გაკეთდა. „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესი შესაძლო გადადგომაზე ალაპარაკდა, თუმცა ამაზე დაწვრილებით ხვალ ვისაუბროთ.

**გიორგი დარჯანია**

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 | დეპორტივო | 37 | 20 | 6 | 11 | 64:44 | 20 | 66 | 18 | 15 | 1 | 2 | 45:19 | 26 | 46 | 19 | 5 | 5 | 9 | 19:25 | -6 | 20 |
| 2 | ბარსელონა | 37 | 19 | 6 | 12 | 68:44 | 24 | 63 | 18 | 13 | 1 | 4 | 40:16 | 24 | 40 | 19 | 6 | 5 | 8 | 28:28 | 0 | 23 |
| 3 | სარაგოსა | 37 | 16 | 15 | 6 | 59:38 | 21 | 63 | 19 | 11 | 7 | 1 | 36:17 | 19 | 40 | 18 | 5 | 8 | 5 | 23:21 | 2 | 23 |
| 4 | რეალი | 37 | 16 | 14 | 7 | 58:47 | 11 | 62 | 18 | 9 | 4 | 5 | 31:26 | 5 | 31 | 19 | 7 | 10 | 2 | 27:21 | 6 | 31 |
| 5 | ვალენსია | 37 | 17 | 10 | 10 | 57:38 | 19 | 61 | 18 | 11 | 4 | 3 | 38:15 | 23 | 37 | 19 | 6 | 6 | 7 | 19:23 | -4 | 24 |
| 6 | ალავესი | 37 | 17 | 10 | 10 | 40:35 | 5 | 61 | 19 | 10 | 4 | 5 | 23:18 | 5 | 34 | 18 | 7 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 27 |
| 7 | სელტა | 37 | 15 | 7 | 15 | 43:41 | 2 | 52 | 19 | 10 | 5 | 4 | 31:20 | 11 | 35 | 18 | 5 | 2 | 11 | 12:21 | -9 | 17 |
| 8 | მალიორკა | 37 | 14 | 9 | 14 | 51:43 | 8 | 51 | 18 | 11 | 4 | 3 | 32:18 | 14 | 37 | 19 | 3 | 5 | 11 | 19:25 | -6 | 14 |
| 9 | ვალიადოლიდი | 37 | 13 | 11 | 13 | 35:44 | -9 | 50 | 19 | 11 | 3 | 5 | 26:20 | 6 | 36 | 18 | 2 | 8 | 8 | 9:24 | -15 | 14 |
| 10 | რაიო | 37 | 14 | 7 | 16 | 48:51 | -3 | 49 | 19 | 8 | 3 | 8 | 28:24 | 4 | 27 | 18 | 6 | 4 | 8 | 20:27 | -7 | 22 |
| 11 | მალაგა | 37 | 11 | 14 | 12 | 55:50 | 5 | 47 | 18 | 7 | 6 | 5 | 25:14 | 11 | 27 | 19 | 4 | 8 | 7 | 30:36 | -6 | 20 |
| 12 | ესპანიოლი | 37 | 12 | 11 | 14 | 51:46 | 5 | 47 | 19 | 8 | 7 | 4 | 31:20 | 11 | 31 | 18 | 4 | 4 | 10 | 20:26 | -6 | 16 |
| 13 | ბილბაო | 37 | 11 | 14 | 12 | 45:56 | -11 | 47 | 18 | 7 | 8 | 3 | 27:25 | 2 | 29 | 19 | 4 | 6 | 9 | 18:31 | -13 | 18 |
| 14 | რასინგი | 37 | 10 | 15 | 12 | 52:50 | 2 | 45 | 19 | 3 | 13 | 3 | 25:22 | 3 | 22 | 18 | 7 | 2 | 10 | 27:28 | -1 | 23 |
| 15 | ნუმანსია | 37 | 11 | 12 | 14 | 46:57 | -11 | 45 | 18 | 9 | 6 | 3 | 29:16 | 13 | 33 | 19 | 2 | 6 | 11 | 17:41 | -24 | 12 |
| 16 | ოვიედო | 37 | 11 | 12 | 14 | 44:59 | -15 | 45 | 18 | 9 | 7 | 2 | 23:12 | 11 | 34 | 19 | 2 | 5 | 12 | 21:47 | -26 | 11 |
| 17 | სოსიედადი | 37 | 10 | 14 | 13 | 41:49 | -8 | 44 | 19 | 9 | 7 | 3 | 28:19 | 9 | 34 | 18 | 1 | 7 | 10 | 13:30 | -17 | 10 |
| 18 | ბეტისი | 37 | 10 | 9 | 18 | 31:55 | -24 | 39 | 19 | 8 | 6 | 5 | 19:18 | 1 | 30 | 18 | 2 | 3 | 13 | 12:37 | -25 | 9 |
| 19 | ატლეტიკო | 37 | 8 | 11 | 18 | 46:63 | -17 | 35 | 19 | 5 | 8 | 6 | 26:25 | 1 | 23 | 18 | 3 | 3 | 12 | 20:38 | -18 | 12 |
| 20 | სევილია | 37 | 5 | 13 | 19 | 40:64 | -24 | 28 | 18 | 5 | 6 | 7 | 23:24 | -1 | 21 | 19 | 0 | 7 | 12 | 17:40 | -23 | 7 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 27 |
| კატანია (მალაგა) | 24 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 24 |
| მაკაი (დეპორტივო) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 20 |

## XXXVIII ტური

19 მაისი
ბილბაო — ალავესი
ბარსელონა — სელტა
დეპორტივო — ესპანიოლი
რეალი — ვალიადოლიდი
მალიორკა — ატლეტიკო
ვალენსია — სარაგოსა
20 მაისი
ნუმანსია — ბეტისი
მალაგა — რასინგი
ოვიედო — სოსიედადი
სევილია — რაიო

## მეორე დივიზიონი

XXXIX ტური

### ეიბარი 4:1 ლას პალმასი

1:0 ოლანო (3), 2:0 არტეჩე (49), 3:0 აგიარი (69), 4:0 მორალესი (74), 4:1 ტევენე (92)

### ელჩე 2:1 კორდობა

1:0 ზარატე (36), 1:1 რამოსი (60), 2:1 ნინიო (62)

### ვილიარეალი 1:1 კომპოსტელა

0:1 გუდელი (73), 1:1 გარსია (90)

### ალბასეტე 1:0 სალამანკა

1:0 ბასტი (28)

### ხეტაფე 2:2 ლოგრონიესი

0:1 არენასა (23), 1:1, 2:1 პარადო (48, 50), 2:2 კიკო (80)

### ლევანტე 2:1 ოსასუნა

0:1 ალფრედო (8), 1:1 ისრაელი (31), 2:1 ტომასი (43)

### სპორტინგი 3:1 ატლეტიკო B

1:0 ალბერტო (32), 2:0 რუბენი (55), 2:1 ოსკარი (66), 3:1 ჩერიშევი (90)

### უელვა 0:3 მერიდა

0:1 პრიეტო (3), 0:2 დავიდი (66), 0:3 სესარი (62)

### ესტრემადურა 1:2 ტოლედო

0:1 მიგელ ანხელი (20), 0:2 დანი ბუზასი (43), 1:2 რუედა (79)

### ბადახოსი 0:0 ლეიდა

### ტენერიფე 0:0 ლეგანესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 39 | 18 | 11 | 10 | 53:38 | 65 |
| ვილიარეალი | 39 | 17 | 11 | 11 | 56:42 | 62 |
| ოსასუნა | 39 | 18 | 6 | 15 | 42:34 | 60 |
| ესტრემადურა | 39 | 16 | 12 | 11 | 46:41 | 60 |
| სალამანკა | 39 | 16 | 11 | 12 | 47:39 | 59 |
| სპორტინგი | 39 | 17 | 7 | 15 | 51:45 | 58 |
| მერიდა | 39 | 15 | 13 | 11 | 39:33 | 58 |
| ლევანტე | 39 | 15 | 13 | 11 | 50:46 | 58 |
| ლეიდა | 39 | 16 | 9 | 14 | 58:48 | 57 |
| კორდობა | 39 | 14 | 12 | 13 | 42:41 | 54 |
| ლეგანესი | 39 | 14 | 14 | 11 | 39:39 | 53 |
| ალბასეტე | 39 | 13 | 14 | 12 | 46:50 | 53 |
| ტენერიფე | 39 | 13 | 12 | 14 | 45:44 | 51 |
| ეიბარი | 39 | 12 | 15 | 12 | 44:47 | 51 |
| ელჩე | 39 | 11 | 17 | 11 | 43:48 | 50 |
| ბადახოსი | 39 | 9 | 22 | 8 | 33:33 | 49 |
| ხეტაფე | 39 | 12 | 9 | 18 | 37:45 | 45 |
| ატლეტიკო B | 39 | 12 | 9 | 18 | 42:56 | 45 |
| კომპოსტელა | 39 | 9 | 17 | 13 | 45:51 | 44 |
| ლოგრონიესი | 39 | 10 | 13 | 16 | 50:53 | 43 |
| უელვა | 39 | 11 | 9 | 19 | 38:51 | 42 |
| ტოლედო | 39 | 9 | 8 | 22 | 30:52 | 35 |


REUTERS სტამბოლიდან

ჰაქან შუქური და მისი „გალათასარაი“ კოპენჰაგენში მიემგზავრებიან

## პორტუგალია

XXXIV ტური

**ჟილ ვისენტე 2:1 პორტუ**

1:0 ლემოშ (42), 1:1 დრულოვიჩი (63), 2:1 კარლიტუში (71)

**სალგეირუში 0:4 სპორტინგი**

0:1 ანდრე კრუზი (48), 0:2 აევუ (53), 0:3 დუშერი (76), 0:4 ანდრე კრუზი (89)

**სეტუბალი 0:0 ლეირია**

**ფარენსე 2:1 ბელენენსეში**

0:1 ჟოზე კარლოსი (59), 1:1 მარკო ნუნო (61), 2:1 ჰასანი (66)

**რიუ ავე 2:0 ალვერკა**

1:0 გამა (59), 2:0 სერჟიო (68)

**სანტა კლარა 3:2 გიმარაეში**

1:0 პროკოპენკო (61), 2:0 ელ იდრისი (62), 2:1 სემედუ (77), 2:2 რივა სილვა (82პ), 3:2 ამარალი (83)

**ბენფიკა 2:1 მარიტიმუ**

1:0 სერჟიო ნუნეში (14), 2:0 კანდაუროვი (25), 2:1 ოლივეირა პინტუ (77)

**ბოავიშტა 2:2 ბრაგა**

1:0 მონტანინიო (6), 1:1 ლუის ფილიპი (18), 2:1 ლიტუშ მაგალაეში (22), 2:2 ლუის ფილიპი (23)

**ამადორა 3:0 კამპომაიორენსე**

1:0 რუი ნევეში (6), 3:0 გაუჩო გომეში (11პ, 18პ)

„სპორტინგის“ გულშემატკივარი თავისი საყვარელი გუნდის წარმატებას 18 წელი ელოდა. ლისაბონელებმა პორტუგალიის ჩემპიონის ტიტული ბოლოს 1982 წელს მოიპოვეს. მერე „სპორტინგს“ ხან თანაქალაქელი „ბენფიკა“ სჯობნიდა, ხანაც „პორტუ“.

წლეულს „პორტუსა“ და „ბენფიკას“ ბატონობის ეპოქა დასრულდა, სადავეები „სპორტინგმა“ იგდო ხელთ და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ ჩემპიონია.

„მართლაც ბევრი ვიშრომეთ, ძალლონე არ დავიშურეთ და, ვფიქრობ, ჩემპიონებიც დამსახურებულად გავხდით“ — განაცხადა ლირბონელთა თავკაცმა ანტონიუ ინაჩიუმ, რომლის გუნდმა პორტუგალიის ბოლო ხუთი წლის უცვლელ ჩემპიონ „პორტუს“ ოთხი ქულით აჯობა.

ჩემპიონატის ბოლო ტურამდე გამარჯვებულის ბედი გაურკვეველი იყო, „სპორტინგი“ „პორტუს“ მხოლოდ ქულით უსწრებდა. ორივე გუნდი სტუმრად თამაშობდა. პორტუელები „ჟილ ვისენტეს“, ხოლო ლისაბონელები „სალგეირუშს“ ხვდებოდნენ.

„პორტუმ“ „ჟილ ვისენტესთან“ მოულოდნელად 1:2 წააგო, ხოლო ჩემპიონობის იმედით ფრთაშესხმულ „სპორტინგს“ „სალგეირუშის“ დამარცხება არ გასჭირვებია, მეტოქე 4:0 გაანადგურა და უძლიერესის სახელი დაიბევა.

„სპორტინგის“ და „პორტუს“ დაპირისპირება წლეულს ქვეყნის თასზეც გაგრძელდება. ფინალური მატჩი მომავალ კვირას ჩატარდება, სადაც სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდება ერთმანეთს. ლისაბონელებს ჩინებული შანსი აქვთ, პორტუგალიური დუბლი შეასრულონ.

გაისად „სპორტინგი“ ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. უძლიერეს ევროპულ კლუბთა შორის მოხვედრა „პორტუსაც“ ძალუძს, თუმცა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ მეოთხედფინალისტს საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში.


REUTERS ლისაბონიდან

„სპორტინგის“ დანიელი მეკარე პიტერ შმაიხელი გაჩემპიონებას მაყურებლებთან ერთად ზეიმობს

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჟარდელი (პორტუ) | 38 |
| ალბერტო აკოსტა (სპორტინგი) | 22 |
| გაუჩო გომეში (ამადორა) | 21 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 34 | 23 | 8 | 3 | 57:22 | 77 |
| პორტუ | 34 | 22 | 7 | 5 | 66:26 | 73 |
| ბენფიკა | 34 | 21 | 6 | 7 | 58:33 | 69 |
| ბოავიშტა | 34 | 16 | 7 | 11 | 40:31 | 55 |
| ჟილ ვისენტე | 34 | 14 | 11 | 9 | 48:34 | 53 |
| მარიტიმუ | 34 | 13 | 11 | 10 | 42:36 | 50 |
| გიმარაეში | 34 | 14 | 6 | 14 | 48:43 | 48 |
| ამადორა | 34 | 10 | 15 | 9 | 40:35 | 45 |
| ბრაგა | 34 | 12 | 7 | 15 | 44:45 | 43 |
| ლეირია | 34 | 10 | 12 | 12 | 31:35 | 42 |
| ალვერკა | 34 | 11 | 8 | 15 | 39:48 | 41 |
| ბელენენსეში | 34 | 9 | 13 | 12 | 36:38 | 40 |
| კამპომაიორენსე | 34 | 10 | 6 | 18 | 31:51 | 36 |
| ფარენსე | 34 | 8 | 11 | 15 | 35:60 | 35 |
| სალგეირუში | 34 | 9 | 7 | 18 | 30:49 | 34 |
| რიუ ავე | 34 | 8 | 9 | 17 | 34:54 | 33 |
| სეტუბალი | 34 | 9 | 6 | 19 | 25:49 | 33 |
| სანტა კლარა | 34 | 7 | 10 | 17 | 35:50 | 31 |

## თურქეთი

33-ე ტური. ალთაი — გალათასარაი 1:0; გაზიანთეპი – ანკარაგიუჯიუ 2:2; გენჩლერბირლიგი – ერზურუმი 5:0; ვანი — ბურსა 3:1; ქოჯაელი – ანთალია 1:1; ისთანბული — ადანა 3:2; დენიზლი – გიოზთეფე 2:0; ტრაბზონი — სამსუნი 3:2; ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 1:3

უეფას თასის ფინალის სათამაშოდ „გალათასარაი“ კოპენჰაგენში კარგი ფსიქოლოგიური განწყობით ჩავა. ისტორიულ მატჩამდე სამი დღით ადრე სტამბოლური კლუბი ზედიზედ მეოთხედ გახდა თურქეთის ჩემპიონი.

მორიგ ტურში „გალათასარაი“ „ალთაისთან“ 0:1 დამარცხდა, მაგრამ გუნდი მაინც ჩემპიონია. მისმა უშუალო კონკურენტმა „ბეშიქთაშმა“ კვირას თანაქალაქელ „ფენერბაჰჩესთან“ პრინციპული დერბი 1:3 წააგო, ლიდერს 6 ქულით ჩამორჩა და დარჩენილ ერთ ტურში ველარ დაეწევა.

თურქულმა პრესამ ფინალის წინ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. მათი ცნობით, „გალათასარაიში“ ამჟამად ფინანსური კრიზისია და ფეხბურთელებს კუთვნილ ხელფასებს ვერ უხდიან.

— რვა თვეა, ჯამაგირი არ აგვილია — განუცხადა სტამბოლელთა თავდამსხმელმა ჰაქან შუქურმა გაზეთ „მილეთს“ — თუმცა ფული ყველაფერს როდი ნიშნავს. ჩვენ „გალათასარაი“ გვიყვარს და სწორედ ამიტომ ვთამაშობთ.

ფორვარდმა იქვე დასძინა — გუნდის თავმჯდომარეს უკვე ვესაუბრეთ. იგი დაგვპირდა, რომ ყველა პრობლემა 21 მაისს მოგვარდება, ჩვენ მისი გვჯერა. უეფას თასის მატჩის წინ „ალთაისთან“ მარცხი არაფერს წყვეტს. ყურადღებას „არსენალთან“ შეხვედრაზე ვამახვილებთ. ჩვენს გულშემატკივრებს მოვუწოდებ, ნუ ინერვიულებენ, ჩემპიონობას კოპენჰაგენიდან დაბრუნების შემდეგ ვიზეიმებთ.

„გალათასარაის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა შუქურის განცხადებაზე კომენტარი იუარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 33 | 24 | 6 | 3 | 76:22 | 78 |
| ბეშიქთაში | 33 | 22 | 6 | 5 | 70:26 | 72 |
| გაზიანთეპი | 33 | 17 | 11 | 5 | 49:24 | 62 |
| ფენერბაჰჩე | 33 | 16 | 10 | 7 | 57:43 | 58 |
| გენჩლერბირ. | 33 | 15 | 8 | 10 | 55:46 | 53 |
| სამსუნი | 33 | 16 | 4 | 13 | 50:41 | 52 |
| ტრაბზონი | 33 | 15 | 7 | 11 | 46:40 | 52 |
| დენიზლი | 33 | 13 | 8 | 12 | 54:55 | 47 |
| ადანა | 33 | 12 | 6 | 15 | 48:55 | 42 |
| ანკარაგიუჯიუ | 33 | 10 | 11 | 12 | 46:53 | 41 |
| ქოჯაელი | 33 | 11 | 7 | 15 | 42:55 | 40 |
| ბურსა | 33 | 11 | 6 | 16 | 50:63 | 39 |
| ერზურუმი | 33 | 10 | 8 | 15 | 39:57 | 38 |
| ანთალია | 33 | 10 | 8 | 15 | 39:57 | 38 |
| ალთაი | 33 | 10 | 7 | 16 | 33:40 | 37 |
| ისთანბული | 33 | 8 | 12 | 13 | 37:42 | 36 |
| გიოზთეფე | 33 | 6 | 5 | 22 | 24:53 | 23 |
| ვანი | 33 | 4 | 6 | 23 | 37:76 | 18 |

## ბელგია

თასის ფინალი

**სტანდარდი 1:4 გენკი**

1:0 პიერი (1), 1:1 ბანი (20), 1:2, 1:3 გუდიონსონი (53, 76), 1:4 ჰასი (81)

ბელგიის თასის ფინალში „გენკმა“ „სტანდარდი“ 4:1 დაამარცხა და მომავალ სეზონში უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. იოჰან ბოსკამპის თავკაცობით ბელგიის შარშანდელმა ჩემპიონმა „გენკმა“ წლევანდელი სეზონი წარუმატებლად ჩაატარა და საპრიზო ადგილებზე ვერ მოხვდა. ევროთასებზე გასვლის ერთადერთ იმედად გენკელებს მხოლოდ თასის მოგებაღა დარჩენოდათ და მიაღწიეს კიდეც მიზანს.

ჰოლანდიელი სპეციალისტის გუნდი თავიდან აგებდა, „სტანდარდმა“ ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა. თუმცა „გენკმა“ მეოცე წუთზე გაათანაბრა — ხორვატი ზორან ბანი თამაშგარეს ზღვარზე მცველებს დაუსხლტა და ბურთი „სტანდარდის“ კარის ბადეში გაახვია. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, მეორე ნახევარში კი „გენკი“ გაცილებით გააქტიურდა და ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა.

53-ე და 76-ე წუთებზე ისლანდიელმა ტეოდურ გუდიონსონმა ორჯერ გამოიჩინა თავი. ბესნიკ ჰასიმ კი ზუსტი საჯარიმო დარტყმით მატჩს წერტილი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელმა „გენკის“ შემადგენლობაში ბოლო შეხვედრა ჩაატარა, მომავალი სეზონიდან იგი „ანდერლეხტში“ გადავა და ბელგიის ჩემპიონის ღირსებას დაიცავს.

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

## რუსეთი

VIII ტური

**ცსკა 4:1 ზენიტი**

0:1 იგონინი (11), 1:1 კულიკი (67პ), 2:1 ბიჩკოვი (77), 3:1 შიშკინი (82), 4:1 ბიჩკოვი (87)

**ლოკომოტივი 1:0 დინამო**

1:0 ლოსკოვი (43)

**კრილია 2:1 ნ. ნოვგოროდი**

0:1 საველიევი (56), 1:1 ივანოვი (61), 2:1 ბოროდიუკი (83)

**სპარტაკი 1:0 ანჟი**

1:0 რობსონი (31)

**ფაკელი 2:2 როტორი**

0:1 ესიპოვი (23), 1:1 საფრონოვი (60), 2:1 იუმინოვი (68), 2:2 ოლენიკოვი (84)

**როსტსელმაში 0:1 ტორპედო**

0:1 ორლოვსკი (84)

**ალანია 1:0 ჩერნომორეცი**

1:0 თედეევი (38)

**ურალანი 1:2 სატურნი**

0:1 მედვედევი (40), 1:1 ჯეფერსონი (60), 1:2 სოლოვიოვი (85)

მე-8 ტურიც ჩამთავრდა, ორხელისუფლებიანობის დასასრულს კი, ალბათ, დიდხანს უნდა ველოდოთ — „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ ქულების დაკარგვას არ აპირებენ.

წინა ტურში ვოლგოგრადელთა დაბრიყვების შემდეგ „სპარტაკი“ „ლუჟნიკიზე“ მინიმალური ანგარიშით მოგებას დაყაბულდა. მისი მეტოქე კი უმაღლესი დივიზიონის ახალწვეული „ანჟი“ გახლდათ. თუმცა მახაჩყალელები დებიუტანტის კვალობაზე ჩინებულად თამაშობენ და გათამაშების ცხრილში მათი მე-5 ადგილიც ამის დასტურია. რუსთა „სახალხო გუნდსაც“ ვაჟკაცურად შეებრძოლნენ დაღესტნლები და გადამთიელი რობსონის დარტყმული რომ არა, ეგებ პატარა სასწაულიც მომხდარიყო.

„ლოკომოტივის“ მატჩების ანგარიშების გამოცნობა ძალიან იოლი გახდა — მორიგი 1:0. რკინიგზელებმა ამჯერად თანაქალაქელი დინამოელები დაჯაბნეს. თუმცა სხვა მოსაზრებაც არსებობს. ვალერი გაზაევი ამტკიცებს, „ლოკომოტივმა“ კი არა, უსინდისო მსაჯობამ წაგვაგებინა თამაშიო. ცხადია, იური სიომინი კოლეგას არ ეთანხმება და სამი ქულის მოპოვებას მთლიანად თავისი შეგირდების დამსახურებად მიიჩნევს. მეტიც, გაზაევს იქით უტევს — გვერდით ხაზთან ვიდექი და კარგადაც დავინახე, ერთ მომენტში შენი ფეხბურთელი ჩემსას როგორც ეუხეშა, მსაჯი კი დუმდაო.

სხვა შეხვედრებიდან ცსკა-ს და „ალანიას“ პირველი გამარჯვებებია აღსანიშნავი. არმიელებმა ძველი მწვრთნელით, ხოლო ვლადიკავკაზელებმა ამ მოვალეობის ახალი შემსრულებლით შესაბამისად „ზენიტი“ და „ჩერნომორეცი“ დაამარცხეს. ამან კი ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი“ ერთადერთ გუნდად აქცია, რომელსაც მოგების სიტკბო ჯერაც არ უგემია. მაჩანჩალობის „პატივიც“ მასვე ერგო წილად


СПОРТ-ЭКСПРЕСС

ლოკომოტივი — დინამო 1:0. ვალერი გაზაევი მსაჯობით უკმაყოფილოა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 8 | 7 | 1 | 0 | 18:4 | 22 |
| ლოკომოტივი | 8 | 7 | 1 | 0 | 11:0 | 22 |
| ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 8:3 | 15 |
| დინამო | 8 | 4 | 2 | 2 | 5:5 | 14 |
| ანჟი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:6 | 13 |
| ჩერნომორეცი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:3 | 12 |
| სატურნი | 8 | 3 | 2 | 3 | 5:7 | 11 |
| როტორი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:16 | 11 |
| როსტსელმაში | 8 | 2 | 4 | 2 | 6:5 | 10 |
| ფაკელი | 8 | 2 | 4 | 2 | 11:12 | 10 |
| კრილია | 8 | 3 | 0 | 5 | 8:10 | 9 |
| ზენიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:10 | 8 |
| ურალანი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:9 | 5 |
| ალანია | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | 5 |
| ცსკა | 8 | 1 | 1 | 6 | 5:12 | 4 |
| ნ. ნოვგოროდი | 8 | 0 | 4 | 4 | 4:8 | 4 |

## საფრანგეთი

XXXIV ტური

**ტრუა 2:2 პსჟ**

1:0 ჯუკიჩი (17), 1:1 რობერი (21), 1:2 კრისტიანი (37), 2:2 ჯუკიჩი (40)

**სენტ ეტიენი 3:1 მონაკო**

1:0 ვალემე (9), 1:1 სიმონე (14), 2:1 კრისტენვალი (21ს.კ.), 3:1 გუელი (43)

**მონპელიე 2:2 ლიონი**

1:0 ფ. სილვესტრი (22), 1:1 ლეგლი (32), 1:2 ანდერსონი (44), 2:2 მაულიდა (84)

**ბასტია 1:1 ბორდო**

0:1 ვილტორდი (60), 1:1 პრინსი (87)

**ნანსი 2:0 ოსერი**

1:0, 2:0 კასკარინო (50, 76)

**სედანი 2:2 მარსელი**

1:0 ვერშუერი (34), 1:1 ლერუა (45), 1:2 ბაკაიოკო (70), 2:2 დი როკო (90)

**ლანსი 3:0 სტრასბური**

1:0 მორეირა (55), 2:0 ბრუნელი (64), 3:0 მორეირა (77)

**რენი 2:0 მეცი**

1:0 ბინგე (49), 2:0 ლე რუ (62)

**ლე ავრი 0:1 ნანტი**

0:1 ვაირუა (28)

პსჟ-მ ჩემპიონატში მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა. ბოლო ტურში პარიზელები „ტრუას" ესტუმრნენ და შეხვედრა ფრედ 2:2 დაასრულეს. მოპოვებული თითო-თითო ქულა ორივე გუნდისთვის საკმარისი აღმოჩნდა — „ტრუამ" პირველ დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა, ხოლო პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

„ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა დავისახეთ მიზნად და ეს ავასრულეთ კიდეც — განაცხადა დედაქალაქური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ ბერჟერომ — „ტრუასთან" მატჩი ერთობ რთული გამოდგა, მაგრამ საბოლოოდ ფრეც გვეყო. სეზონის დაწყებიდან ყოველთვის წინა პოზიციებზე ვიყავით და ლიგის საგზური ნამდვილად დავიმსახურეთ".

მწვრთნელის მოსაზრებას პსჟ-ს მეკარე ბერნარ ლამა დაეთანხმა: „ჩინებული სეზონი იყო. ჩემპიონთა ლიგაში კვლავ დაბრუნებას კარგა ხანს ველოდეთ, ყველამ გავიხარეთ".

ჩემპიონთა ლიგის საგზური მესამეადგილოსანმა „ლიონმაც" მოიპოვა. გუნდმა აუტსაიდერ „მონპელიესთან" ფრედ 2:2 ითამაშა, მაგრამ ეს შედეგი მისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია.

„მესამე ადგილი ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა, მაგრამ ეს სულ არაფერს სჯობს. პირადი შედეგით კი კმაყოფილი ვარ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი" — განაცხადა ლიონელმა სონი ანდერსონმა, რომელმაც წლევანდელ სეზონში 23 გოლი გაიტანა.

მეოთხე ადგილზე გასული გუნდი — „ბორდო" უეფას თასზე იასპარეზებს. მწვრთნელ ელი ბოპის განცხადებით, მათთვის ეს შედეგი სავსებით მისაღებია: „სეზონის განმავლობაში საჭირო ქულები დავკარგეთ, საბოლოოდ იმას მივაღწიეთ, რაც დავიმსახურეთ".

ტიტულიანი მარსელის „ოლიმპიკი" გავარდნას ძლივს გადაურჩა, სტუმრად „სედანთან" ფრედ ითამაშა და მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა „ნანსის", რომელიც მეორე დივიზიონში დაქვეითდა.

— „დიდი ხანია, ასე არ მინერვიულია — განაცხადა მარსელელთა კაპიტანმა პატრიკ ბლონდომ — მართლაც ცუდი სეზონი ჩავატარეთ, მაგრამ რახან კვლავ უმაღლეს ლიგაში ვართ, მომავალზე უნდა ვიფიქროთ".

სეზონს გაისად მეორე ლიგაში დაიწყებენ „მონპელიე", „ლე ავრი" და „ნანსი", მათ ადგილს კი უმაღლეს დივიზიონში „ლილი", „გენგამი" და „ტულუზი" ან „სოშო" დაიკავებენ.

უეფას თასისთვის „ბორდოს" გარდა საფრანგეთის თასის გამარჯვებული „ნანტი" და ლიგის თასის მფლობელი „გენიონი" იბრძოლებენ.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდერსონი (ლიონი) | 23 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 22 |
| სიმონე (მონაკო) | 21 |
| კრისტიანი (პსჟ) | 16 |
| ნონდა (პსჟ) | 15 |
| ალექსი (სენტ ეტიენი) | 15 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 34 | 20 | 5 | 9 | 69:38 | 65 |
| პსჟ | 34 | 16 | 10 | 8 | 54:40 | 58 |
| ლიონი | 34 | 16 | 8 | 10 | 45:42 | 56 |
| ბორდო | 34 | 15 | 9 | 10 | 52:40 | 54 |
| ლანსი | 34 | 14 | 7 | 13 | 42:41 | 49 |
| სენტ ეტიენი | 34 | 13 | 9 | 12 | 46:47 | 48 |
| სედანი | 34 | 13 | 9 | 12 | 43:44 | 48 |
| ოსერი | 34 | 13 | 8 | 13 | 37:39 | 47 |
| სტრასბური | 34 | 13 | 7 | 14 | 42:52 | 46 |
| ბასტია | 34 | 11 | 12 | 11 | 43:39 | 45 |
| მეცი | 34 | 9 | 17 | 8 | 38:33 | 44 |
| ნანტი | 34 | 12 | 7 | 15 | 39:40 | 43 |
| რენი | 34 | 12 | 7 | 15 | 44:48 | 43 |
| ტრუა | 34 | 13 | 4 | 17 | 36:52 | 43 |
| მარსელი | 34 | 9 | 15 | 10 | 45:45 | 42 |
| ნანსი | 34 | 11 | 9 | 14 | 43:45 | 42 |
| ლე ავრი | 34 | 9 | 7 | 18 | 30:52 | 34 |
| მონპელიე | 34 | 7 | 10 | 17 | 39:50 | 31 |

### მეორე დივიზიონი

37-ე ტური. ნიცა — ლორიანი 3:1; ლავალი — სოშო 1:2; ამიენი — კრეტეი 0:0; გენგამი — ლილი 1:1; ლუანი — კაენი 0:4; ნიმი — გენიონი 0:1; აიაჩო — ვალანსი 2:1; ვასკეალი — ნიორი 2:0; ტულუზი — ლე მანი 3:0; შატორუ — კანი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 37 | 24 | 8 | 5 | 57:25 | 80 |
| გენგამი | 37 | 18 | 12 | 7 | 62:41 | 66 |
| ტულუზი | 37 | 18 | 8 | 11 | 51:30 | 62 |
| სოშო | 37 | 17 | 8 | 12 | 51:41 | 59 |
| გენიონი | 37 | 13 | 17 | 7 | 47:30 | 56 |
| აიაჩო | 37 | 15 | 8 | 14 | 37:40 | 53 |
| კაენი | 37 | 12 | 16 | 9 | 50:36 | 52 |
| ლავალი | 37 | 13 | 15 | 10 | 41:39 | 51 |
| ლე მანი | 37 | 12 | 15 | 10 | 44:44 | 51 |
| შატორუ | 37 | 13 | 11 | 13 | 42:44 | 50 |
| ნიმი | 37 | 12 | 11 | 14 | 41:42 | 47 |
| ნიცა | 37 | 9 | 20 | 8 | 30:33 | 47 |
| ნიორი | 37 | 10 | 15 | 12 | 41:46 | 45 |
| კანი | 37 | 11 | 12 | 14 | 31:37 | 45 |
| ლორიანი | 37 | 11 | 11 | 15 | 31:39 | 44 |
| ვასკეალი | 37 | 9 | 16 | 12 | 33:39 | 43 |
| კრეტეი | 37 | 10 | 11 | 16 | 33:51 | 41 |
| ამიენი | 37 | 7 | 15 | 15 | 30:43 | 36 |
| ვალანსი | 37 | 6 | 14 | 17 | 35:53 | 32 |
| ლუანი | 37 | 5 | 9 | 23 | 31:65 | 24 |

## ჩეხეთი

29-ე ტური. სიგმა — სპარტა 1:1; სლავია — ბუდეიოვიცე 4:1; დრნოვიცე — ტეპლიცე 1:1; ოპავა — დუკლა 0:1; ვიქტორია — იაბლონეცი 0:0; ბლშანი — ბრნო 1:0; ლიბერეცი — ბოჰემიანსი 2:0; ჰ. კრალოვე — ბანიკი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 29 | 23 | 4 | 2 | 76:23 | 73 |
| სლავია | 29 | 21 | 5 | 3 | 52:22 | 68 |
| დრნოვიცე | 29 | 14 | 6 | 9 | 36:27 | 48 |
| ტეპლიცე | 29 | 10 | 10 | 9 | 38:38 | 40 |
| ბრნო | 29 | 11 | 6 | 12 | 32:32 | 39 |
| ბოჰემიანსი | 29 | 10 | 9 | 10 | 23:27 | 39 |
| ლიბერეცი | 29 | 9 | 11 | 9 | 21:21 | 38 |
| დუკლა | 29 | 10 | 7 | 12 | 32:36 | 37 |
| ვიქტორია | 29 | 9 | 9 | 11 | 37:41 | 36 |
| ბლშანი | 29 | 10 | 6 | 13 | 27:44 | 36 |
| ბანიკი | 29 | 7 | 11 | 11 | 40:45 | 32 |
| ბუდეიოვიცე | 29 | 9 | 5 | 15 | 33:47 | 32 |
| სიგმა | 29 | 6 | 13 | 10 | 29:37 | 31 |
| იაბლონეცი | 29 | 6 | 11 | 12 | 20:36 | 29 |
| ოპავა | 29 | 6 | 10 | 13 | 31:35 | 28 |
| ჰ. კრალოვე | 29 | 4 | 11 | 14 | 21:37 | 23 |

## პოლონეთი

27-ე ტური. პოლონია — ამიცა 4:0; ვისლა — გურნიკი 6:3; გროცლინი — პლოცკი 3:1; რუხი — ზაგლებე 0:2; სტომილი — ლეგია 1:0; რაძიონკოვი — ვიძევი 4:1; ლკს — ლეხი 1:0; პოგონი — ოდრა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 27 | 18 | 5 | 4 | 48:22 | 59 |
| ვისლა | 27 | 15 | 7 | 5 | 59:34 | 52 |
| რუხი | 27 | 14 | 9 | 4 | 47:26 | 51 |
| ლეგია | 27 | 13 | 10 | 4 | 52:29 | 49 |
| ამიცა | 27 | 10 | 10 | 7 | 39:31 | 40 |
| ზაგლებე | 27 | 10 | 9 | 8 | 35:30 | 39 |
| სტომილი | 27 | 8 | 11 | 8 | 28:36 | 35 |
| პოგონი | 27 | 8 | 10 | 9 | 39:46 | 34 |
| რაძიონკოვი | 27 | 10 | 4 | 13 | 35:44 | 34 |
| ოდრა | 27 | 9 | 6 | 12 | 28:31 | 33 |
| ვიძევი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:44 | 33 |
| გროცლინი | 27 | 9 | 2 | 16 | 24:43 | 29 |
| პლოცკი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:39 | 27 |
| გურნიკი | 27 | 6 | 8 | 13 | 34:38 | 26 |
| ლკს | 27 | 6 | 7 | 14 | 22:35 | 25 |
| ლეხი | 26 | 4 | 6 | 16 | 30:52 | 18 |



ვიტესელთა მწვრთნელ რონალდ კუმანს ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენამ გული დასწყვიტა

## ჰოლანდია

XXXIV ტური

**უტრეხტი 3:1 აიაქსი**

1:0 ტუზანი (8), 2:0 ვან დერ ჰააგი (35), 3:0 ტუზანი (65), 3:1 კნოპერი (69)

აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ (ობრაიენი 65), ვან ჰალსტი, ვინტერი, ჩივუ, იაკუბუ, კნოპერი, ვიჩგე, ბ. ლაუდრუპი (ვამბერტო 58), შ. არველაძე (ჰოსე 58), გრონკიაერი

მწვრთნელი: ჰანს ვერსტეჰოფი

13 500 მაყურებელი

**კამბური 2:1 ვალვაიკი**

1:0 აბმა (8), 1:1 ლანკორი (39პ), 2:1 ვან დერ ჰეიდი (57)

**პსვ 2:0 ნაიმეგენი**

1:0 ნილისი (38პ), 2:0 ბოუმა (52)

**გრააფსხაპი 1:1 ჰერენვენი**

0:1 ჰუიზინგი (50), 1:1 ვისკაალი (53)

**დენ ბოსხი 7:0 სპარტა**

1:0 ვოსი (20), 2:0 ვან ჰორნი (56), 3:0, 4:0, 5:0 ვოსი (65, 80, 84), 6:0 ვან ჰორნი (86), 7:0 ვან დერ ლაანი (90)

**ფეიენოორდი 1:1 ტვენტე**

1:0 კორნეევი (6), 1:1 ბუტი (66)

**ვიტესი 2:2 სიტარდი**

0:1 გერიტსენი (32), 1:1 ნანუ (36), 1:2 კრიგსმანი (77), 2:2 ჩუროვიჩი (86)

**როდა 3:2 ალკმარი**

0:1 ბოსმანი (4), 1:1 ვან ჰუდტი (29), 2:1 ვალგაერენი (55), 3:1 ვან ჰუდტი (60), 3:2 ოპდამი (84)

**მაასტრიხტი 1:1 ტილბურგი**

0:1 ტომასიჩი (46ს.კ.), 1:1 ჰოლანდერსი (61)

ქვეყნის ჩემპიონ პსვ-სა და „ჰერენვენის" კვალდაკვალ ჩემპიონთა ლიგაში ჰოლანდიის მესამე წარმომადგენელი „ფეიენოორდი" გავიდა. როტერდამულმა კლუბმა ბოლო ტურში შინ „ტვენტესთან" ფრედ ითამაშა, მაგრამ უახლოესი მდევრების — „ვიტესისა" და „აიაქსის" უხეირობამ მესამე ადგილი შეუნარჩუნა.

მეოთხეადგილოსანი „ვიტესი" შინ „ფორტუნასთან" გამარჯვების შემთხვევაში როტერდამულ კლუბს გაუსწრებდა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვდებოდა. გუნდმა ეს ჩინებული შესაძლებლობა სიტარდელებთან ფრეს გააყოლა. აღსანიშნავია, რომ არნემელები ორჯერ აგებდნენ, თუმცა ორჯერვე გაათანაბრეს, მაგრამ მეტი ველარაფერი მოახერხეს. „ვიტესი" უეფას თასზელა მოსინჯავს ძალებს.

ლიგის საგზური ვერც „აიაქსმა" მოიპოვა, სტუმრად „უტრეხტთან" 1:3 დამარცხდა და გაისად მასაც უეფას თასზე მოუწევს ასპარეზობა.

მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდნენ და „აიაქსის" კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, სამჯერ წარმატებასაც მიაღწიეს. სტუმრებმა კი ერთადერთი გოლის გატანის გარდა ვერაფერი მოახერხეს და არცთუ წარმატებული სეზონი მარცხით დაასრულეს.

უმაღლეს ლიგას „დენ ბოსხი" გამოეთხოვა, მის ადგილს „ბრედა" დაიკავებს, ხოლო დანარჩენი ორი აუტსაიდერი — „კამბური" და „მაასტრიხტი" მეორე დივიზიონის გუნდებთან საპლეიოფო შეხვედრებს გამართავს.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (პსვ) | 29 |
| ვან ჰოიდონკი (ვიტესი) | 25 |
| ნილისი (პსვ) | 19 |
| ბრუგინკი (პსვ) | 19 |
| ვენეგოორი (ტვენტე) | 19 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 34 | 27 | 3 | 4 | 105:24 | 84 |
| ჰერენვენი | 34 | 21 | 5 | 8 | 65:36 | 68 |
| ფეიენოორდი | 34 | 18 | 10 | 6 | 66:42 | 64 |
| ვიტესი | 34 | 18 | 9 | 7 | 67:43 | 63 |
| აიაქსი | 34 | 18 | 7 | 9 | 72:51 | 61 |
| ტვენტე | 34 | 16 | 12 | 6 | 57:37 | 60 |
| ალკმარი | 34 | 17 | 4 | 13 | 69:59 | 55 |
| როდა | 34 | 16 | 7 | 11 | 62:53 | 55 |
| ტილბურგი | 34 | 13 | 9 | 12 | 55:65 | 48 |
| უტრეხტი | 34 | 14 | 4 | 16 | 55:61 | 46 |
| ვალვაიკი | 34 | 12 | 6 | 16 | 44:67 | 42 |
| სიტარდი | 34 | 10 | 8 | 16 | 47:54 | 38 |
| სპარტა | 34 | 11 | 4 | 19 | 48:75 | 37 |
| გრააფსხაპი | 34 | 8 | 9 | 17 | 41:60 | 33 |
| ნაიმეგენი | 34 | 7 | 6 | 21 | 35:62 | 27 |
| მაასტრიხტი | 34 | 6 | 7 | 21 | 38:68 | 25 |
| კამბური | 34 | 6 | 7 | 21 | 35:66 | 25 |
| დენ ბოსხი | 34 | 4 | 11 | 19 | 36:74 | 23 |

## შოტლანდია

XXXV ტური

**დანდი იუნ. 1:2 მოზერუელი**

0:1 გუდმენი (32), 1:1 ჰამილტონი (37პ), 1:2 გუდმენი (79)

**რეინჯერსი 1:0 ჰართსი**

1:0 დოდსი (22)

**სენტ ჯონსტონი 0:0 სელტიკი**

**დანდი 1:0 ჰიბერნიანი**

1:0 რაე (55)

**აბერდინი 5:1 კილმარნოკი**

1:0 ზერუალი (6), 1:1 ლაუკლანი (25), 2:1 როუსონი (30), 3:1 ჯესი (45), 4:1 სოლბერგი (76პ), 5:1 უინტერსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 35 | 28 | 6 | 1 | 96:24 | 90 |
| სელტიკი | 35 | 20 | 6 | 9 | 88:38 | 66 |
| ჰართსი | 35 | 14 | 9 | 12 | 45:39 | 51 |
| მოზერუელი | 35 | 13 | 10 | 12 | 47:63 | 49 |
| სტ. ჯონსტონი | 35 | 10 | 12 | 13 | 34:41 | 42 |
| ჰიბერნიანი | 35 | 10 | 11 | 14 | 48:59 | 41 |
| დანდი | 35 | 12 | 5 | 18 | 45:62 | 41 |
| დანდი იუნ. | 35 | 11 | 6 | 18 | 34:55 | 39 |
| კილმარნოკი | 35 | 7 | 13 | 15 | 35:50 | 34 |
| აბერდინი | 35 | 8 | 6 | 21 | 42:83 | 30 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## ნორვეგია

მე-7 ტური. ბოდიო გლიმტი — მოლდე 2:2; ბრინი — ბრანი 0:3; მოსი — სტაბეკი 1:1; ოდ გრენლანდი — ჰაუგესუნდი 4:2; სტარტი — რუსენბორგი 1:3; ტრომსიო — ვიკინგი 2:5; ვოლერენგა — ლილესტრიომი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 8 | 6 | 1 | 1 | 18:7 | 19 |
| ბრანი | 8 | 5 | 2 | 1 | 20:9 | 17 |
| ვიკინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 17:11 | 14 |
| მოლდე | 8 | 3 | 5 | 0 | 14:11 | 14 |
| მოსი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:14 | 12 |
| სტაბეკი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:8 | 11 |
| ოდ გრენლანდი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| ლილესტრიომი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 9 |
| ტრომსიო | 8 | 2 | 2 | 4 | 12:20 | 8 |
| ჰაუგესუნდი | 8 | 2 | 1 | 5 | 14:21 | 7 |
| ბრინი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | 7 |
| ვოლერენგა | 8 | 1 | 3 | 4 | 10:13 | 6 |
| სტარტი | 8 | 0 | 2 | 6 | 6:20 | 2 |

## შვეიცარია

მე-10 ტური. ლოზანა — გრასჰოპერი 3:1; ლუცერნი — სერვეტი 1:1; ქსამაქსი — ივერდონი 7:2; ბაზელი — სენტ გალენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 10 | 7 | 2 | 1 | 27:11 | 46 |
| ბაზელი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:9 | 38 |
| ლოზანა | 10 | 5 | 2 | 3 | 14:9 | 35 |
| გრასჰოპერი | 10 | 4 | 3 | 3 | 21:18 | 32 |
| ლუცერნი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:24 | 27 |
| სერვეტი | 10 | 3 | 2 | 5 | 18:16 | 25 |
| ქსამაქსი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:22 | 22 |
| ივერდონი | 10 | 2 | 0 | 8 | 10:24 | 21 |

## ავსტრია

34-ე ტური. ტიროლი — რიდი 3:1; გრაცერი — შტურმი 2:4; ლუსტენაუ — აუსტრია 1:2; ლინცერი — ზალცბურგი 1:1; რაპიდი — ბრეგენცი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 34 | 22 | 5 | 7 | 49:29 | 71 |
| შტურმი | 34 | 21 | 7 | 6 | 69:31 | 70 |
| რაპიდი | 34 | 20 | 5 | 9 | 59:28 | 65 |
| რიდი | 34 | 15 | 7 | 12 | 55:37 | 52 |
| აუსტრია | 34 | 15 | 6 | 13 | 47:42 | 51 |
| ზალცბურგი | 34 | 11 | 9 | 14 | 37:45 | 42 |
| გრაცერი | 34 | 12 | 5 | 17 | 39:56 | 41 |
| ლინცერი | 34 | 9 | 8 | 17 | 38:47 | 35 |
| ბრეგენცი | 34 | 9 | 5 | 20 | 35:70 | 32 |
| ლუსტენაუ | 34 | 4 | 7 | 23 | 22:65 | 19 |

## საბერძნეთი

32-ე ტური. ოლიმპიაკოსი — ოფი 2:0; პანიონიოსი — პანათინაიკოსი 0:4; კავალა — აეკ 0:2; იონიკოსი — არისი 2:2; ირაკლისი — პანაჰაიკი 2:1; ტრიკალა — კალამატა 0:2; პანილიაკოსი — ქსანტი 2:0; პროდეფტიკი — ეთნიკოსი 1:0; აპოლონი — პაოკ 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 32 | 28 | 2 | 2 | 80:17 | 86 |
| პანათინაიკოსი | 32 | 26 | 4 | 2 | 83:23 | 82 |
| აეკ | 32 | 18 | 6 | 8 | 61:37 | 60 |
| ოფი | 32 | 17 | 9 | 6 | 57:41 | 60 |
| პაოკ | 32 | 13 | 10 | 9 | 54:41 | 49 |
| არისი | 32 | 13 | 8 | 11 | 45:40 | 47 |
| ირაკლისი | 32 | 14 | 4 | 14 | 52:56 | 46 |
| პანიონიოსი | 32 | 14 | 2 | 16 | 46:57 | 44 |
| ქსანტი | 32 | 11 | 8 | 13 | 35:40 | 41 |
| კალამატა | 32 | 11 | 8 | 13 | 35:49 | 41 |
| იონიკოსი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:47 | 38 |
| პანილიაკოსი | 32 | 11 | 4 | 17 | 40:46 | 37 |
| პანაჰაიკი | 32 | 8 | 12 | 12 | 34:42 | 36 |
| ეთნიკოსი | 32 | 10 | 5 | 17 | 28:48 | 35 |
| კავალა | 32 | 8 | 6 | 18 | 32:57 | 30 |
| პროდეფტიკი | 32 | 7 | 7 | 18 | 27:47 | 28 |
| აპოლონი | 32 | 6 | 6 | 20 | 30:53 | 24 |
| ტრიკალა | 32 | 5 | 6 | 21 | 31:67 | 21 |

## დანია

30-ე ტური. აკადემისკი — ვიბორგი 6:0; ესბიერგი — ჰერფიოლგე 1:2; ოდენსე — ლიუნგბიუ 1:3; ოლბორგი — ვაილე 7:1; სილკებორგი — ბრონდბიუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 30 | 16 | 5 | 9 | 47:44 | 53 |
| ბრონდბიუ | 30 | 14 | 8 | 8 | 54:34 | 50 |
| ოლბორგი | 30 | 12 | 12 | 6 | 54:31 | 48 |
| აკადემისკი | 30 | 12 | 9 | 9 | 46:33 | 45 |
| სილკებორგი | 30 | 12 | 8 | 10 | 45:32 | 44 |
| ლიუნგბიუ | 30 | 13 | 4 | 13 | 49:52 | 43 |
| ვიბორგი | 30 | 12 | 7 | 11 | 42:48 | 43 |
| კოპენჰაგენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41:33 | 42 |
| ოდენსე | 30 | 9 | 9 | 12 | 34:40 | 36 |
| ორჰუსი | 30 | 9 | 7 | 14 | 34:49 | 34 |
| ვაილე | 30 | 6 | 11 | 13 | 36:63 | 29 |
| ესბიერგი | 30 | 8 | 4 | 18 | 39:62 | 28 |

# დიდი სკანდალი რუმინეთში

## გაყიდული თამაშების უკან პოლიცია დგას

„გამორიცხულია, რომ ჩემი მომავალი რუმინულ ფეხბურთს დავუკავ-
...რო. დღეს იქ სრული განუკითხაობა სუფევს. ყველაზე ცუდი კი ის არის, ...მ სიტუაციის გამოსწორება არავის სურს" — ეს გეორგე ჰაჯის სიტყვებია. ...ოდესაც საუკუნის საუკეთესო რუმინელი ფეხბურთელი ამას ამბობს, ცხადია, ...ზეზიც სერიოზული უნდა ჰქონდეს.

...წვრილმან თუ მსხვილმან სკანდალებს, რაც რუმინულ ფეხბურთს მუდამ ...ან სდევს, ერთი ახალი საქმეც შეემატა. მეორე დივიზიონელი „დრობეტას" ...იდმეტმა ფეხბურთელმა საჯაროდ განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელო-...მ მათ „ხიმიკასთან" მატჩის წაგება მოსთხოვა. დამეთანხმებით, თამაშის ...ყიდვა უმძიმესი საფეხბურთო დანაშაულია.

...აღნიშნული შემთხვევის გამოკვლევა რუმინეთის ეროვნული ჩემპიონატის ...ორგანიზაციო კომისიამ ითავა და გადაწყვეტილებაც გამოიტანა: „დრობეტა" ...„ხიმიკა" მესამე დივიზიონში დაქვეითდნენ, ხოლო მესვეურნი ფეხბურთიდან ...მუდამოდ მოიკვეთონ. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილებაა. თი-...ქოს საკამათოც არაფერი უნდა იყოს, მაგრამ... რამდენიმე დღის შემდეგ „დრო-...ტას" ფეხბურთელებმა თავისი ნათქვამი უარყვეს, რის მერეც რუმინეთის ...ეხბურთის ფედერაციამ კომისიის ადრე მიღებული გადაწყვეტილება ახლით ...ცვალა: კლუბებს სასჯელი მოეხსნათ, მათ მეპატრონეებს სამუდამო მოკვეთა ...თწლიანით შეეცვალათ, ხოლო „დრობეტას" ცხრა ყველაზე აქტიური მოთა-...შე 24-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს. ძალიან უცნაურად არ შეტ-...ალდა ყველაფერი? ფეხბურთელების საქციელიც გაოცებას არ იწვევს? თუკი ...აფერი მომხდარა, თავის ხელმძღვანელობას რატომ ადანაშაულებდნენ? მა-...ამ ბურუსი გაიფანტება, თუ ვიტყვით, რომ სანამ დრობეტელი ფეხბურთელები ...ტყვას გადათქვამდნენ, პოლიციაში დაიბარეს და კარგა ხანს ამუშავებდნენ. ...ვ დავუმატოთ, რომ რუმინული კანონებით გამოძიების ჩატარების უფლება ...ოლოდ პროკურატურას აქვს და პოლიცია უკანონოდ მოქმედებდა.

...დასკვნა? დასკვნების გამოტანა კორნელ ბადოიუს მივანდოთ, ზემოთ ნახსე-...ბი კომისიის თავმჯდომარეს: „ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენი გადაწყვეტი-...ება შეცვალა, თუმცა იცოდა, რომ პოლიციამ ფეხბურთელებს „აღსარება" ...კანონო მეთოდებით გამოსტყუა. თავად ფედერაცია კი ბოლოლა კლუბების ...ეზიდენტების მიერ იმართება. მათ თამაშების ჩაწყობის ფაქტების გამომზე-...ურება არ აწყობთ. რუმინული ფეხბურთი უპატიოსნო პოლიტიკოსების და ...ოლიციის ხელშია — ის უფსკრულისკენ მიექანება!"

...რუმინეთი არნახულმა სკანდალმა მოიცვა. იმედი კი არსაიდან ჩანს, ამას ...ორგე ჰაჯის სიტყვებიც ადასტურებს.

...და ბოლო ცნობა რუმინეთიდან. ბუქარესტის „დინამოსთან" თასის ფინალში ...თამაშოდ ჩასულ კრაიოვას „უნივერსიტატიას" დედაქალაქში 5 ათასი გუ-...შემატკივარიც ჩაჰყვა სპეციალური მატარებლით. ბუქარესტის სადგურში ...„დინამოს" ქომაგთა ასევე რამდენიმეათასიანი არმია დახვდათ და ხელჩა-...რული ბრძოლა გაჩაღდა. გამარჯვება დამხვდურებს დარჩათ — რამდენიმე ...აიოველი მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში მოხვდა.

**გიორგი დარჯანია**




თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მთავარი ჯილდო პორტუგალიამ მეოთხედ, კარლოს მარკესმა კი პირველად მოიპოვეს

# გოლი და ოქროს გოლი

პორტუგალიელი თავდამსხმელი რიკარდო ბერნარდო ჯერ 16 წლისაა, ...მცა ლისაბონის „სპორტინგის" ძირითადში თამაში მისთვის უცხო ხილი ...ოდია. ისევე, როგორც მისი კბილა თანაკლუბელისთვის კარლოს მარკესი-...თვის. პირველმა კვირას ორი გოლი შეაგდო და თავის გუნდს გაამარჯვებინა, ...ორემ კი უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისგან დიდი თასი ჩაიბარა.

...ეს ყველაფერი მოხდა კვირას, ისრაელის ქალაქ რამათ განში, სადაც 16 ...ამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს პორტუგალია და ...ეთი ხვდებოდნენ. დამსწრე 500-მდე მაყურებელმა პირველი გოლი მე-11 ...უთზე იხილა, როცა პრაღის სპარტელმა ტომაშ იუნმა თავისიანები დააწი-...ურა, მაგრამ პირველი გოლის ფაქტორს, მთელი ჩვენი ფეხბურთისთვის ...ლებულ პრობლემად რომ ქცეულა, პორტუგალიელი მოზარდები არ და-...ინებია და ზემოთ ნახსენებმა რიკარდო ბერნარდომ 66-ეზე გაათანაბრა, ...მატებითი დროის მეათე წუთზე კი „ოქროს გოლით" თამაშიც დაამთავრა. ...გახსენებთ, რომ აწ უკვე ევროპის ოთხგზის ჩემპიონები ნახევარფინალშიც ...ოდნენ ბერძნებთან, თუმცა მაშინაც ივაჟკაცეს და მეტოქე მესამე ადგილი-...თვის საბრძოლველად გაუშვეს. იქ ბერძნებს მთლად შავი დღე გაუთენდათ: ...ლანდიამ 5:0 მოიგო და ბრინჯაოც „მფრინავმა მოზარდებმა" მოიპოვეს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **უეფას თასი. ფინალი** | | | |
| | **17 მაისი** | | | |
| 501 | არსენალი-გალათასარაი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | **უეფას თასის აღება** | | | |
| | **17 მაისი** | | | |
| 701 | არსენალი (1,35)-გალათასარაი (2,6) | | | |
| | **გერმანია. II ბუნდესლიგა. 32-ე ტური** | | | |
| | **18 მაისი** | | | |
| 001 | ფორტუნა-მიონხენგლადბახი | 3,6 | 3,2 | 1,7 |
| 002 | კოტბუსი-ზანქტ პაული | 1,5 | 3,5 | 5,0 |
| 003 | მაინცი-ბერლინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 004 | ალემანია-კიოლნი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 005 | ვალდჰოფი-ოფენბახი | 1,8 | 3,4 | 3,4 |
| 006 | ქემნიცი-კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 007 | ჰანოვერი-ფიურტი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 008 | კარლსრუე-ობერჰაუზენი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 009 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | **ინგლისი. პლეი-ოფი** | | | |
| | **17 მაისი** | | | |
| 010 | იფსვიჩი-ბოლტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 011 | ჯილინგემი-სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 012 | უიგანი-მილუოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 013 | დარლინგტონი-ჰართლპული | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 014 | პიტერბრო-ბარნეტი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| | **18 მაისი** | | | |
| 015 | ბარნსლი-ბირმინგემი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| | **ჩეხეთი. 30-ე ტური** | | | |
| | **17 მაისი** | | | |
| 016 | დუკლა-ჰ.კრალოვე | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 017 | ბანიკი-ლიბერეცი | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 018 | ბოჰემიანსი-ბლშანი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 019 | ბრნო-სლავია | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 020 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 2,0 | 3,2 | 2,9 |
| 021 | სპარტა-დრნოვიცე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 022 | ტეპლიცე-ვიქტორია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 023 | იაბლონეცი-ოპავა | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | **რუსეთი. მე-9 ტური** | | | |
| | **17 მაისი** | | | |
| 024 | როტორი-ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 025 | ანჟი-ფაკელი | 1,75 | 2,9 | 4,4 |
| 026 | ნ.ნოვგოროდი-სპარტაკი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 027 | დინამო-კრილია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 028 | სატურნი-ლოკომოტივი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 029 | ჩერნომორეცი-ურალანი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 030 | ტორპედო-ალანია | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 031 | ზენიტი-როსტსელმაში | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | **შვედეთი. მე-6 ტური** | | | |
| | **16 მაისი** | | | |
| 032 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | **ნორვეგია. მე-9 ტური** | | | |
| | **16 მაისი** | | | |
| 033 | ბრანი-მოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 034 | ჰაუგესუნდი-სტაბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 035 | ლილესტრიომი-ბრინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 036 | ოდ გრენლანდი-სტარტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 037 | რუსენბორგი-ტრომსიო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 038 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1,65 | 3,3 | 4,2 |
| 039 | მოლდე-ვოლერენგა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | **იტალია. თასის ფინალი** | | | |
| | **18 მაისი** | | | |
| 040 | ინტერი-ლაციო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | **ავსტრია. თასის ფინალი** | | | |
| | **16 მაისი** | | | |
| 041 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,4 | 2,9 | 2,7 |
| | **დანია. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | **17 მაისი** | | | |
| 042 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | **18 მაისი** | | | |
| 043 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | **კალათბურთი. 1/4 ფინალი** | | | |
| | **16 მაისი** | | | |
| 801 | ლეიკერსი-ფინიქსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 802 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | **17 მაისი** | | | |
| 803 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | **ჰოკეი. 1/2 ფინალი** | | | |
| | **16 მაისი** | | | |
| 806 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | **18 მაისი** | | | |
| 807 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



ნიკა ცქიტიშვილი (№15) ნაკრების ბოლო საკონტროლო თამაშისას

# დანიისკენ, დანიისკენ...

დასაწყისი პირველ. გვერდზე

ეროვნული გუნდი გუშინ, დღის სამის ნახევარზე მოსკოვს გაფრინდა, იქ ჩვენებურები აეროპორტ „შერემეტიევოში“ ჩავლენ, ამავე სახელწოდების სასტუმროში დაბინავდებიან და დღეს დილით, თერთმეტის თხუთმეტ წუთზე, დანიისკენ აიღებენ გეზს.

კვირას ტომარაძემ კიდევ ერთხელ შეკრიბა ბიჭები, ჯერ წამსვლელთა შემადგენლობა დაასახელა, მერე ყველას სათითაოდ გაესაუბრა.

გამგზავრებამდე ნაკრებმა საკონტროლო მატჩი გამართა „მაკაბისთან“. მწვრთნელები მთლიანად ტაქტიკაზე იყვნენ ორიენტირებულნი, ტომარაძე მითითებებს აძლევდა შეგირდებს, მისი თანაშემწე, ნუგზარ კანდელაკი კი ყოველივეს ზედმიწევნით ინიშნავდა დავთარში. მწვრთნელმა მოედანზე ასეთი ხუთეული განალაგა: ხოშტარია, გოგობერიშვილი, ბოისა, ქარაბაკი, ჯაფარიძე. მერე და მერე დანარჩენებიც ჩართო საქმეში, გამთამაშებლად ახლა აბრამიძე მოსინჯა, შემდეგ დავითულიანსაც დააკისრა იგივე ფუნქციები.

ზურაბ ტომარაძემ უკლებლივ ყველა კალათბურთელი გამოსცადა. საგანგებო ყურადღება ლეგიონერებს დაუთმო, ბოისაც და ცქიტიშვილიც სხვადასხვა ამპლუებში ათამაშა, ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ მათ მზადყოფნას ამოწმებდა.

ვერის ბაღში სპეციალისტებიც უხვად იყვნენ, ყველას აინტერესებდა ნაკრების დღევანდელი სახე...

ზაზა ფაჩულია მოსკოვში უნდა დახვედროდა გუნდს. ულქერელის საქართველოში ჩამოსვლა არ მოხერხდა, რადგან მისი კლუბი პლეი ოფის ნახევარფინალს თამაშობდა ბურსას „თოფაშთან“.

დანიაში ნაკრები სასტუმრო „სენტერში“ დაბანაკდება და დღესვე, საღამოხანს სრული შემადგენლობით ივარჯიშებს. ტომარაძის თქმით, ბიჭებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარდებათ, აქცენტს კომბინაციებზე გაამახვილებენ.

სხვა მხრივ წასვლამდე ჩინებულ განწყობაზე იყვნენ კალათბურთელები. საერთოდ არ იგრძნობოდა, რომ ბევრი მათგან ნაკრების დებიუტანტია. პირიქით, ამხნევებდნენ ერთმანეთს.

**გიორგი ბიკაშვილი**



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებას გამოთქვამს კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის გოგი ავალიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები ვწუხვართ კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის გოგი ავალიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გოგი ავალიშვილი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საკალათბურთო კლუბი ბათუმის „ბასკო“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გოგი ავალიშვილი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## თურქეთი

# გრიფიტმა ფაჩულიას შეუპოვრობა შეუქო

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| თოფაში | 3 |
| ულქერი | 1 |

**ულქერი 61:84 თოფაში**

ულქერი: ფაჩულია (2), გონლუმი, ზიდეკი (15), ერდენაი (12), ალენი (18), თოფჩუ, პოუპი (6), ოზთურქი, ილდირიმი, სარიჯა (8)

თოფაში: ერდოგანი, ფარსი (2), რიმაცი (16), ბაში (11), ქონუქი (3), ერდენი, ილმაზი (9), ოქური (8), გრიფიტი (22), რივერსი (13)

ბურსას „თოფაში“ ფინალშია. ნახევარფინალის მეოთხე მატჩში, რომელიც სტამბოლში გაიმართა, ამ გუნდმა თავის ნამდვილი სახე წარმოაჩინა. „ულქერი“ ვერაფერს გახდა „თოფაშის“ სწრაფი და აგრესიული თამაშის წინააღმდეგ. ამაზე მატჩის ანგარიშიც ნათლად მეტყველებს. თუმცა, „თოფაშმა“ სხვა სტატისტიკური მონაცემებითაც აჯობა ულქერელებს: მოხსნა — 31:19, პასი — 15:9, დაფარება — 3:0.

ამ სამი დაფარებიდან ერთი „თოფაშის“ ამერიკელ რაშარდ გრიფიტზე მოდის. ამ 214-სანტიმეტრიანმა გოლიათმა 16 წლის ქართველ ფორვარდ-ცენტრ ზაზა ფაჩულიას დაუფარა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ფაჩულიას ერთადერთი შეცდომა ამ მატჩში. მანამდე ზაზამ ტანის ცრუ მოძრაობით მოატყუა იგივე გრიფიტი და ფარქვეშიდან ჩაუგდო. ქართველმა ყმაწვილმა რვა წუთი ითამაშა და დაცვაში გრიფიტს მეურვეობდა. ფაჩულია მეტად ხისტად ეთამაშა, უფრო სწორად, ეჭიდავა ამერიკელ ცენტრს და არც არაფერი დაუთმო. მაგალითისთვის ისიც იკმარე[…] რომ სანამ მეურვედ ზაზა ედგა, გრიფი[…] ბურთი არ ჩაუგდია. გრიფიტი კი ვიღ[…] შემთხვევითი კალათბურთელი როდ[…] ამერიკული სტუდენტური ლიგაც გამ[…] უვლია, ეროვნული საკალათბურთო ას[…] ციაციაც და ბოლო ორ სეზონს ევრო[…] ში ატარებს. თავად ამერიკელ ცენტრს[…] მოეწონა ფაჩულიას შეუპოვრობა და[…] ერთი-ორჯერ ქართველ ყმაწვილს ქ[…] ბის ნიშნად მხარზე ხელი დაუტყაპუნ[…]

„ულქერმა“ ეს თამაში აშკარად ჩაა[…] გუნდში არ აღმოჩნდა მოთამაშე, რომ[…] ლიც რამის გამოსწორებას ეცდებოდ[…] სტამბოლელები პირველ ტაიმშივე შე[…] გუვნენ მარცხს, რითაც „თოფაშს“ ფინა[…] ლისკენ გზა დაულოცეს. ფინალში „ეფე[…] სი“ და „თოფაში“ ითამაშებენ. პირველ[…] მატჩი 17 მაისს გაიმართება სტამბოლში.

პლეი ოფის ფინალი
(ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 0 |
| თოფაში | 0 |

## საბერძნეთი

# იკისრებს ობრადოვიჩი ლუდს?

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 |
| პაოკ | 0 |

**პანათინაიკოსი 85:58 პაოკ**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (15), კოხი (2), როჯერსი (8), ფოცისი (10), ჯენტილე (8), ბოდიროგა (14), რებრაჩა (12), ბერკი (5), კატაში (11)

პაოკ: კოლდებელა (2), ნიკოლაიდისი, მასლარინოსი (3), ბალოიანისი (14), პერალი (2), ბაზარევიჩი (10), ედვარდსი (9), ალექსანდერი (7), იანულისი (11)

„თუ ჩემი გუნდი საბერძნეთის ჩემპიონი გახდება, ყველას, ვინც აქ ბრძანდებით, ლუდზე დაგპატიჟებთ“ — უთხრა ფინალისწინა პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს ათენის „პანათინაიკოსის“ იუგოსლაველმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა და იქვე დასძინა: ამის მიღწევა იოლი არ იქნება, პაოკი ძალიან ძლიერი გუნდიაო.

პაოკ-ის სიძლიერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ „პანათინაიკოსმა“ ასე გააგრძელა, ობრადოვიჩს ბევრი ლუდის ყიდვა მოუწევს. ათენელებმა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, დაანგრიეს სალონიკელი მეტოქე ფინალის პირველ მატჩში. პაოკი მე-18 წუთამდე მისდევდა „მწვანეებს“, ამ დროისთვის ანგარიში 38:34 იყო. შემდეგ კი რბევა დაიწყო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მეორე ტაიმის შუაწელში „პანათინაიკოსი“ 67:40 იგებდა...

ფინალის მეორე მატჩი ხვალ გაიმართება სალონიკის „პილეაში“, იმ დარბაზში, სადაც „პანათინაიკოსმა“ ერთი თვის წინ ევროლიგა მოიგო.

მესამე ადგილისთვის
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1 |
| აეკ | 0 |

**ოლიმპიაკოსი 72:56 აეკ**

ოლიმპიაკოსი: ედვარდსი (14), ადე მანსა, პაპანიკოლაუ (5), რობინსონი (12), ნაკიჩი (2), სულისი (8), ტომიჩი (13), ტარლაჩი (4), დე მიგელი (12), გრანტი (2)

აეკ: პაპანიკოლოპულოსი, ჰანსელი (3), ოსალივანი (2), ხაძისი (4), კორონიოსი (2), დიკუდისი (2), ცაკალიდისი, მიუურსეპი (15), ბოუი (14), კაკიუზისი (14)

## იტალია

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 3 |
| მიულერი | 0 |

**ფორტიტუდო 60:51 მიულერი**

ფორტიტუდო: მაიერსი (17), ფუჩკა (16), ბაზილე, კარნიშოვასი (4), ვრანკოვიჩი (2), გალანდა (9), იარიჩი (8), პილუტი (2), გაი (2)

მიულერი: ბერიჩი (23), რომბალდონი (11), შმიდტი, ალბანო (6), კამატა (6), არიგბაბუ (3), კრიპა (2), ნობილე

ბოლონიის „ფორტიტუდოს“ ერთი წამითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ მატჩის საბოლოო შედეგი. იგი მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ იყო. ვერონის „მიულერი“ ერთხელ მიუახლოვდა მეტოქეს ექვსი ქულით. „ფორტიტუდო“ ფინალში გავიდა.

| | |
|---|---|
| კინდერი | 0 |
| ბენეტონი | 3 |

**კინდერი 66:71 ბენეტონი**

კინდერი: სკონოჩინი (17), დანილოვიჩი (12), ფროზინი (11), აბიო (9), დ. ანდერსენი (9), რიგოდო (3), ეკონომუ (3), მი (2), ბინელი

ბენეტონი: ედნი (14), პიტისი (4), მარკონატო (16), შეპარდი (4), დი სპალატრო (4), ნიკოლა (23), სანტოსი (2), ტრაინა (4), ნეესი, ბულერი

ბოლონიის „კინდერმა“ პირველი ტაიმი 37:33 მოიგო, მეორეში კი შეცდომებს მოუხშირა, რითაც კარგად ისარგებლა ტრევიზოს „ბენეტონმა“ და ვადამდე დაამთავრა სერია.

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 0 |
| ბენეტონი | 0 |

## სლოვენია

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პივოვარნა | 1 |
| კრკა | 2 |

**პივოვარნა 68:73 კრკა**

პივოვარნა: იურაკი (3), მილეტიჩი (6), ბაირამოვიჩი, გოლიოვიჩი (20), დუნოვიჩი, ჟარკოვიჩი (6), დრაგშიჩი (17), ტილინგერი (2), კუნცი (12), ფანტინატო (2)

კრკა: დრაჟოვიჩი (1), იევტოვიჩი (12), პეტროვი (10), სმოდიში (8), გრუმი (3), დრობნიაკი (13), შჩეკიჩი (6), ნაკიჩი (20)

სლოვენიის ჩემპიონატის ფინალში საშინაო მატჩი ჯერ ვერცერთმა მეტოქემ ვერ მოიგო. ნოვო მესტოს „კრკამ“ მესამე შეხვედრაში, ლაშკოში დაამარცხა ადგილობრივი „პივოვარნა“ და ჩემპიონობისთვის ერთადერთი მოგებაღა ჰყოფნის. სერიის მეოთხე მატჩი ხვალ გაიმართება ნოვო მესტოში. თუკი „პივოვარნა“ იმარჯვებს, მაშინ გამარჯვებული 20 მაისს გამოვლინდება ლაშკოში.

„პივოვარნა“ პირველი ტაიმის უმეტესი ნაწილი წინ იყო და შესვენებაზეც სამქულიანი უპირატესობით წავიდა — 41:38. 25-ე წუთზე მასპინძლები შვიდი ქულით მოწყდნენ მეტოქეს (47:40), მაგრამ ამის შემდეგ „კრკამ“ პირველი დარტყმა მიაყენა „პივოვარნას“: ხუთწუთიანი მონაკვეთი 13:1 მოიგო და 53:48 დაწინაურდა. ლაშკოელებმა ერთ წუთში დაიბრუნეს ლიდერობა (54:53), მაგრამ ეს მატჩში მათი ბოლო დაწინაურება აღმოჩნდა. „კრკამ“ მეორე, ამჯერად სანოკაუტო დარტყმა აგემა „პივოვარნას“: სამწუთიანი მონაკვეთი 10:1 მოიგო და ანგარიში 66:57 გახადა. დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სხვაობამ 11 ქულასაც უწია (70:59). მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

## ესპანეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2 |
| ტაუ | 0 |

**ბარსელონა 89:76 ტაუ**

ბარსელონა: როდრიგესი (2), გოლდვაიერი (11), დე ლა ფუენტე (15), ალსტონი (18), ელსონი (3), დიგბო (6), გუროვიჩი (8), დუენიასი (2), ნავარო (16), რენციასი (8)

ტაუ: კორჩიანი (5), გარბახოსა (9), ბენეტი (4), ფუარე (3), ესტელერი (12), ნოსიონი, ესპილი (10), მილზი (27), ობერტო (6)

ძალიან ბევრს ეცადა ვიტორიას „ტაუს“ ამერიკელი შერონ მილზი, მაგრამ „ბარსელონას“ წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდა. მასპინძელთა შორის, პირველი მატჩის დარად, გამოირჩა ხუან კარლოს ნავარო, რომლის ზუსტმა სროლებმა მოსვენება დაუკარგა მეტოქეს. ხვალიდან სერია ვიტორიაში გაგრძელდება.

| | |
|---|---|
| რეალი | 2 |
| ესტუდიანტესი | 0 |

**რეალი 80:77 ესტუდიანტესი**

რეალი: ა. ანგულო (11), სტრიულენსი (12), ჯორჯევიჩი (16), ლ. ანგულო (5), გალილეა, ერეროსი (21), ბეტსი (2), სკოტი (13)

ესტუდიანტესი: ტომპსონი (3), მარტინესი, აისა (14), ფ. რეიესი (6), ხიმენესი (12), ვანდივერი (11), აზოფრა (16), ა. რეიესი (15)

მადრიდული დერბის მე-12 წუთზე „რეალი“ 37:20 იგებდა, ხოლო ტაიმი 51:37 დაასრულა თავის სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ სამეფო კლუბის წარმომადგენლები ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ და „ესტუდიანტესიც“ ნელ-ნელა ამცირებდა ანგარიშში სხვაობას. დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „რეალის“ უპირატესობიდან ორი ქულაღა დარჩა (72:70). მასპინძლები მშვიდად შეხვდნენ ამ ამბავს და ალბერტო ერეროსის და ერიკ სტრიულენსის წყალობით ზედიზედ რვა ქულა გააკეთეს. „ესტუდიანტესმა“ ერთი კი გაიბრძოლა, მიყოლებითი ხუთი ქულაც ჩააგდო, მაგრამ საქმეს მაინც ვერ უშველა.

## საფრანგეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ლიმოჟი | 2 |
| პო ორტეზი | 1 |

**ლიმოჟი 85:66 პო ორტეზი**

ლიმოჟი: დიუმა (6), ბრაუნი (19), ჰემი (8), ბონატო (16), სტაიჩი, მეტელი (5), რუპერი, ვილიამსი (12), ფრიგუ (4), ვეისი (15)

პო ორტეზი: ფატუ (5), რიზაშე (10), ტ. გადუ (11), რივზი (12), დ. გადუ (6), მ. პიეტრუსი, ფ. პიეტრუსი, მაზინგი (1), ბრაისონი (21)

პლეი ოფის ფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 0 |
| ლიმოჟი | 0 |

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# სასწაულმოქმედ კარტერს ვორდი არ ჩამორჩა

## დასავლეთი

12 მაისი

| | |
|---|---|
| ...იკერსი | 3 |
| ...ნიქსი | 1 |

**ფინიქსი 99:105 ლეიკერსი**

**...ნიქსი: ჰარდევეი (31), რობინსონი (23), ...როჯერსი (15)**
**...იკერსი: ონილი (37 ქულა, 17 მოხსნა), ...ბრაიანტი (25), ჰორი (15)**

...ლეი ოფის ფავორიტმა „ლოს ან-...ლეს ლეიკერსმა“ „ფინიქსს“ სტუმ-...ლაც მოუგო, სერიაში 3:0 დაწინაუ-... და დასავლეთ კონფერენციის ფი-...ში თამაში ფაქტობრივად დაიბევა. ...ევანდელ პლეი ოფში „ლეიკერსმა“ ...ველად იმარჯვა სტუმრად და ამა-...ისევ და ისევ ძირითადად ორ კაცს ...კობი ბრაიანტს და შაკილ ონილს ...ა უმადლოდეს. უფრო ამ უკანა-...ელს. სეზონის უძვირფასესად შე-...ხულმა შაკილ ონილმა თავისი პი-...ლობა ახლაც დაამტკიცა. ლამაზ ... ამავე დროს, დაძაბულ თამაშში ...ლს ხიბლავდა „ორლანდოს“ ორი ...ილი ლიდერის — ონილისა და ...იქსელი ანფერნი ჰარდევეის დუე-... 90-იანი წლების ორი გამორჩეუ-... ვარსკვლავი თითქოს ერთმანეთს ...ბრებოდა, თუ ვინ მეტ ქულას და-...ოვებდა. საბოლოოდ ლეიკერსელმა ... „ლეიკერსმა“ იმარჯვეს, ჰარდევეი ... სხვები კი კვლავ მშრალზე და-...ნენ. „სეზონი რომ იწყებოდა, „ლეი-...სი“ ერთ-ერთი ძლიერი გუნდი იყო. ...ა იგი უძლიერესია — ამბობს ჰა-...ვეი — ნურავინ იფიქრებს, თითქოს ... ხელი ჩავიქნიეთ. დღესაც თავი ...დეთ, მაგრამ მაინც წავაგეთ. ამდე-...მარცხით გუნდი უბრალოდ, დემო-...იზებულია, მაგრამ ჩვენ მაინც მო-...ლომებთ. არავის სურს სამარცხვი-... გავარდნა და, მათ შორის, არც ...ნიქსს“.

...ამაში მასპინძელთა აშკარა უპირა-...ობით დაიწყო. „ფინიქსი“ პირველ ...თხედში ათი ქულითაც დაწინაუ-..., მაგრამ პირველივე ნახევარშივე ...მო უპირატესობა და ტაიმიც 50:52 ...გო. მეორე ნახევარი შედარებით თა-...არ ბრძოლაში წარიმართა, გარდა ...ლო მეოთხედის რამდენიმე წუთისა. ...ანამდეც მშვენივრად მოთამაშე ონი-... აფეთქდა, ორ წუთში ექვსი ქულა ...თვალა და თავისიანები ხუთი ქუ-...თ დააწინაურა. „სანზმა“ ბევრი კი ...ნდომა, მაგრამ სტუმრებს ველარ და-...ა. მატჩის დამთავრებამდე სამი წა-... ადრე კობი ბრაიანტმა ხუთიოლ ...რილან ჩააგდო და მასპინძლებს ყო-...გვარი იმედი გადაუწურა.

14 მაისი

**ფინიქსი 117:98 ლეიკერსი**

**...ნიქსი: რობინსონი (32), კიდი (22 ქუ-...ლა, 16 პასი, 10 მოხსნა), როჯერსი (17), ...ჰარდევეი (16)**
**...იკერსი: ონილი (24), ბრაიანტი (23), ...რაისი (15)**

„ფინიქსს“ მომდევნო წრეში გასვლის ...ორიული შანსიღა აქვს, თუმც ხავსს ...დება და ბრძოლას არასდიდებით ... წყვეტს. ანფერნი ჰარდევეი და მი-...თანაგუნდელები სიტყვის ხალხი აღ-...ნდნენ და ზემძლავრ მეტოქეს ერთი ...არჯვება მაინც „გამოსტყუეს“. „სა-...ა“ 14 მაისს საკმაოდ იოლად იმა-...ვა. მასპინძლები გაკვირვებას ვერ ...ავდნენ. ეს „ლეიკერსი“ იყო, თუ ...ო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ. აშკა-... მოღლილი ჩანდა კალიფორნიე-...ა ძლევამოსილი ლიდერი შაკილ ...ილი. როგორც ჩანს, წინა თამაშმა ...დევკაცზეც იქონია გავლენა და რე-...ლარული სეზონის ბომბარდირი ...ულ რალაც“ 24 ქულას დასჯერდა. ...ფინიქსელებს კი წინა, დაძაბული შე-...დრის კვალი არ ეტყობოდათ, აღმა-...ენით თამაშობდნენ და აშკარადაც ...ობდნენ მეტოქეს, განსაკუთრებით კო-...ნაციურ თამაშში. ჯეისონ კიდის ლა-... და ამავ დროს პრაქტიკული თამა-...ს შემხედვარე კაცი ვერ იფიქრებდა, ...მ მას მუხლის ტრავმა ახლახან მო-...უშდა. „ფინიქსის“ ყვითელთავა გამ-...მაშებელი მთელი მატჩის განმავლო-...ში თავის პირობებს კარნახობდა მე-...ქეს და მისმა გუნდმაც პირველი ნა-...ვარი 23 ქულის უპირატესობით მო-... კიდმა პლეი ოფებში მისთვის სა-...ორდოდ ბევრი, 16 შედეგიანი გადა-...მა გააკეთა და ამასთან თავის ექსწ-ლიან კარიერაში 33-ე (!) სამმაგი დუ-ბლიც შეასრულა. კიდი ან თავად უტე-ვდა „ლეიკერსის“ კალათს, ანაც ჭკვი-ანურად არიგებდა პასებს. იგი განსაკუ-თრებულად შეხმატკბილებულად მოქ-მედებდა კლიფ რობინსონთან, რომელმაც კიდის პასების წყალობით 32 ქულა გა-ახერხა და ამ სერიაში „ლეიკერსთან“ დამყარებული პირადი საპლეიოფო რე-კორდი ორი ქულით გაიუმჯობესა. „აბა, რა უნდა ვთქვა, ვერაფერს გიპასუხებთ. ჩვენ პირწმინდად დავმარცხდით. პლეი ოფში ასე ჯერ არ წაგვიგია“ — „ლე-იკერსის“ თავკაცი ფილ ჯექსონი მარცხს შეგუებია, თუმც გულში, ალბათ, მეხუ-თე თამაშში „ფინიქსის“ განადგურება ამოიჭრა.

14 მაისი

| | |
|---|---|
| პორტლენდი | 3 |
| იუტა | 1 |

**იუტა 88:85 პორტლენდი**

**იუტა: მელოუნი (27), სტოქტონი (18), პო-ლინაისი (12 ქულა, 11 მოხსნა)**
**პორტლენდი: გრანტი (20 ქულა, 13 მო-ხსნა), სმიტი (19), ვოლესი (15)**

ახლა მოდაშია საუბარი „იუტა ჯა-ზის“ შესახებ იმის თაობაზე, რომ მისი მოთამაშეები საკმაოდ ბებრები არიან პლეი ოფში ბრძოლებისთვის, რაც, ბუ-ნებრივია მათ ძალიან აღიზიანებთ, მი-უხედავად იმისა, რომ ეს სინამდვი-ლეა. ეს განსაკუთრებით აცოფებს „ჯა-ზის“ 35 წლის ცენტრ ოლდენ პოლი-ნაისს. „ვფიქრობ, დღეს ნათლად გამო-ჩნდა, ვინაა ბებერი. ჩვენ მოვიგეთ. მო-ვიგებთ ხვალაც და მერეც, ხოლო მას, ვინც ჩვენს ასაკზე ლაპარაკობს, ვუ-რჩევ, კარგად დაფიქრდეს, სანამ რაი-მეს იტყოდეს“. პოლინაისმა პირველად აჯობა „პორტლენდის“ ლიტველ ცენტრ არვიდას საბონისს, მისმა „იუტამ“ კი პირველად მოუგო საბონისის „პო-რტლენდს“. ჯერ არასდროს მომხდა-რა, გუნდს სერია მოეგოს 0:3 ჩამორ-ჩენის შემდეგ. „იუტამ“ სხვაობა შეამ-ცირა და ამან პოლინაისს საბაბი მი-სცა, კრიტიკოსებისთვის ნიშნი მოეგო. იმას, რაც პოლინაისის გულს ცეცხლს უკიდებს, აბსოლუტურად გულგრილად ეკიდება მასზე ერთი წლით უფროსი კარლ მელოუნი — „ჩვენ დღეს მოვი-გეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თამა-შია. კიდევ თუ გავიმარჯვებთ, თამაშს გავაგრძელებთ, თუ წავაგეთ, შინ წა-ვალთ“ — ამბობს მელოუნი, რომელსაც ბევრი უნახავს თავის მრავალწლიან კარიერაში. მისთვის ეს ერთი რიგითი თამაში იყო, რომელიც მან კარგად (და არა ბრწყინვალედ) ჩაატარა. თანაბარ თამაშში „იუტას“ უფრო გაუმართლა და გამარჯვებაც მას დარჩა. ახლა მო-წინააღმდეგეები პორტლენდში გა-დაინაცვლებენ, სადაც 15 საპლეიოფო მატჩიდან „იუტას“ 14 წაუგია.

მელოუნისა და პოლინაისის გარდა იუტელთა კიდევ ერთმა ბებერმა, ჯონ სტოქტონმაც რიგიანად ითამაშა. ვე-ტერან „ჯაზელთაგან“ მხოლოდ ჯეფ ჰორნაჩეკი ვერ იყო ჯანზე, რომელიც თავის ბოლო სეზონს თამაშობს.

„იუტამ“ მოახერხა და მატჩის ბოლო წუთზე ხუთი ქულით 87:82 დაწინაუ-რდა. სტუმართაგან საუკეთესოებმა — ბრაიან გრანტმა და სტივ სმიტმა საჯა-რიმოებით სამი ქულა გაქვითეს. „ბლეი-ზერსს“ კიდევ მიეცა თამაშის ხსნის შა-ნსი, როცა მასპინძელმა არმენ გილიამმა 6,7 წამით ადრე ორიდან ერთი საჯარი-მო ჩააგდო, მაგრამ ბოლო წამზე პორტ-ლენდელმა გრეგ ენტონიმ სამიანი რგოლს მიარტყა და მასპინძლებმაც პირველი გა-მარჯვება იზეიმეს.



REUTERS ნიუ იორკიდან

ენტონი კარტერმა ეს-ესაა ჩააგდო გადამწყვეტი ბურთი

„ლეიკერსის“ და „პორტლენდის“ და-რად ვერც აღმოსავლელმა „ინდიანამ“ მოამთავრა საქმე ოთხ თამაშში. სერი-ის „მშრალად“ წაგება „ფილადელფია-მაც“ იუკადრისა, მოინდომა და კიდეც აჩვენა, რომ არც ლარი ბერდის ბიჭე-ბი არიან უძლეველნი. თუმც „ფილა-დელფიას“ გამარჯვებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მესამე მეოთხედის დამთა-ვრებამდე წუთნახევრით ადრე სტუ-მრებს ლიდერი რეჯი მილერი გაუ-გდეს, მასპინძელთა ცენტრ მეტიუ გე-იგერთან ჩხუბის გამო. მართალია, მას გეიგერიც მიაყოლეს, მაგრამ, ცხადია, „ინდიანას“ დანარკაგი უფრო სოლი-დური იყო. შემდეგ კი „ფილადელფი-ამ“ უმილერო „ინდიანას“ თუმც გაჭი-რვებით, მაგრამ მაინც მოუგო. მესამე მეოთხედის ბოლოს მილერი ფარქვეშ შეიჭრა და სასროლად აიწია, როცა ახმახი გეიგერი მასზე დაჯარიმდა. ჰო-კეიში არიან მოთამაშეები, რომლებსაც პოლიციელებს ეძახიან. ისინი ძირითა-დად შავ სამუშაოს ასრულებენ. მათი ძირითადი ფუნქცია მეტოქე გუნდის წამყვანი მოთამაშის მატჩიდან გამო-თიშვაა. ასეთი ხალხი კალათბურთშიც არსებობს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეიგერი „ფილადელფიის“ პოლიციე-ლია. მას მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა მილერის წინააღმდეგ ხისტად თამაში და ჯარიმების აკიდება დაავალა. გეი-გერმაც არ გადაუხვია დამრიგებლის მითითებას, მაგრამ შორს შეტოპა, ამხტარ მილერს ისეთი უთავაზა, რომ ეს უკანასკნელი იატაკზე დაენარცხა. ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო თამა-შში და თავმოყვარე რეჯის ნერვებმა უმტყუნა, მკვირცხლად წამოიჭრა ფე-ხზე და ამ 213-სანტიმეტრიან მთაკაცს კარგი მოკრივესავით ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ჰუკი უთავაზა მასი-ურ ყბაში. ვალში არც ის დარჩა და გვარიანადაც დაზილეს ერთმანეთი. რა თქმა უნდა, მოჩხუბრები თამაშიდან გა-აგდეს, შეხვედრის შემდეგ სანქციებმაც არ დააყოვნა. მილერი ხუთი ათასი დო-ლარით დაჯარიმდა და ერთ თამაშსაც გამოტოვებს, გეიგერს კი ოციათას დო-ლართან და ორ თამაშთან გამოთხოვე-ბა მოუწევს.

მეოთხე მეოთხედში განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება. „ფილადელფიამ“ ბო-ლოსღა იმარჯვა. კუკოჩმა (11 ქულა) საჯარიმოთი 92:90 გახადა ანგარიში. სტუმრებს მატჩის სახსნელად კიდევ რვა წამი რჩებოდათ, მაგრამ ტრევის ბესტმა სამქულიანი ააცილა და თავი-სიანები მეხუთე თამაშისთვის გაწირა.

## აღმოსავლეთი

13 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 3 |
| ფილადელფია | 1 |

**ფილადელფია 92:90 ინდიანა**

**ფილადელფია: აივერსონი (19), ჰილი (18 ქულა, 15 მოხსნა), მაკკი (12), რეთლი-ფი (12)**
**ინდიანა: სმიტსი (20), მილერი (16), როუ-ზი (16)**

| | |
|---|---|
| მაიამი | 2 |
| ნიუ იორკი | 2 |

12 მაისი

**ნიუ იორკი 76:77 მაიამი**

(ძირითადი დრო 68:68)

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), სპრიუელი (23)**
**მაიამი: მურნინგი (23), მაშბურნი (16), ბრა-უნი (14 ქულა, 12 მოხსნა)**

მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წა-მია დარჩენილი. სულ ახლახან ნიუიორ-კელმა პატრიკ იუინგმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და თავისიანები 76:75 წინ გაიყვანა. ბურთით მაიამელთა ახალბედა გამთამაშებელი ენტონი კარ-ტერია, მან თვით გამოცდილი ტიმ ჰ არდევეი შეცვალა და ახლა შეტევის წარმართვა მასზეა დამოკიდებული. გა-მოუცდელობამ თავისი ქნა, კარტერმა თავად შეუტია კალათს, მხოლოდ ისე, რომ ბოლოს ფარს უკან, პირით ხაზთან აღმოჩნდა ოდნავ მარჯვნივ. იგი ფაქტო-ბრივად ჩიხში მოექცა, აქედან შეუძლე-ბელია პასის გაკეთება. წამები კი შეუბ-რალებლად გადის, საფინალო სირენა-მდე ბევრი დრო აღარ რჩება. კარტე-რმაც გარისკა, ფარსუკნიდან ავანტიუ-რისტული ბურთი ისროლა. იგი გადმო-სცდა ფარს და კალათის რგოლზე დაე-ცა. კარტერის თანაგუნდელი ალონზო მურნინგი დასამატებლად აიწია, მაგრამ მერე ბურთს აღარ შეეხო, რადგან ასო-ციაციის წესები კრძალავს ბურთთან შე-ხებას, როცა ის რგოლის ზემოთ წარ-მოსახვით ცილინდრშია. მაღლა ავარდ-ნილი ბურთი კალათში ჩაეშვა და „მე-დისონ სკვერ გარდენში“ შეკრებილი ოცი ათასი ნიუიორკელი ფანი ერთბაშად და-ადუმა. დარჩენილ 2,2 წამში „ნიუ იო-რკმა“ ველარაფერი მოახერხა და სერი-აში „მაიამი“ 2:1 დაწინაურდა.

ჯერჯერობით სავსებით მართლდე-ბა ამ წყვილთან გამოთქმული პროგ-ნოზები. აქ ყველაზე დაძაბული ბრძო-ლა მიმდინარეობს. სერიის მესამე თა-მაშის დარი კი საერთოდ არ ყოფილა მიმდინარე პლეი ოფში.

ნერვების წყვეტა, ზეხისტი თამაში დაცვაში და უამრავი აცილებული ბუ-რთი, აი, ის, რაც ამ თამაშს ახასიათე-ბდა. პირველი მეოთხედი „მაიამიმ“ 25:21 მოიგო, შემდეგ კი ვერც მან და ვერც მეტოქე გუნდმა ვერც ერთ მეოთხედში ვერ მოაგროვეს ოცი ქულა. თითქმის მთელი თამაში ქულა ქულაში წარიმა-რთა. მასპინძელმა პატრიკ იუინგმა მე-ოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 2,6 წამით ადრე საშუალო მანძილიდან ჩა-აგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვა-ნა. მრავალჭირნახულ იუინგს მაინც უმ-ტყუნა ნერვებმა. ოვერტაიმის დამთავ-რებამდე 13 წამით ადრე ორი საჯარი-მო სროლიდან მხოლოდ ერთი გამოი-ყენა. აქ კი დაღგა კარტერის ჯერიც.

14 მაისი

**ნიუ იორკი 91:83 მაიამი**

**ნიუ იორკი: ვორდი (20), ჰიუსტონი (17), სპრიუელი (16), ჯონსონი (13), იუინგი (12 ქულა, 11 მოხსნა)**
**მაიამი: მურნინგი (27 ქულა, 14 მოხსნა), მაშბურნი (13), მარლი (13 ქულა, 12 მო-ხსნა)**

ორი დღის წინა თამაშმა გვარიანად დალალა მოწინააღმდეგენი. „ნიუ იო-რკი“ უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა. გამარჯვებაც მას ხვდა წილად და სე-რიაში ანგარიშიც გათანაბრდა.

მასპინძლებს მშველელად სხვა თამა-შებში თანაგუნდელთა ჩრდილში მყოფი ჩარლი ვორდი მოევლინა. ეს გამთამაშე-ბელი ენტონი კარტერს არ ჩამორჩა და ერთი გამარჯვება პირადად მოუტანა თა-ვის გუნდს. ვორდისთვის ეს თამაში ბე-ნეფისი აღმოჩნდა, რადგან აქამდე ამ პა-ტარა კაცს (სიმაღლითაც და მნიშვნე-ლობითაც) თავის საპლეიოფო კარიერა-ში 20 ქულა არ გაუკეთებია. აქედან ვორდმა ცხრა ქულა მატჩის ბოლო ოთხ წუთში მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში ბურთი მასპინძელ-თაგან სხვას არავის ჩაუგდია.

არც ამ თამაშმა ჩაიარა ინციდენტის გარეშე. პირველი ნახევრის შემდეგ მოე-დნიდან გასვლისას რაღაცაზე განაწყენე-ბულმა მაიამელმა ჯამალ მაშბურნმა ხე-ლი აჰკრა მაგიდას, რომელსაც ჟურნა-ლისტები მისხდომოდნენ. მაგიდა ატრია-ლდა, „ნიუ იორკ ტაიმსის“ რეპორტიორ სელენა რობერტსს დაეცა და მხარი ამო-უგდო. ეს გამოხდომა შესაძლოა, მაშბურნს ძვირად დაუჯდეს. ნბა-ში ასეთ რამეებს უყურადღებოდ არასდროს ტოვებენ.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან

მაიამელები ენტონი კარტერის მიერ ჩაგდებული ბურთის მართებულობაზე დავობენ

# ნაცნობი უცნობი

რომი. მასტერსის სერია — იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

მეოთხედფინალი: **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:4, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (4, ბრაზილია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:4, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (9, ავსტრალია) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:1; **ალექს კორეტხა** (10, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (15, სლოვაკეთი) 6:1, 7:6 (7:5)

ნახევარფინალი: **ნორმანი** — ჰიუიტი 6:3, 6:0; **კუერტენი** — კორეტხა 6:4, 6:2

ფინალი: **ნორმანი** — კუერტენი 6:3, 4:6, 6:4, 6:4



მაგნუს ნორმანი

ნახევარფინალში ლეიტონ ჰიუიტის დამარცხებისა და 2000 წლის ჩემპიონთა რბოლის (კლასიფიკაციის მოდერნიზებული ვარიანტი) სათავეში მოქცევის შემდეგ იქვე, კორტზე მაგნუს ნორმანს ერთი მეტისმეტად ტემპერამენტული სატელევიზიო ჟურნალისტი მიეჭრა, დამტვრეული ინგლისურით აუხსნა, რომ მას იტალიაში არავინ იცნობდა და ჰკითხა: „მაგნუს ნორმან, ვინ ხართ თქვენ?“

23 წლის შვედს საჩოგბურთო სამყაროში გულღია და მხიარული ადამიანის რეპუტაცია აქვს. იგი მასტერსის ტურნირის ფინალისტისთვის არცთუ კორექტულ კითხვასაც არ ალუშფოთებია, უბრალოდ მთელი ტანით წამოიმართა და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად უპასუხა, მე ის მოთამაშე ვარ, ვინც ორი წლის წინ დევისის თასის ფინალში იტალიის ნაკრებს აქვე მოვუგე, არ გახსოვართო?

ქერა სკანდინაველი მიჩვეულია მაყურებლების, ორგანიზატორებისა და მასმედიის უყურადღებობას. რომში ცენტრალურ კორტზე თამაშის შანსი მას მხოლოდ ნახევარფინალში მიეცა, შარშან ხუთი ტურნირის მომგებსა და დღეისათვის მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს (ძველი სისტემით) იტალიის დედაქალაქში ერთი თანამემამულე ჟურნალისტიც კი არ შეხმიანებია შაბათამდე.

„აქ ერთი შვედი ჟურნალისტიც არ არის, მხოლოდ დღეს ატყდა ტელეფონზე რეკვა, როდესაც გაიგეს, რომ ფინალში გასვლით პირველი ვხდებოდი. ვფიქრობ, ზედმეტად ბევრი გვყავს კარგი ჩოგბურთელი, რამაც ისინი გაანებივრა და გააფუჭა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლა ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო, მათთვის კი ეს განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა“.

გასულ უქმეებზე ნორმანისთვის არც რომაელთა უმეტესობას ეცალა. სწორედ ფინალის მიმდინარეობის დროს „ფორო იტალიკოდან“ რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით ოლიმპიურ სტადიონზე „ლაციო“ ჩემპიონობას ართმევდა „იუვენტუსს“, იტალიის დედაქალაქში საფეხბურთო ციებ-ცხელება მძვინვარებდა.

სტადიონზე მოღრიალე ხალხის ხმა კორტებამდეც აღწევდა, ცაში ერთბაშად რამდენიმე ვერტმფრენი ტრიალებდა, ტრიბუნებზე კი გამუდმებით წკრიალებდნენ მობილური ტელეფონები — იტალიის ღია პირველობის საფირმო ნიშანი, რაც მოთამაშეებს სიცოცხლეს უმწარებს.

აშკარად არასაჩოგბურთო ატმოსფეროს მიუხედავად, ნორმანისა და გუსტავო კუერტენის ფინალური მატჩი დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა. თავიდან უამრავი ეისის ხელშეწყობით შვედი 5:0-ით დაწინაურდა, თუმცა თამაში მალე გათანაბრდა.

მატჩის ბედი მესამე სეტის დასაწყისში გადაწყდა. ორივე ჩოგბურთელს უჭირდა საკუთარი მოწოდების შენარჩუნება. გეიმები უსაშველოდ გაიწელა, გათამაშებები სულ უფრო გახანგრძლივდა, მაგრამ თუ შვედი ისევ ცოცხლად და ენერგიულად გამოიყურებოდა, „გუგას“ თანდათან დაღლა დაეტყო, ქრონიკულმა ზურგის ტრავმამ შეახსენა თავი და კორტზე ექიმს უხმო.

როდესაც ნორმანმა მესამე ხელიც მოიგო, აშკარა გახდა, რომ ბრაზილიელი განწირული იყო. ამ უკანასკნელის მიერ ტაქტიკის შეცვლამ და ბადესთან ხშირმა გასვლებმაც არ გამოიღო ნაყოფი: შვედი მშვიდად და ზუსტად ურტყამდა შემოვლებულებს თუ აბრაგნებს და ორ საათზე ოდნავ მეტში კარიერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა 6:3, 4:6, 6:4, 6:4.

„ტრავმამ ჩემს თამაშზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, ისე ძლიერად ვეღარ ვურტყავდი. თუმცა არ მინდა, მაგნუსს დავაკლო რაიმე, ის წლეულს აშკარად საუკეთესოა, კარგ ფორმაშია და ამასთან საკუთარი ძალების სწამს. მას ერთ სისუსტესაც კი ვერ უპოვით“ — ეს კუერტენის სიტყვებია.

თავად ნორმანს, რომელსაც სეზონის მეორე ტიტულთან ერთად 400 ათასი დოლარიც ერგო, საკუთარ წარმატებებზე საუბარი მაინცდამაინც არ იტაცებს: „მე მხოლოდ წლევანდელი შედეგებით ვარ პირველი, პირველი ჩოგანი კი დღეისთვის ანდრე აგასია. მას და პიტ სამპრასს ნუ მადარებთ, ჯერ დიდი სლემის ტურნირიც კი არ მომიგია. თუმცა ახლა უკვე მჯერა, რომ როლან გაროსზე გამარჯვების შანსი მაქვს და მზადაც ვარ ამისთვის. უკვე ვიცი, რომ შემიძლია დიდ ფინალში კუერტენისთანა კარგ მოთამაშეს ვაჯობო“.

თუმცა ამასთან შვედი იმასაც აღნიშნავს, რომ კორტზეც და მის გარეთაც სრულყოფილებას საკმაოდ ბევრი უკლია: „ძალიან ბევრი რამ მაქვს გასაუმჯობესებელი. მაგალითად ის, რომ ამდენი ძებნის მიუხედავად, ჯერჯერობით გელფრენდიც კი ვერ ვიპოვე. ყველანაირად ვცდილობ, ახალი ვარცხნილობაც კი გავიკეთე, მაგრამ მაინც არაფერი მშველის“.

ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

მეოთხედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — სანდრინ ტესტიუ (5, საფრანგეთი) 7:5, 5:7, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (3, ესპანეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:4, 6:2; **ამანდა კუტცერი** (10, სამხრეთ აფრიკა) — ანკე ჰუბერი (8, გერმანია) 6:4, 6:4; **ჯოანეტ კრუგერი** (სამხრეთ აფრიკა) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 2:6, 6:3, 7:6 (7:5).

ნახევარფინალი: **მარტინესი** — ჰინგისი 7:5, 6:4; **კუტცერი** — კრუგერი 6:2, 6:4.

ფინალი: **მარტინესი** — კუტცერი 6:1, 6:2.

ორშაბათიდან, კაცების არ იყოს, ქალების კლასიფიკაციის სათავეშიც ახალ გვარს იხილავთ. ლინდსი დევენპორტს ბოლო ხანებში ფეხის ტრავმა აწუხებს და ერთი თვეა, ალარსად უთამაშია, მაგრამ მარტინა ჰინგისს ბერლინში თითის გაუნძრევლად ჩამოართვა პირველობა.

საქმე ის არის, რომ 19 წლის შვეიცარიელმა გერმანიის ღია პირველობა შარშან მოიგო, იმ ქულების შესანარჩუნებლად კი წლეულს მინიმუმ ფინალში გასვლა ესაჭიროებოდა.

მაგრამ დევენპორტს ბერლინში ერთბაშად რამდენიმე მოკავშირე აღმოაჩნდა. პარასკევს წლევანდელი სეზონის საუკეთესო მატჩში ჰინგისს ფრანგი სანდრინ ტესტიუ ებრძოლა თითქმის ორსაათნახევრის მანძილზე და საფუძვლიანადაც მოქანცა.

შაბათს ესტაფეტა ტესტიუსგან უკვე კონჩიტა მარტინესმა გადაიბარა. უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონი მარათონული გათამაშებით სავსე შეხვედრაში უშეცდომოდ გაისარჯა და დაღლილობისგან ფეხზე გაჭირვებით მდგომ მარტინას ბოლო მოუღო.

„კარგა ხანია, მოგებით ასე არ გამიხარია, მცირე სასწაული მოვახდინე. თუ ასე ვითამაშებ, როლან-გაროსზე გამარჯვებაზეც შემიძლია ვიფიქრო“ — განაცხადა კონჩიტამ.

ვეტერან ესპანელს კიდევ უფრო მეტი სიხარულის საფუძველი კვირას, ფინალში ამანდა კუტცერის განადგურების შემდეგ გაუჩნდებოდა. 166 ათასი დოლარით გამდიდრების გარდა, მან მთელი ოთხი საფეხურით წინ წაიწია და კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე ამოყო თავი.



კონჩიტა მარტინესი

**ავთანდილ სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიონ ჯონსი

# მარიონი ხუთიანზე ჩაიჭრა

შაბათს იაპონური ოსაკის გრან-პრი გათამაშდა. თითქმის ყველა კლასიკურ სამძლეოსნო სახეობაში მოისინჯა ძალა და მთავარი ყურადღება, ცხადი, მარიონ ჯონსისა და მორის გრინისკენ იყო მიპყრობილი. თავის წილი 100 მეტრი ორივემ სანაქებოდ გაირბინა, ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ პირველებმა მიირბინეს ფინიშთან, ხოლო შედეგები ისეთი უჩვენეს, ოლიმპიადაზეც რომ ვერაფრით დაიწუნებს კაცი. გრინმა 9,91 წამი დახარჯა, რაც უახლოესი მდევრისაზე (ბარბადოსელი ობადელე თომპსონი გახლდათ) თითქმის წამით მეოთხედით მეტი იყო. „წლეულს მსოფლიოს რეკორდს დავამყარებ — დაემუქრა გრინი თავისსავე შარშანდელ 9,76-წამიან მიღწევას — მწვრთნელი მეუბნება, 9,60 წამის დამხობაც შეგიძლიაო, ვნახოთ, რა იქნება“. ნაკლებად ეიფორიული განწყობა ჰქონდა მანდილოსანს. მარიონმა რბენაში კი ისახელა თავი, 100 მეტრის დაფარვას 10,84 წამი მოანდომა, სამაგიეროდ, უხეიროდ გადახტა და მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. ეს მაშინ, როცა ჯონსი ხუთი ოლიმპიური ოქროდან ერთს სწორედ სიგრძეში ხტომაში გეგმავდა. მორბენალმა შემდეგ თავად აღიარა, რომ აქილევსის ქუსლი აქვს და ბევრი მუშაობა მართებს სიგრძეზე ხტომის ტექნიკის დასახვეწად, თორემ 6 მეტრი და 27 სანტიმეტრით სიდნეიში არაფერი იქნება. აგერ, თუნდაც ოსაკაში, როგორ კალიასავით გადახტა ჩინელი ინგნან გუანი, 6,70-მეტრიანი ზღვარი დაიმორჩილა და ესეც არაფერი, მეორე დღეს დედამიწის სულ სხვა ბოლოში, რიო დე ჟანეიროს სანაპიროზე, „მარაკანას“ გვერდით რომ სამძლეოსნო არენაა, იტალიელმა ფიონა მე... ერთი ისეთი ისკუპა, 7 მეტრი და 9 სანტიმეტრი იფრინა.

იქნებ მავანმა თქვას, ოსაკაში ციოდა, ხოლო რიო დე ჟანეიროს გამჭვირვალე ჰაერი და იდეალური 27 გრადუსი სეზონის რეკორდის დასამყარებლად უფრო ხელსაყრელი იყოო, მაგრამ ეს ჯონსის მდგომარეობას არ ამსუბუქებს — ხუთკურდღლის დევნას ხუთმაგი ძალა სჭირდება და შესაბამისად, ხუთმაგი გარჯა, კონკურენცია კი სიდნეიში ძალიან დიდი იქნება.

**დავით გულ...**




მორის გრინი

# რაგბი ჩხუბით დაიწყო

თბილისი
14 მაისი

**ასკ 18:19 (11:7) ყორჩები**

ასკ: მაგრაქველიძე, სუჯაშვილი, ქავთარაძე (მაისურაძე), ჭელიძე (ბალანჩივაძე), მათიაშვილი, ამირხანაშვილი, ცხადაძე, გაფრინდაშვილი, პავლიაშვილი, ძამიაშვილი, შენგელია, კაპანაძე, უჩავა, მინაშვილი, კიკნაძე.
ლ — მათიაშვილი, მაისურაძე.
გ — უჩავა, 2ს — უჩავა.
ყორჩები: კიკუაშვილი, ჭელიძე, ფირიაშვილი, ხურცილავა, თევდორაძე (სულთანიშვილი) გიგაური, ტრაპაიძე (კობახიძე), სოფრომაძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, მხეიძე, ბარძიმიშვილი, შენგელია, იმნაძე, პეტრიაშვილი
ლ — გიორხელიძე, პეტრიაშვილი (2), 2გ — ტეფნაძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ნ. მალაღურაძე

დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი, რისი იმედიც, ამდენი ლოდინისგან გაბეზრებულებს, კინაღამ გადაგვეწურა. ფულისგამაწვრილებელ გაურკვევლობას ბოლო მოეღო და კვირას საქართველოს ყველაზე კეთილმოწყობილ სარაგბო მოედანზე არმიელები და „ყორჩები“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

გუნდებმა მოედანზე გახალისებული შემადგენლობები გამოიყვანეს. ახალგაზრდების სიმრავლე, როგორც შეხვედრის მიმდინარეობამ აჩვენა, უფრო ასკ-ს წაადგა, ვიდრე „ყორჩებს“.

თავიდანვე არმიელებმა შეუტიეს და უკვე მე-3 წუთზე სტუდენტები მოედნის შუაგულში დაჯარიმდნენ. უჩავამ ასეთი დარტყმა საკმაოდ შორი დისტანციიდან მეტოქის კარი დალაშქრა. კიდევ ერთხელ გაიმეორა მასპინძელთა დამრტყმელმა, ოღონდ მანამდე არმიელებმა დერეფანში მოგებული ბურთი მძლავრი მოლით შეიტანეს სტუმრების სალელოე მოედანზე — 11:0. ლელო მათიაშვილმა მიითვალა. უჩავამ გარდასახვა ვერ შეასრულა.

ასეთი დასაწყისით გაოგნებული „ყორჩები“ უთავბოლოდ აირივნენ და კაპიტან ირაკლი გიორხელიძეს კარგა ხანი დასჭირდა თავისი გუნდის თამაშის დასალაგებლად. ამას ისიც დაემატა, რომ ყველასთვის მოულოდნელად არმიელებმა არც შერკინებაში დაუდეს ტოლი მეტოქეს. მხოლოდ დიდი ძალისხმევით მოახერხეს სტუმრებმა ხეირიანი შეტევის მოწყობა, რასაც დერეფანი და იმავე გიორხელიძის ლამაზი ლელო მოჰყვა. ყორჩმა ბესო ტეფნაძემ გარდასახვაც რიგიანად შეასრულა და ანგარიში 11:7 გახდა. პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა.

მეორეში „ყორჩები“ გამოცოცხლდნენ. თავი იჩინა ოსტატობასა და გამოცდილებაში დიდმა სხვაობამ და სტუმრები ნელ-ნელა, ლამაზი გათამაშებებით მოედნის შუაგულს დაეპატრონნენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეტოქის კლასს არმიელებმა სისწრაფე და უფრო მეტი თავგამოდება დაუპირისპირეს.

ზედიზედ რამდენჯერმე გამეორებული შეტევის შემდეგლა შეძლო პეტრიაშვილმა მოწინააღმდეგის დალელოება, რომელიც ისევ წარმატებით გარდასახა ტეფნაძემ — 11:14.

თამაში დაიძაბა და მორაგბეები ერთობ ანერვიულდნენ, მსაჯსაც არ აკლებდნენ მწვავე შენიშვნებს. ნოდარ რობიტაშვილი უკვე გაჭირვებით ახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას, ამას მოედნის შუაგულში ატეხილი ჩხუბიც მოჰყვა. სწორედ აქ უნდა გამოეჩინა არბიტრს პრინციპულობა და არეულობის მოთავეები დაესაჯა, მაშინ ნამდვილად დაშოშმინდებოდა ორივე გუნდი და თამაშიც ნორმალურად დამთავრდებოდა...

მანამდე არმიელთა სისწრაფემ, მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და მეტოქის ჩათვლის ხაზთან გამართული ზედახორა მაისურაძის ლელოთი დასრულდა. უჩავამ მშვენივრად გარდასახა და 18:14 — ასკ დაწინაურდა.

„ყორჩებმა“ დამარცხების საფრთხე იგრძნეს და მეტოქეს შეუტიეს, ისინიც მედგრად დაუხვდნენ და ამ ჭიდილში გაილია კიდეც დარჩენილი დრო, თუმცა არბიტრმა რამდენიმე წუთი კიდევ დაამატა. წამდაუწუმ მირბოდნენ არმიელები მსაჯთან, დრო გავიდა და დაამთავრეო, მაგრამ ამაოდ. „ყორჩები“ კი ისევ უტევდნენ და პეტრიაშვილმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლო არაქათგამოცლილ მეტოქეთა შორის გაღწევა. ნოდარ რობიტაშვილმა ლელო აღიარა...

მტრისას და ავისას, რაც ამის მერე მოედანზე დატრიალდა. მატჩის არბიტრს გინების კორიანტელი დაატყდა თავს. ამას ვინ ჩივის, მას გვარიანადაც დაალურჯებდნენ გამწარებული არმიელები, იქ მყოფთა მოხერხება რომ არა. რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძის ჩარევამაც არ უშველა საქმეს, განაწყენებული მასპინძლები [illegible] ვერ დამშვიდდნენ. მსაჯი [illegible] გავიდა, შეხვედრა არც დაუსრულებია, ისე...

ზაზა ბენიძე

ბათუმი
14 მაისი

**დათვები 28:10 (8:3) თსუ**

დათვები: აშვეთია, გურეშიძე, ფირცხალავა (მოლაშხია), რეხვიაშვილი, აბაშიძე (გოგისვანიძე), სვანიძე, ჩირგაძე, ფხაკაძე (გაბელაია), გიორგაძე, მაჩიტიძე, ტყაბლაძე, ჯანაშია, აბდალაძე, დავლაძე, ჩუბინიძე
ლ — ფირცხალავა (2), ფხაკაძე, გიორგაძე; გ — ტყაბლაძე; ა — მაჩიტიძე; ს — მაჩიტიძე
თსუ: ჯანუყაშვილი (ალიბეგაშვილი), ქუთარაშვილი, წიკლაური (სანაძე), ავსაჯანიშვილი (ჩქარეული), კობიაშვილი (გუნდიშვილი), ქირიკაშვილი, მჭედლიშვილი, მჟავანაძე, დანელია, მოდებაძე, კ. ელოშვილი (ჯაში), ო. ელოშვილი, ბარამიძე, მხეიძე, ჭუმბურიძე
ლ — მოდებაძე; ს — მოდებაძე; ა — მხეიძე
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: გ. აბაშიძე






მიკა ჰაკინენი

# ჩემპიონი ყველას უნდა

მიკა ჰაკინენი „მაკლარენს“ სტოვებსო? მსგავსი ტყუილი თუ სიმართლე ქვა და უფრო კონკრეტული ინფორმაციაც იმაზე, რომ ფინელი მრბოლის მავალის ბუდე „იაგუარი“ გახდება საქვეყნოდ გაცხადდა. როგორც ამბობენ, წორედ ამ გუნდის შეფთაგან მიუღია წინადადება ჰაკინენის მენეჯერს, ხოლო ას ანაზღაურების დასახელებაც მოჰყოლია — 20 მილიონი დოლარი. დაბოოს, ასახელებენ იმ კაცის ვინაობასაც, ვისაც ვითომ ჰაკინენი „იაგუარიდან“ აძევებს. ჯონი ჰერბერტზეა ლაპარაკი, თუმცა ოფიციალურად არც „იაგუარს“, რც „მაკლარენს“ და არც თავად ჰაკინენს არაფერი განუცხადებიათ. ამიტომ ომინება გვმართებს, მით უფრო, რომ ნებისმიერი პილოტისთვის უკეთესი უნდიდან უარესში გადასვლა არცთუ გონივრული ნაბიჯია. „მაკლარენი“ კი ლეს „იაგუარზე“ მაგარია.

ბევრად უფრო მართალი ჩანს მეორე ცნობა, რომელიც ბრიტანელი ჯეისონ ტონის „ფორმულა 1“-ის რბოლებიდან სავარაუდო ჩამოშორებას იუწყება. როგორც „უილიამსის“ ბოსმა, ფრენკ უილიამსმა ბრიტანულ „თაიმსს“ განუცხა, მას დიდი სურვილი აქვს, თავის გუნდში კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიხილოს, რომელიც ჯერჯერობით „კარტის“ სერიის ავტორბოლებზე იღწვის დიდესი წარმატებით. სხვა წყაროები კი ადასტურებენ, რომ არამცთუ სურვიო გამოითქვა, არამედ მონტოიას გუნდის უფროს ჩიპ ჯასინისთან მოლაპარაბებიც დაიწყო. ბატონს რაც შეეხება, მას ჯერ ალბათ ცოტა გაზრდა კიდევ უწევს. მთელი აღწერილი ამბავი სავარაუდოდ სეზონის შუაში განხორციელბა, როცა პილოტებს კონტრაქტების განახლება უწევთ.

საუბარს სავსებით უტყუარი ცნობით ვასრულებთ. იაპონელი ჰიდეტოში მიუსადა აღარ იქნება „ბენეტონის“ ტესტ-პილოტი. გუნდის ბოსებს იგი თვალში მოსვლიათ და ახალი კაცის ძებნა დაუწყიათ. მათი მზერა უპირველესად 21 ლის იტალიელისკენ, ჯორჯო პანტანოსკენაა მიპყრობილი, რომელმაც გერმალ „ფორმულა 3“-ში უკვე დიდი სახელი მოიხვეჭა.

დავით გულუა



# პეტრეს მოციქულები

შაბათს იტალიის დედაქალაქ რომში „ჯირო დიტალია“ დაიწყო. წმინდა პეტრეს მოედანზე მოწყობილი პროლოგის ფინიშზე ყველაზე უკეთესი დრო ჩეხმა ჰრუსკამ აჩვენა და ლიდერის ვარდისფერი მაისურაც პირველმა დაისაკუთრა. სტარტზე 180 მრბოლის ნაცვლად 179 გავიდა, რადგან რუსი ევგენი ბერზინი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

პროლოგის ფავორიტად „ანგელოზისსახიან“ პაოლო სავოლდელის მიიჩნევდნენ, მაგრამ მან 59 მეათასედი წამი წააგო ჰრუსკასთან, რომელმაც თავის გუნდ „ვიტალიციოსა“ და ჩეხეთს ისტორიაში პირველი ვარდისფერი მაისურა მოუტანა. ჰრუსკა აქამდე დიდი მიღწევებით არ გამოირჩეოდა. 1996 წელს, რაც გაპროფესიონალდა, მუდმივად მეორე დივიზიონის გუნდებში ირიცხებოდა და მხოლოდ ორი ტიტული მოიხვეჭა — ჩეხეთის ორგზის ჩემპიონია ინდივიდუალურ რბოლებში.

სპრინტერთა უგვირგვინო მეფემ მარიო ჩიპოლინიმ მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც მისთვის მშვენიერი შედეგია. რბოლის დამთავრების შემდეგ ორგანიზატორებმა იგი 61 ევროთი (დაახლოებით 100 ლარი) დააჯარიმეს, რადგან რეგლამენტით გაუთვალისწინებელი მაისურა (ვარდისფერით გაწყობილი თეთრი) ემოსა. „ეს წმინდა პეტრეს პატივსაცემად გავაკეთე“ — ასე ახსნა სუპერ-მარიომ თავისი საქციელი.

მეორე ცნობილ იტალიელს, მარკო პანტანის კი პაპის ლოცვა-კურთხევამაც ვერ უშველა და ჰრუსკასთან 40 წამი წააგო.

პირველი ეტაპი კი კვირას გაიმართა და ისევე, როგორც შარშან, იტალიელი ივან კარანტას გამარჯვებით დასრულდა. ტირენიის ზღვის ნაპირზე გამართული ეტაპის შემდეგ ვარდისფერი მაისურა ჩიპოლინიმ იგდო ხელთ, პრემიალური წამებით წყალობით. ფინალურ სპრინტში ჩიპოს მოგების ყველაზე უკეთესი შანსი ექნებოდა, ფინიშამდე 11კმ-ით ადრე მისი გუნდის ლიდერი პაოლო სავოლდელი რომ არ წაქცეულიყო. საეკოელები პელოტონს ჩამორჩნენ, რათა სავოლდელი სხვებს დასწეოდა, ამით ძალაგამოლეულები კი ჩიპოლინის სათანადოდ ასწრაფებაში ველარ დაეხმარნენ.




იან ჰრუსკა

„მე და კარანტა ერთმანეთს არ ვგავართ. დიდი სიჩქარის განსავითარებლად მანძილი მჭირდება, ივანი კი უცებ იფეთქებს ხოლმე და თუ ეს ბოლო 50 მეტრზე ხდება, მას ველარავინ სჯობნის“ — თქვა ჩიპოლინიმ, რომელმაც ლიდერის მაისურა შარშან ველოსიპედიდან ჩამოვარდნილ და დაინვალიდებულ მამას მიუძღვნა. მან მერე პანტანიზეც თქვა ორიოდ სიტყვა: „რომელი გაზეთიც არ უნდა გადაშალოთ, პაპთან ერთად გადაღებული მარკოს სურათებითა და მამისადმი მიძღვნილი სტატიებითაა აჭრელებული. ხალხი ცდილობს, როგორმე ხელი ჩამოართვას, თითქოს კინოვარსკვლავი იყოს. პანტანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს სხვა მრბოლების მიმართ ერთგვარი უსამართლობაა“.

**პროლოგი, რომი, 4,1 კმ**

1. იან ჰრუსკა (ჩეხეთი, ვიტალიციო) — 5წთ 38წმ
2. პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) — იგივე დრო
3. ბრედლი მაკგი (ავსტრალია, ფრანსეზ დე ჟე) — +4 წმ

**პირველი ეტაპი**

რომი-ტერაჩინა, 125 კმ

1. ივან კარანტა (იტალია, მობილვეტა) — 2სთ 46წთ 46წმ
2. მარკო ძანოტი (იტალია, ლიკიგასი)
3. სტივენ დე იონგი (ჰოლანდია, რაბობანკი)
4. სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
5. მარიო ჩიპოლინი — ყველას იგივე დრო

**მეორე ეტაპი**

ტერაჩინა-მადალონი, 232 კმ

1. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი) — 6სთ 15წთ 18წმ
2. მატეო ტოსატო (იტალია, ფასო ბორტოლო) — +5 წმ
3. კარსტენ კრონი (ჰოლანდია, რაბობანკი) — +5
4. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, კელმე) — +6
5. ელიო აგიანო (იტალია, ვიტალიციო) — +6

**საერთო ჩათვლა**

1. კრისტიან მორენი — 9სთ 7წთ 43წმ
2. მატეო ტოსატო — +3 წმ
3. ხოსე გუტიერესი — +11
4. კარსტენ კრონი — +13
5. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +22

გაიოზ თალაკვაძე

# ჯიროს მოკვეთილი

1994 წლის „ჯიროს“ გამარჯვებულ ევგენი ბერზინს პროლოგის დაწყებამდე სისხლის ანალიზი აულეს და ჰემატოკრიტების დაშვებულზე მაღალი დონე აღმოუჩინეს, რის გამოც შეჯიბრიდან მოხსნეს.

„არ ვიცი, ეს რითი ავხსნა. ევგენიმ დილით მითხრა, რომ მთელი ღამე ცუდად იყო“ — განუცხადა სააგენტო „ფრანს პრესს“ „მობილვეტას“ სპორტულმა დირექტორმა სტეფანო ჯულიანიმ.

ბერზინს თხუთმეტი დღით აუკრძალეს რბოლებში მონაწილეობა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას ისევ შეამოწმებენ ლოზანაში და თუ ყველაფერი წესრიგში ექნება, კვლავ დართავენ შეჯიბრებებში გამოსვლის ნებას, ხოლო თუ მას ერითროპოიეტინის გამოყენება დაუმტკიცეს, დისკვალიფიკაცია ელის და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ კარიერასაც დაასრულებს. არადა, 1993 წელს გაპროფესიონალებულ მრბოლს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 1994 წელს ბერზინმა ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი და „ჯირო“ მოიგო. იტალიაში გამარჯვება 24 წლის სპორტსმენისთვის მით უფრო დასაფასებელი იყო, რომ მან მაშინ თავისი სპორტული ფორმის მწვერვალზე მყოფ მიგელ ინდურაინს (მე-3 ადგილი) და უკვე საკმაოდ ძლიერ მარკო პანტანის (მე-2 ადგილი) აჯობა.

გაგი გურული



როი ჯონსი

## ჯონსის კატა-თაგვობანა

ქვემძიმე წონაში აბარგებული დიდი ჩემპიონი როი ჯონსი აგრძელებს თავის გამარჯვებულ სვლას. ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ აღიარებულ ჯონსს, ერთი ხანობა, სულაც აღარ აინტერესებდა კრივი, იოლად ვიგებო, მაგრამ მერე წონებში მოგზაურობით გაერთო და ძველებური ცეცხლით გავიდა რინგზე. დამძიმებული ჯონსი არ ღალატობს თავის ტაქტიკას — თავისი სიძლიერე შეგნებული აქვს და კატათაგვობანას ეთამაშება მოწინააღმდეგეს.

ამგვარად გაუნელა მან ბრძოლა გასულ შაბათს რიჩარდ ჰოლს, რომელიც მეთერთმეტე რაუნდამდე აწრუწუნა და ბოლოს ისეთები მიაყარა, რომ რეფერი ლარი კელიმ ბრძოლა შეწყვიტა.

მერელა გაირკვა, რომ ჯონსი იბრძოდა — მოტოციკლეტიდან გადმოვარდნილს ჯერაც არ მოშუშებოდა მკლავი. ახლა ჯონსს ოცნებად აქვს, რომ ისე კოხტად დამძიმდეს, რომ მძიმეწონოსნებს ერკინოს.

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXXI ტური

ბოხუმი 0:1 მაინცი

### იტალია

სერია B

XXXIV ტური

ვიჩენცა 2:0 სალერნიტანა

### რაგბი. ზე 12. მეთორმეტე ტური

12 მაისი

კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 12
კანბერა (ავსტრია) 27

პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 47
ველინგტონი (ახალი ზელანდია) 33

სიდნეი (ავსტრალია) 22
დანიდინი (ახალი ზელანდია) 15

13 მაისი

ტურბანი (სამხრეთ აფრიკა) 28
კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) 32

იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 53
ჰამილტონი (ახალი ზელანდია) 3

ბრისბენი (ავსტრალია) 33
ოკლენდი (ახალი ზელანდია) 26

ნახევარფინალი

19 მაისი

კრაისტჩერჩი — დანიდინი

20 მაისი

კანბერა — იოჰანესბურგი



# PLAY OFF
## კონფერენციების ფინალი
# მადლობელი ვარ!

### დასავლეთი

13 მაისი

**დალასი — კოლორადო 0:2**
**0:0 0:2 0:0**
**0:1 ჰეიდუკი 28'51 (3); 0:2 მილერი 37'52 (1)**

„მათ სამი გამორჩეული მოთამაშე ჰყავთ — მაიკ მოდანო, ჯო ნუინდაიკი და ბრეტ ჰალი. განსაკუთრებით ვთხოვე ბიჭებს მათი მეთვალყურეობა. ადამ ფუტმა და დანარჩენებმაც ჩინებულად გაართვეს საქმეს თავი. მადლობელი ვარ" — კოლორადოს მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ მცველები შეაქო, რომელთაც რეი ბურკის არყოფნაში (სახელოვანმა მცველმა ზედიზედ მესამე მატჩი გამოტოვა პლეი ოფში) თავგანწირულად ითამაშეს და მეკარე პატრიკ რუას გაუიოლეს სამუშაო. საბოლოოდ რუამ მე-14 შათაუტი მიითვალა და მხოლოდ ერთითღა ჩამორჩება პლეი ოფის ყველა დროის ლიდერს, კლინტ ბენედიკტს.

მეორე რაუნდის დამთავრების შემდეგ კოლორადოს ხუთი თავისუფალი დღე ჰქონდა, რაც, ეტყობა, ზედმიწევნით კარგად გამოიყენა. ვფიქრობთ, მასპინძელთათვის მოულოდნელი იყო დინამიური პრესინგი, რომელიც მეტოქემ მათ ზონის მისადგომებთან მოუწყო, ტეხასელებს ხშირად უჭირდათ შეტევის წამოწყება. თავის მხრივ კოლორადომ კონტრშეტევებზე ააწყო თამაში და პირველ გოლამდეც არაერთხელ შექმნა ხელსაყრელი მომენტი. თუმც არც დალასია ის გუნდი, მეტოქის წინააღმდეგობამ დააბნიოს. უკვე მეათე წუთისთვის მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და როცა თამაში კოლორადოელთა ზონაში გადაჰქონდათ, პატრიკ რუას კართან საკმაოდ დიდი ხიფათი იქმნებოდა. პირველივე პერიოდში შეეძლო დალასს დაწინაურება, რადგან სტუმრები იერიშის ჩასაშლელად ზოგჯერ წესების დარღვევასაც არ ერიდებოდნენ. ოთხჯერ იყვნენ მასპინძლები რიცხვმრავლობაში, მაგრამ ამით ვერ იხეირეს. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგის პირველივე რიცხვმრავლობა საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის. ჩინებულად ითამაშა მილან ჰეიდუკმა. ადამ ფუტის შორეული დარტყმა მოიგერია ედ ბელფორმა, მაგრამ ჩეხი ფორვარდი მყისვე გაერკვა სიტუაციაში და ლამის პირით ხაზიდან გაახვია შაიბა ბადეში. ამ გოლმა ტეხასელებზე იმოქმედა. კოლორადომ ხელთ იგდო ინიციატივა და პერიოდის მიწურულს მეორეც გაიტანა. სტუმართა საუკეთესო ფორვარდ პეტერ ფორსბერგს ერთბაშად ორი მცველის წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, აარონ მილერი კი უმეთვალყურეოდ დარჩა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. სტუმრებმა, ისევე როგორც შარშან, სერიის პირველი თამაში მოიგეს, თუმც მთელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ზოგ მომენტში, განსაკუთრებით მესამე პერიოდში, კოლორადოელები გაჭირვებით იცავდნენ კარს. ერთ ეპიზოდში რუა ყვანჯის გარეშე დარჩა და იმდენად მწვავედ უტევდნენ დალასელები, ლამის ერთი წუთის განმავლობაში ვერ დაიბრუნა იგი. ასე რომ, ჩემპიონი თავის ძალას ჯერ კიდევ აჩვენებს და სერიის მსვლელობისას კოლორადოს დაცვას სულ უფრო და უფრო გაუჭირდება.



კოლორადოელთა მეკარე პატრიკ რუა დალასელ ბრენდან მოროუს გაუვარდა

REUTERS დალასიდან

### აღმოსავლეთი

14 მაისი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 1:4**
**1:3 0:0 0:1**
**0:1 ნიდერმაიერი 0'55 (3); 1:1 რეკი 8'20 (4); 1:2 სიკორა 17'38 (5); 1:3 ჰოლიკი 18'04 (1); 1:4 ლემიე 45'19 (2)**

სტუმრებმა პირველ წუთზევე დაადუმეს პირთამდე სავსე ფილადელფიური არენა. თამაშზე მისულ 19 800 მაყურებელს კეიტ პრიმოს გამოჩენით გამოწვეული სიხარული არ დასცალდა. ნიუ ჯერსიმ თავისი საფირმო კონტრშეტევა წამოიწყო და მცველმა სკოტ ნიდერმაიერმა უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. თუმც გაცილებით დიდი იმედგ... ება ქომაგებს ... ელოდა — 26 წამის განმავლ... სტუმრებმა ორი გოლი გაიტან... პრაქტიკულად გადაწყვიტეს მ... ბედი. და ეს მაშინ, როცა „მფრ... ბი" ამ დროისთვის სრულად ფ... ბდნენ ინიციატივას. მათი ერთად... გოლიც ერთობ არალოგიკური გ... დგა. ანგარიშის გახსნის შემდეგ ... ხნევებულმა სტუმრებმა კიდევ ... დენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ ... გორც კი მარკ რეკიმ დეიმონ ... კოუს დარტყმის შემდეგ ყვანჯ... რჯვედ მოიქნია და ჰაერიდან ... კარში გადაგზავნა, მოვლენები ... რისპიროდ განვითარდა. ფილადელ... ელებს 9 წუთის განმავლობაში ე... ხელთ მატჩის სადავეები და ... ჯერსის დაცვამ ნათლად იგრძნო, ... ამჯერად ფიზიკურად ძლიერ ფო... რდებთან ჰქონდა საქმე, რომელ... ნებისმიერი წინააღმდეგობის და... ვა შეუძლიათ. ამ შუალედში „მ... ნავებს" უამრავი მომენტი ჰქონ... ჯონ ლეკლერი თითქმის არ შო... ბოდა მეტოქის კარს, მაგრამ გმ... ლად, საიმედოდ იდგა მარტინ ბ... დო. ამიტომაც ნიუჯერსელთა შ... რმი მოულოდნელი აღმოჩნდა. ... სონ არნოტმა ბორტთან ბრძოლა ... იგო, შაიბა პეტრ სიკორას გადა... და და ისიც პირველი სამეუ... ცენტრ ფორვარდ ბრაიან ბუშეს ... ლად გაუმკლავდა... მასპინძლებმა ... მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ კ... თავზარი დაეცათ — სწრაფი კონ... შეტევა ბობი ჰოლიკმა დაასრულა. ... თქოს იგი წინა რაუნდებში მეტ... თა ლიდერებთან გმირული ბრძო... სთვის დაასაჩუქრა განგებამ, 27-... ჩიანი უგოლობის შემდეგ როგ... იქნა, ჯავრი იყარა. მართალია, ფი... დელფიამ არც ამის შემდეგ და... ფარ-ხმალი, მეორე პერიოდში ... ტიკაც არ შეცვალა და კონტრშ... ვებზე ითამაშა (უნდა ითქვას, ... ზოგჯერ კარგადაც გამოსდიოდათ ... სპინძლებს), მაგრამ ველარაფერი ... ხერხა. ხოლო როდესაც კლოდ ... მიემ რიცხვმრავლობაში ალექს... მოგილნის ბრწყინვალე პასით მე... ხედ დალაშქრა ბუშეს კარი, მა... ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. ... რიგად, სტუმრებმა დამაჯერებლად ... იგეს, უფრო ორგანიზებული თამა... აჩვენეს, მაგრამ თუ გავიხსენებთ, ... გორ მოიპოვეს მათ ორშაიბიანი უ... რატესობა, ნათელი გახდება, რომ ... ლაფერი ჯერ კიდევ წინ არის.

**სამველ ლარიბი...**

### მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი

# ჩეხო 5:3 სლოვაკია

14 მაისი

ფინალი

**ჩეხეთი — სლოვაკეთი 5:3**
**3:0 0:1 2:2**
**1:0 სიკორა 6'04; 2:0 ვლასაკი 9'34; 3:0 პროხაზკა 12'25; 3:1 შტრბაკი 27'43; 4:1 ტომაიკო 43'35; 4:2 პლინკა 55'22; 4:3 შატანი 57'38; 5:3 რაიხელი 58'58**

მე-3 ადგილისთვის

**ფინეთი — კანადა 2:1**
**0:1 1:0 1:0**
**0:1 ოკუანი 7'37; 1:1 ჰენტუნენი 35'29; 2:1 ტუომაინენი 49'02**

თუ ჩეხეთის ნაკრების ფინალში გასვლა მოსალოდნელი იყო, სლოვაკთაგან ამას ტურნირის დაწყებამდე არავინ ელოდა. თანაც, რა იოლად მოიპოვეს ოქროსთვის ბრძოლის უფლება — კვარცხლბეკისკენ გზა ნახევარფინალში თვით ფავორიტ ფინეთს გადაულობეს. აი, ჩეხებს კი უფრო გაუჭირვეს საქმე ჰოკეის დამაარსებლებმა კანადელებმა. მათ ჩვეული, ლაღი, შემტევი თამაში აჩვენეს და რა გულდასაწყვეტია, რომ მეკარის შეცდომების გამო სლავებს ფინალის საგზური (1:2 წააგეს), „სუომის" კი ბრინჯაო დაუთმეს.

გადამწყვეტი მატჩი კი ლოგიკურად დასრულდა, თუმცა სლოვაკებიც უნდა გავამართლოთ — მათ მთელი ორი პერიოდის განმავლობაში ბედი არ სწყალობდათ. ისინი უტევდნენ, გოლები კი ჩეხებს გაჰქონდათ. მესამე მესამედში იან ტომაიკოს გატანილ შაიბას თითქოს უნდა გაეტეხა სლოვაკები, მაგრამ უდიდესმა ნებისყოფამ თავისი გააკეთა — ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა. მხოლოდ იან რაიხელმა ჩააცხრო მეტოქის მებრძოლი სული.

ჩეხების ტრიუმფმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თანამედროვე ჰოკეის თავიდათავი კარგად ორგანიზებული დაცვა და მწვავე, ეფექტური კონტრშეტევებია. ფაქტები ყველაფერზე მეტყველებს — ბოლო ხუთ წელიწადში ჩეხებმა სამი მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადა მოიგეს.



მსოფლიოს ჩემპიონები: ჩეხები

**ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეული**

რომან ჩეხმანეკი; მიხალ სიკორა (ორივე ჩეხეთი) — პეტერ ნუმელინი (ფინეთი); ტომ... ვლასაკი — ირჟი დოპიტა (ორივე ჩეხეთი) — მიროსლავ შატანი (სლოვაკეთი)

**საუკეთესო მოთამაშეები**

მეკარე: რომან ჩეხმანეკი; მცველი: პეტერ ნუმელინი; თავდამსხმელი: მიროსლავ შატან...

**ბომბარდირები**

შატანი 12 (10+2); დოპიტა 11 (4+7); ვიბორნი (ორივე ჩეხეთი) 10 (4+6); ბერტუ... (კანადა) 9 (5+4); ვლასაკი 9 (4+5); მაგნუსენი (ნორვეგია) და სმიტი (კანადა) 9 (3+6...; სიკორა 8 (5+3); ბრაიანი 8 (4+4); მ. როზენტალი (ორივე საფრანგეთი) 8 (3+5)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge